


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

აკადემიკოს გურამ შარაძისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია
Scientific Conference
Dedicated to Academician Guram Sharadze



ისტორიული ემიგრაცია
ორი საუკუნის გზასაყარზე
Historical Emigration
at the Crossroads of two Centuries

2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

აკადემიკოს გურამ შარაძისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო შრომების კრებული

Scientific Works
Dedicated to Academician Guram Sharadze

**ისტორიული ემიგრაცია
ორი საუკუნის გზასაყარზე**

**Historical Emigration
at the Crossroads of two Centuries**

რედაქტორი – ასოც. პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე

Editor – Assoc. Professor Rusudan Nishnianidze

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022

შინაარსი/Contents

რუსუდან დაუშვილი, ქართველი ოპერის მომღერლები ემიგრაციაში.....	5
Rusudan Daushvili, Georgian Opera Singers in Emigration	12
ილია თავბერიძე, ჯორჯ ბალანჩინი საქართველოში.....	14
Ilia Tavberidze, George Balanchine in Georgia	21
მანანა კვატაია, გრიგოლ რობაქიძის „ჩემი განმარტების“ პარადიგმატიკისათვის	23
Manana Kvataia, For the Paradigmatic “My Explanation” of Grigol Robakidze	31
თორნიკე კობიაშვილი, იოსებ ელიგულაშვილი – ეროვნული საგანძურის კვალდაკვალ.....	33
Tornike Kobiashvili, Ioseb Eligulashvili – in the Footsteps of the National Treasure	39
ნესტან კუტივაძე, თამარ პაპავას პუბლიკაციები გერმანიიდან.....	41
Nestan Kutivadze, Tamar Papava Publications from Germany.....	49
მარიამ მარჯანიშვილი, მათე კერესელიძის ეპისტოლეები მოგვითხრობენ.....	51
Mariam Marjanishvili, Mate Kereselidze's Epistles Tell Us.....	60
პაატა ნაცვლიშვილი, დავით საღირაშვილის გალექსილი მემუარები.....	61
Paata Natsvlishvili, Memoirs of David Sagirashvili in Verse	70
ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ლადო არველაძე – ემიგრაციაში მოღვაწე მწერალი (ახალი მასალები).....	72
Avtandil Nikoleishvili, Lado Arveladze – Writer Working in Emigration (New Materials)	81
რუსუდან ნიშნიანიძე, ლიტერატურული კონტრასტები სამანს აქეთ და სამანს იქით	83
Rusudan Nishnianidze, Literary Contrasts within Borders and Beyond	91

ნათელა ჩიტაური, იდენტობა მიგრაციული მწერლობის იმაგოლოგიურ ქრილში	94
Natela Chitauri, Identity, in the Migration Literature Imagological Context	100
ნიკო ჯავახიშვილი, ლატვიის ქართული დიასპორის ისტორიიდან (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 40-იანი წლების დასაწყისამდე)	102
Niko Javakhishvili, From the History of Georgian Diaspora in Latvia (from the 20th – to the 40th of XX Century)	109
ოთარ ჯანელიძე, ყარსის ხელშეკრულება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია	111
Otar Janelidze, The Treaty of Kars and Georgian Political Emigration	118

რუსუდან დაუშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველი ოპერის მომღერლები ემიგრაციაში

საკვანძო სიტყვები: ოპერა, მომღერლები, ნანობაშვილი, თახხნიშვილი, დუმბაძე

1921 წლის სქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში აღმოჩნდნენ კომპოზიტორები, მუსიკოსები, მომღერლები, მოცეკვავეები, მათ შორის იყვნენ ოპერის სოლისტები: მიხეილ ნანობაშვილი, ელენე თარხნიშვილი და სონია დუმბაძე.

1978 წელს მღვდლის, იროდიონ ნანობაშვილის, ოჯახში დაიბადა ბიჭი, რომელსაც მიხეილი უწოდეს. მუსიკალური ნიჭი და ხმა ბიჭს მამისგან დაპყვა. მამა ეგზარქოსის გუნდში მღეროდა, შვილი – თბილისის ვაჟთა N2 გიმნაზიის გუნდში. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი მუსიკის სიყვარულმა კონსერვატორიაში მიიყვანა. მშვენიერი ტემბრისა და დიაპაზონის ხმის გამო 1896 წელს თავისუფალ მსმენელად დაუშვეს. III კურსიდან უნივერსიტეტს თავი მიანება და სიმღერის სწავლა განაგრძო. 1898 წელს გამოირჩა პეტერბურგის მარიას თეატრის 15 კონკურსანტში და კაროლინ ფერნი-ჯირალდონთან დაიწყო მეცადინეობა. მონაწილეობა მიიღო პეტერბურგსა (ნარკვევი, 1898, გვ.1) და ოდესაში გამართულ ქართულ საღამოებში (ქართული საღამო, 1899, გვ.1-2). ახალი ტენორის გამოჩენა „ივერიამ“ საგანგებოდ აღნიშნა (ნასიძე, 1900, გვ. 3). სწორედ ამის მერე მიიწვია აკაკი წერეთლის ვაჟმა ალექსიმ ხარკოვში მელიტონ ბალანჩივადის ოპერა „თამარ ცბიერის“ დასადგმელად (პეტერბურგიდან გვატყობინებენ, 1900, გვ.4). ფერნი-ჯირალდონის მოწაფეთა გამოცდაზე მიხეილის ხმა და შესრულება პეტერბურგის პრესამ საგანგებოდ აღნიშნა. ფერნიმ მიხეილი მილანში წაიყვანა, თავის ვაჟიშვილს, განთქმულ ბარიტონს, ქუთაისელთა სიძეს (ერისთავის ქალი ჰყავდა ცოლად) ევგენი ჯირალდონის წარუდგინა და ცნობილ პედაგოგებს ჩააბარა (კაშმაძე, 1962, გვ. 26). ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ მიხეილი მილანის კერძო თეატრში მღეროდა. 1903 წელს პარიზს გაემგზავრა. 1906 წელს ცოლად შეირთო პიანისტი ჟანეტ კენო, რომელთან ერთადაც კონცერტებით მოიარა საფრანგეთი, მონტე-კარლო. 1908 წლიდან პარიზის „გრანდ ოპერაში“ მღეროდა „მიშელ დარიალის“ ფსევდონიმით.

1911 წლის იანვარში გასტროლებით მოიარა ბალკანეთი, თურქეთი, ალჟირი, გერმანია, რუსეთი და საქართველოში ჩამოვიდა. გამართა კონ-

ცერტები, იმღერა საოპერო სპექტაკლებში, ეწვია ქუთაისს, ბათუმს, ბაქოს. მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო საღამოებში. 9 თებერვალს გამოსათხოვარი კონცერტის მერე პარიზში დაბრუნდა და „გრანდ ოპერაში“ გააგრძელა გამოსვლა. კანადაში გასტროლის შემდეგ 1913 წელს კვლავ საქართველოში ჩამოვიდა. იმღერა „კარმენში“, „ვერტერში“, „პუგენოტებში“, „სამუსიკო წრის“ მიერ გამართულ კონცერტში. ყველგან ოვაციით ხვდებოდნენ. ოპერის დასში ჩარიცხვა უშედეგოდ სცადა, ამიტომ მოსკოვს გაემგზავრა. კონკურსის შემდეგ ზიმინის თეატრის დასში ჩაირიცხა. 1914 წელს ისევ ნიცაში მიიწვიეს, იქიდან ესპანეთსა და ამერიკაში. ვერც პეტრბურგსა და მოსკოვში მოიკიდა ფეხი და ისევ პარიზს მიაშურა.

პირველ მსოფლიო ომსა და საქართველოს თავისუფლებას პარიზში შეხვდა. 1919 წელს პარიზში ჩასულმა დამოუკიდებელი საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წევრებმა სამშობლოში დაბრუნება ურჩიეს, ისიც გახარებული წამოვიდა თბილისში და 1920 წლის მარტ-აპრილში რამდენიმე სპექტაკლში იმღერა. მოიარა დასავლეთ საქართველოც. 15 ივნისს ბენეფისი გადაუხადეს. პრესა აქებდა მის ხავერდოვან ტენორს, შესრულების ექსპრესიასა და ინტელიგენტურობას, მაგრამ ადგილი ვერც თავისუფალ საქართველოში ნახა და 1920 წლის დეკემბერში განაწყენებული პარიზს გაემგზავრა. პრესა ბრალს სდებდა ხელისუფლებას და ქართულ საზოგადოებას ცნობილი მუსიკოსების, მომღერლების მიხეილ ნანობაშვილის, ელენე თარხნიშვილის, ლოტბარ ივანე ფალიაშვილის, ბალერინა თამარ გამსახურდიასა და სხვათა მიმართ გამოჩენილ უყურადღებობასა და გულგრილობაში (ლობჯანიძე, 1921, გვ. 3).

ევროპაში დაბრუნებული მიშელ დარიალი 1921 წლიდან წარმატებით გამოდიოდა ბათში, ბარსელონაში, მადრიდში, რუსულ ოპერა „კიტეში“. „გრანდ ოპერის“ წარმატებული ტენორი შემდეგ პარიზის „კომედი ფრანსეზში“ მღეროდა. მის შესახებ ხშირად წერდა ფრანგული პრესა. სხვა სახელგანთქმული მომღერლების მსგავსად, მისი ფოტო საფოსტო ბარათებზეც კი მოათავსეს.

კიდევ ერთი შტრიხი მისი ბიოგრაფიიდან. 1924 წლის შემოდგომაზე „კარმენში“ უნდა ემღერა. სპექტაკლი არ იწყებოდა. პუბლიკა ახმაურდა. გამოვიდა დონ ხოხეს კოსტიუმში გამოწყობილი მიხეილ ნანობაშვილი და განაცხადა, რომ მის პატარა სამშობლოში თავისუფლებისათვის მეტროლებს ხოცავენ და ვერ იმღერებს მანამ, სანამ დარბაზში იქნება იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც ამ საზარელ საქმეს ჩადის. „გრანდ ოპერის“ მაყურებელი წამოიშალა და კარებისაკენ მიუთითა ერთ-ერთ ლოჯაში მჯდომ სსრ კავშირის წარმომადგენელ კრასინს. მისი გაძევებით აღფრთოვანებულმა მიხეილმა ისე იმღერა, რომ საკუთარ თავს გადააჭარბა (გიორგაძე, 1990, გვ. 5).

მიშელ დარიალი შესანიშნავად ასრულებდა ქართულ სიმღერებს. 1924 წელს ჟენევაში „საქართველოს დამხმარე კომიტეტის“ მიერ ჩატარებულ ქართულ კონცერტზე გამოვიდა (ჟენევაში, 1925, გვ.18-20), პარიზში – 1926 წელს აკაკი წერეთლის საღამოზე (ქართველები პარიზში, 1926, გვ.4), 1927 წელს – რუსთაველის საღამოზე (შოთა რუსთაველის საღამო, 1927, გვ.4), 1928 წელს – სტუდკავშირის ქართულ საქველმოქმედო კონცერტ-საღამოზე (ქართული საღამო, 1928, გვ. 14), 1930 წელს – ქართულ მეჯლისზე (ქართული ტრადიციული ბალი, 1928, გვ.15), „საქართველოს მეგობართა კომიტეტის“ მიერ 1932 წლის 26 თებერვალს (ქრონიკა, 1933, გვ. 4) და 7 მაისს ქართველ უმუშევართა და ტუბერკულოზიან ავადმყოფთა დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო საღამოებზე (ქართველები საფრანგეთში, 1932, გვ.16), 26 მაისის დღესასწაულებზე და ა.შ. 1931 წლიდან ქართულ საღამოებზე შვილთან ერთად მღეროდა (26 მაისი პარიზში, 1931, გვ.11-14). ის იყო პირველი ემიგრანტი, რომელმაც 1930 წელს პარიზში ქართული კონცერტი გამართა (ქართველები საფრანგეთში, 1939, გვ.16). მისი ეს მოღვაწეობა უცხოელთა ყურადღებას იქცევდა, რაც ხელს უწყობდა საქართველოს საკითხის გახმაურებასა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

უზომო ექსპლუატაციის მიუხედავად, მიხეილ ნანობაშვილმა დიდხანს შეინარჩუნა ხმა. ისე გარდაიცვალა, რომ სამშობლოს ხილვა აღარ ეღირსა.

სახელისა და პოპულარობის მიუხედავად, სამუშაოს მუდმივმა ძებნამ ხელი შეუშალა უფრო დიდი სიმაღლეების მიღწევაში, საქართველოში დამყარებულმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა კი დიდი ხნით დაუკარგა ქართულ კულტურას მისი სახელი. მხოლოდ 1951 წელს გამოჩნდა მისი გვარი შალვა კაშმაძის თბილისის ოპერის თეატრისადმი მიძღვნილ წიგნში (კაშმაძე, 1951, გვ. 393), ამირან ცამციშვილმა კი მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი შეიტანა 1958 წელს გამოცემულ პატარა წიგნში (ცამციშვილი, 1958, გვ.14-19). 1961 წელს ამ წიგნს პარიზიდან მისი ქალიშვილიც გამოეხმაურა, რომელმაც ქართული არ იცოდა, თუმცა კი სასოებით ინახავდა მამის ხსოვნას (ცამციშვილი, 1962, გვ. 36).

ელენე თარხნიშვილი 15 წელი წარმატებით გამოდიოდა იტალიის საოპერო სცენებზე და 28 წელი კი განთქმულ მომღერლებს ზრდიდა, დაიბადა 1883 წელს სოფელ კოდაში. მუსიკალური მონაცემებითა და წკრიალა ხმით წმ. ნინოს სასწავლებელშივე გამოირჩეოდა. სოლისტი იყო რატილის მოსწავლეთა გუნდში. 1900 წელს სასწავლებელი წარმატებით დაასრულა. მღეროდა სალონებსა და საოჯახო საღამოებზე. ივანე მაჩაბლის ოჯახში აკაკი წერეთელმა მოუსმინა და რომანსისათვის „მხოლოდ შენ ერთს“ ახალი ტექსტი, „სიმღერა“ მიუძღვნა. მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, 1905 წელს პეტერბურგს მიაშურა. დილაობით მდივნად მუშაობდა, შუადღისას – კერძო გაკვეთილებს იღებდა, საღამოს კი – იტალიურ და ფრანგულ

ენებს სწავლობდა. ამასობაში მამამისს გული მოუბრუნდა და იტალიაში გასამგზავრებელი ფული გაუგზავნა. მილანში ჩასულ ელენეს სადგურზე ვანო სარაჯიშვილი დახვდა და პანსიონში მიიყვანა. მანვე მოათავსა საავადმყოფოში, როცა ტიფი აღმოაჩნდა, მერე კი მასეტრო ემა დოტისთან მონაწილე მოწაფედ (ცამციშვილი, 1968, გვ. 29).

1906 წელს დოტის სალონში ელენეს პირველად მოუსმინეს მასკანიმ, ვიტამ, პოტიმ, შალიაპინმა, სარაჯიშვილმა. ოპერებიდან ნაწყვეტების გარდა, შეასრულა ქართული რომანსიც. ამ პირველივე გამოსვლით პრესამ ახალგაზრდა სოპრანოს დიდებული მომავალი უწინასწარმეტყველა. მილანში ელენემ მუსიკალურ სალონი მოაწყო, სადაც თავს იყრიდნენ ცნობილი ვოკალისტები, კომპოზიტორები, დირიჟორები, სასწავლებლად ჩასული ქართველები – ვანო სარაჯიშვილი, მიხეილ ნანობაშვილი, სანდრო ინაშვილი, დავით აკოფაშვილი, ვალერიან ქაშაკაშვილი და სხვები.

1910 წელს ამერიკაში საგასტროლო დასის შესადგენად კომპოზიტორ პიეტრო მასკანის მიერ „ლა სკალაში“ გამართულ კონკურსში გამარჯვებული ელენე 1911 წლის იანვრიდან მაისამდე ამერიკაში გასტროლებზე გაემგზავრა. მილანში დაბრუნების შემდეგ მიიწვიეს მონცაში, სავონასა და მოდენაში. მკაცრი იტალიური პრესა ხოტბას ასხამდა ქართველი სოპრანოს გამოსვლებსა და ვოკალურ მონაცემებს.

1911 წლის ნოემბერში ელენე სამშობლოში ჩამოვიდა. თბილისელი მსყურებელი აღტაცებით შეხვდა ახალგაზრდა მომღერალს. ბილეთები წინასწარ დაიტაცეს. იმღერა ოპერებში „ტრაჯიატა“, „რიგოლეტო“, „ბოჰემა“, „ფაუსტი“. 21 დეკემბერს ბრწყინვალე ბენეფისი მოუწყვეს. ტაშს, ყვავილებსა და ფასიან საჩუქრებს ბოლო არ უჩანდა. ელენეს წარმატება მთელ საქართველოს მოედო. პრესა ხოტბას ასხამდა. „*შსახიობი დაჯიღოებუღია ხავეხღოვანი გემბხის დიხიკუდ-კოდოიგუდი სოპხანოთი. ხმა დამუშავებუღი აქვს იგადიუხი სკოდის ყვედა წესის მიხედვით: კახგი ვოკადიზი, ვხცედი სუნთქვა, წუნდაუებედი სწოხი ინგონაცია და დამაზი სტიდი მოწმობს იმას, რომ მას უნაყოფოდ ახ გაუტახებია ეხო იგადიაში*“ (კაშმაძე, 1951, გვ. 385). აკაკი წერეთელი თბილისში ჩამოვიდა, „ტრაჯიატას“ დაესწრო და თარხნიშვილ-სარაჯიშვილის დუეტს აღტაცებული სტრიქონები უძღვნა (წერეთელი, 1912, გვ. 3). 12 იანვარს ქუთაისში სტუდენტთა სასარგებლოდ გამართულ საღამოზე რამდენიმე სიმღერა შეასრულა. 21 იანვარს ბაქოში გამართულ ქართულ საღამოზე ვანო სარაჯიშვილთან ერთად გამოვიდა. მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო საღამო-წარმოდგენებში. სერგო ევლახიშვილის საოპერო დასის წარმატება, რომელმაც 1912 წლის 10 თებერვლიდან 1 მარტამდე ქუთაისსა და ბათუმში 12 სპექტაკლი დადგა, დიდწილად ელენემ განაპირობა. ელენემ და ვანომ ბევრი იმღერეს 14 აპრილს გამოსათხოვარ გრანდიოზულ კონცერტზეც და ქართული კლუბის ფოიეში 60-კაციან ნადიმზე, 15 აპრილს ელენე პეტერბურგს გაემგზავრა. 21 აპრილს ქართველ

სტუდენტთა მიერ მოწყობილ კონცერტზე იმღერა (კაშმაძე, 1951, გვ. 386). თავის მილანურ სალონს დაბრუნებულმა საოპერო კარიერა გააგრძელა. წამყვან პარტიებს მღეროდა იტალიის ქალაქებში. ყველგან დიდი წარმატება და შესანიშნავი პრესა ჰქონდა. 15-წლიანი არტისტული კარიერა ქალაქ ბერგამოში დაასრულა, სადაც ოთხი – 1921-25 წლების სეზონები ჩაატარა. ბოლო სპექტაკლის – „ლუჩია დი ლამერმურის“ პრემიერამ მას ახალი წარმატება მოუტანა. დიდხანს არ წყდებოდა ოვაცია.

1920 წელს ელენე ცოლად გაჰყვა შესანიშნავ იტალიელ ტენორსა და პიანისტს არტურო ვიტას. 1925 წელს ვიტა ბოსტონის კონსერვატორიის პროფესორად მიიწვიეს. მამის ავადმყოფობის, შემდეგ კი გარდაცვალების გამო ელენე ქმარს ამერიკაში ვერ გაჰყვა, მწვავე ართრიტმა კი სცენას ჩამოაცილა. ელენეც პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. ელენე ვიტას სტუდიამ მრავალი ცნობილი მომღერალი აღზარდა, რომლებიც წარმართებით გამოდიოდნენ იტალიისა და მსოფლიოს დიდ საოპერო სცენებზე. მათ შორის იყო თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი ნინო ცერცვაძეც (შალა-მოვი, 1960, გვ. 32).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო ელენე თარხნიშვილმა გაყიდა ბინა და გარდაცვლილი მეუღლის სიძის მიწვევით რეჯიო-კალაბრიაში გადავიდა. პრველმა მსოფლიო ომმა, მერე საქართველოს ოკუპაციამ სამშობლოსკენ გზა დაუხშო. ოდესღაც დიდების მწვერვალზე მდგომი, სამშობლოს, ახლობლებს მონატრებული, სმენადაკარგული და ღარიბი მომღერალი ქმრის ნათესავების სარჩენი გახდა. გარდაიცვალა 1961 წელს, დაკრძალულია რეჯიო-კალაბრიაში.

პოლიციის პორუჩიკი ანტონ დუმბაძე ცნობილი ლოტბარი და მგალობელიც იყო. მისი 7 ვაჟიდან 6-მა სამხედრო კარიერა აირჩია და 4-მა გენერლობას მიაღწია. უფროსი ვაჟი დავით დუმბაძე სოფელ შემოქმედის მღვდელი, ასევე, ცნობილი მგალობელი იყო (თავბერიძე, 2010, გვ. 87-93). დავითს და მის მეუღლეს 2 ვაჟი და 9 ქალიშვილი ჰყავდათ, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ დებს შორის, რომლებიც ოზურგეთის ე.წ. „ბაღის კლასში“ და დიმიტრი სიმვულიდის გუნდში გალობდნენ, 1904 წელს დაბადებული სონია წკრიალა ხმით გამოირჩეოდა. სოლისტი იყო ფოთის გიმნაზიისა და ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის გუნდში. 1919 წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის კონსერვატორიაში. მეცადინეობა პედაგოგ ანა ჯაყელთან დაიწყო, თავის სარჩენად კი ტელეფონისტად მოეწყო. 1923 წელს სამსახურში უსიამოვნება შეხვდა და ბაქოს კონსერვატორიაში გადავიდა, სადაც სტუდენტურ დადგმებში მონაწილეობდა. მერე კი თბილისის კონსერვატორიის კონკურსში გამარჯვებულ 15 სტუდენტთან ერთად მილანში ჩავიდა და მანესტრო დელი პონტისთან დაიწყო მეცადინეობა.

მალე საბჭოთა მთავრობამ ევროპაში გაგზავნილ სტუდენტებს სტიპენდია შეუწყვიტა. ოჯახი ვერ ეხმარებოდა, ვერც ძმა ამერიკიდან. ძალიან გაუჭირდა, მეცადინეობა მიატოვა და საბჭოთა მოქალაქეებსა და სტუდენტებს იტალიურს ასწავლიდა. შემდეგ იძულებული გახდა, სპონსორ ბიჩე პალმას მოთხოვნას დაჰყოლოდა და პარიზში კოსმეტოლოგია შეესწავლა. მილანში დაბრუნებული უგულოდ მუშაობდა და ისევ მომღერლობაზე ოცნებობდა. ბიჩე პალმამ პირობა ჩამოართვა, რომ უსასყიდლოდ ერთ მონაფეს მაინც გაზრდიდა და სწავლის ქირა გადაუხადა. ხმის დაყენებასა და პარტიტურაზე დირიჟორ ვანცოს ქალიშვილთან და რუს პიანისტ ხლებნიკოვთან, აგრეთვე, სიგმა დე გრასისთან მუშაობდა, რომელთანაც ერთად შემდეგ სიმღერის შესანიშნავი სკოლა შექმნა. თავდაპირველად საქველმოქმედო კონცერტებზე გამოდიოდა. 1932 წელს მონაწილეობა მიიღო კონცერტში, რომელიც დირიჟორ ტოსკანინის ცოლის დისშვილმა მოაწყო და ტოსკანინის ქებაც დაიმსახურა. სხვა კონცერტშიც მონაწილეობდა, მაგრამ ვოკალურ სფეროში მუშაობის უფლებას ვერ იღებდა და კვლავ კოსმეტიკით ირჩენდა თავს. მძიმე ოპერაციის გამო სცენას ჩამოშორდა. 1937 წელს ბარიტონ ჯოვანი ბონოს მეუღლე გახდა და საკონცერტო მოღვაწეობა მისი დახმარებით გააგრძელა. გამოდიოდა საესტრადო სცენებზეც. ორი უმძიმესი ოპერაციის შემდეგ სცენა საბოლოოდ მიატოვა (ცამციშვილი, 1968, გვ. 73).

1946 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი და მალე ისახელა თავი. სხვადასხვა ეროვნების მრავალი ცნობილი მომღერალი გაზარდა. ბიჩე პალმასათვის მიცემული პირობაც შეასრულა – 5 წელი უფასოდ ასწავლიდა ცნობილ ბარიტონს ოსკარ სკალიონს. ძმისგან, ცნობილი ემიგრანტი პოლიტიკური მოღვაწისა და მორგანთა ბანკის ფინანსისტ ვასილ დუმბაძისაგან განსხვავებით, რომელიც ამერიკაში გარდაიცვალა ისე, რომ სამშობლოს ნახვას ვერ ეღირსა (დაუშვილი, 2002, გვ. 70-81), სონიამ მოძებნა ახლობლები და მიმოწერის შემდეგ, 1963 წელს სამშობლოში ჩამოვიდა. 38-წლიანი განშორების შემდეგ კვლავ მოისმინა მშობლიური ენა და დების გალობა. სიძის, ცნობილი ტენორის, ნიკოლოზ ბელაქნელის საშუალებით დაუკავშირდა ოპერის თეატრს. ბელკანტოს მეთოდით რამდენიმე გაკვეთილი უფასოდ მისცა თეატრის სოლისტს ტატიანა მალიშევას. ერთი თვე უსასყიდლოდ მუშაობდა გოჩა ბეჟუაშვილთან და კონსერვატორიის უკანასკნელი კურსის სტუდენტ ნუგზარ გელაშვილთან. ნ. გელაშვილმა დამოუკიდებლად განაგრძო სონია დუმბაძის მეთოდით მეცადინეობა, საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე შესანიშნავად იმღერა და უმაღლესი შეფასებაც მიიღო. როგორც ბატონმა ნუგზარმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, სწორედ სონიას დამსახურებაა, რომ 45 წლის შემდეგაც შეინარჩუნა ხმა და 2011 წლამდე თბილისის ოპერის თეატრის დასის სოლისტი იყო (დაუშვილი, 2011, გვ. 50-51).

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საქართველოს საზოგადოების მუსიკის სექციამ სსრკ-იტალიის საქართველოს განყოფილებასთან ერთად შეხვედრა მოუწყო სონია დუმბაძე-ბონოს. ითქვა ბევრი თბილი სიტყვა. ამ შეხვედრის შემდეგ ფრთაშესხმული მალევე გაემგზავრა იტალიაში, სადაც მეუღლე და დავრდომილი დედამთილი ელოდა. იმედი ჰქონდა, რომ მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე ქმართან ერთად ჩამოვიდოდა სამშობლოში, მაგრამ ვეღარ მოასწრო, მძიმედ დაავადდა და 1968 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მილანში (ცამციშვილი-ფიცხელაური, 1992, გვ. 3).

ლიტერატურა:

- გიორგაძე 1990:** გიორგაძე ე., მიშელ დარიალი, გაზ. „თბილისი“, 1990, 1 VI, N124.
- დაუშვილი 2002:** დაუშვილი რ. ვასო დუმბაძე, ქართველი მრეწველები და გამომგონებლები ამერიკაში, თბილისი, 2002.
- დაუშვილი 2011:** დაუშვილი რ., FAMOUS GEORGIANS სონია დუმბაძე – მომღერალი და პედაგოგი მილანში, გაზ. Prime Time, 2011, N43, 24.X.
- თავბერიძე 2010:** თავბერიძე ი., XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა, თბილისი, 2010.
- კაშმაძე 1962:** კაშმაძე შ., გადატეხილი სალამური, თბილისი, 1962.
- კაშმაძე 1951:** კაშმაძე შ., თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ტ. I, თბილისი, 1951.
- ლობჯანიძე 1921:** ლობჯანიძე მ., სირცხვილი!, ჟურნ. „სახალხო საქმე“, 1921, 19 I.
- ნარკვევი 1898:** ნარკვევი, გაზ. „ივერია“, 1898, 4 XII. N259.
- ნასიძე 1900:** ნასიძე მ., ტენორი მიხეილ ნანობაშვილი, გაზ. „ივერია“, 1900, 4 IV, N74.
- პეტერბურგიდან გვატყობინებენ 1901:** პეტერბურგიდან გვატყობინებენ, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, 25 VIII, N1564.
- ჟენევაში 1925: ჟენევაში, ჟურნ. „ბრძოლა“, 1925, N5.
- ქართველები პარიზში 1926:** ქართველები პარიზში. აკაკის საღამო, გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1926, N2.
- ქართველები საფრანგეთში 1930:** ქართველები საფრანგეთში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1930, N51.
- ქართველები საფრანგეთში 1932:** ქართველები საფრანგეთში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1932, N76.
- ქართული საღამო 1899:** ქართული საღამო, გაზ. „ივერია“, 1899, 6 I, N3.
- ქართული საღამო 1928:** ქართული საღამო, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1928, N36.
- ქართული ტრადიციული ბალი 1930:** ქართული ტრადიციული ბალი, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1930, N54.
- ქრონიკა 1933:** ქრონიკა, გაზ. „თეთრი გიორგი“, 1933, N64.
- შალამოვი 1960:** შალამოვი ი., მომღერალი და პედაგოგი ნინო ცერცვაძე, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, N9.

- შოთა რუსთაველის საღამო 1927:** შოთა რუსთაველის საღამო, „თეთრი გიორგი“, პარიზი, 1927, N9.
- ცამციშვილი 1958:** ცამციშვილი ა., ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში, თბილისი, 1958.
- ცამციშვილი 1962:** ცამციშვილი ა., უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანნი, თბილისი, 1962.
- ცამციშვილი 1968:** ცამციშვილი ა., ბუდემოშლილნი, თბილისი, 1968.
- ცამციშვილი-ფიცხელაური 1992:** ცამციშვილი-ფიცხელაური ა., სადაურსა სად ნაი-ყვან, გაზ. „რესპუბლიკური უწყებანი“, 1992, 25 IV.
- წერეთელი 1912:** წერეთელი ა., სათეატრო შენიშვნები, გაზ. „თემი“, 1912, 9 I.
- 26 მაისი პარიზში 1931:** 26 მაისი პარიზში, ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1931, N66.

Rusudan Daushvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgian Opera Singers in Emigration

Key words: *Opera, Singers, Nanobashvili, Tarkhnishvili, Dumbadze*

The article addresses 3 Georgian opera singers who remained in emigration after the occupation of Georgia in 1921.

Tenor Mikheil Nanobashvili was born in 1878 in Georgia. Studied at the St. Petersburg Conservatory. Teacher Carolina Ferny-Giraldon handed it over to her son in Milan, the famous baritone Eugene Giraldon, and famous teachers. Successfully sang at a private theatre in Milan. 1903 went to Paris. He became the soloist of the Paris Grand Opera under the pseudonym "Michel Dariali" in 1908. He has travelled to many countries with concerts and tours with his wife, pianist Janet Keno. He also held concerts in Georgia, sang in opera performances. Remained in emigration after the occupation of Georgia. He sang at Georgian emigrant concerts and evenings, he was no longer worthy of seeing his homeland. After his death, the Bolshevik regime lost even Nanobashvili's name to Georgian culture, and only in 1951 appeared in a book dedicated to the Tbilisi Opera House.

Elene Tarkhnishvili was born in 1883 in Georgia. At first, she studied in St. Petersburg, then in Milan. In 1910 Ellen won the La Scala competition and was joined by composer Pietro Mascani. Arriving in his homeland, he sang in operas, concerts, and benefits. In 1920 she got married to Italian tenor, pianist Arturo Vita. In 1925 she finished 15 years old career due to illness. She started teaching. Ellen

Vita Studio has brought up many famous singers. The occupation of Georgia blocked the way home. After World War II due to the difficult economic situation in Italy, Ellen sold her studio apartment and moved to Reggio Calabria with her dead husband's son-in-law, where she passed away in 1961.

Sonia Dumbadze was born in 1904 in Georgia. In 1919 arrived in Milan with 15 students who won the competition of Tbilisi Conservatory. After the occupation of Georgia, it became difficult, instead of singing started to teach Italian to Soviet citizens and students. Then she studied cosmetology in Paris. But she still dreamed of singing. The sponsor paid the tuition on the condition that she raise one student free of charge. In 1937 became the wife of Baritone Giovanni Bono and continued her concert career with his help. She left the scene due to illness and became a teacher. She raised many famous singers of different nationalities. In 1963 arrived in her homeland. With Belcanto's method, she worked for free with opera soloists and conservatory students. In 1968 died in Milan.

ილია თავბერიძე

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ჯორჯ ბალანჩინი საქართველოში

საკვანძო სიგეყები: ჯორჯ ბალანჩინი, ბაღეგი, ბალანჩინი და საქართველო, ანდრია ბალანჩივაძე, ნიუ-იორკ სითი ბაღეგი

1950-იან წლებში, ჟურნალ „ამერიკაში“, რომელსაც საბჭოთა მკითხველისთვის რუსულ ენაზე გამოსცემდნენ, ჯორჯ ბალანჩინთან ინტერვიუ დაიბეჭდა. ინტერვიუ თბილისში წაიკითხა ბალანჩინის ძმამ – კომპოზიტორმა ანდრია ბალანჩივაძემ. საქართველოში ასე გაიგეს, რომ გიორგი ბალანჩივაძემ ამერიკაში უდიდეს წარმატებას მიაღწია.

გიორგი ბალანჩივაძე პეტერბურგში დაიბადა. საკუთარი ქართული წარმომავლობის შესახებ, ბუნებრივია, მან კარგად იცოდა. სოლომონ ვოლკოვთან საუბრებში, ბალანჩინი საქართველოს და ქართველობას რამდენჯერმე ახსენებს. ის აღნიშნავდა, რომ „სისხლით ქართველია“ („სისხლით ქართველი ვაჰ, კუდგუხით – ხუსი, ეხოვნებით კი – პეგეხბუხგედი“), იცოდა, რომ ქართველები ხანდაზმულ ასაკამდე ცხოვრობენ, რომ უყვართ ძვირფასეულობა („მიყვარს ძვირფასი ქვები – მე ხომ პეგეხბუხგედი ქართველი ვაჰ. ოხივე ქვეყანაში უყვარს ძვირფასეულობა“) და უყვართ თავისუფლება („აჰ მიყვარს, ხოცა ჩემ მაგივრად საქმიანობენ. ჩემში ხომ ქართული სისხლი ჩქეფს – მე დამოუკიდებელი ვაჰ“). სიამაყით აღნიშნავდა იმ ფაქტსაც, რომ ჩაიკოვსკიმ „მოცარტიანა“ საქართველოში, კერძოდ კი, ბორჯომში დაწერა (Волков, 2004, გვ. 87, 102, 160).

საქართველოში გიორგი ბალანჩივაძე, უკვე მთელ მსოფლიოში ჯორჯ ბალანჩინად ცნობილი, პირველად, დაბადებიდან ხუთი ათეული წლის შემდეგ, 1962 წლის შემოდგომაზე საკუთარ საბალეტო დასთან ერთად ჩამოვიდა. ეს ყოფილ საბჭოთა კავშირში მისი პირველი ვიზიტი იყო და საქართველომდე გასტროლი ჩაატარა მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში. „განხორციელდა ჩემი დიდი ხნის სუჰვიდი, დიდი ხნის ოცნება – სიცოცხლის ოხმოცდამეჩვიდმეგე წედს, ხოგოხც იქნა, ფეხი დავადგი მამაჩემის მშობლიუხ მიწაზე, ოხმოცი წდის განშოხების შემდეგ ისევ შევხვდი ჩემს ძმებსა და ნათესავებს! ძნელია, გადმოგცეთ ის სიხაჰუდი და მღედვაჰება, ჩასაც საქართველოში ყოფნის დღეებში განვიცდიდი. და ეს აჰც აჩის გასაკვირი“. (ბალანჩინი, 1962, გვ. 4).

ჯორჯ ბალანჩინი ძმასთან – ანდრია ბალანჩივაძესთან ერთად ქუთაისს ეწვია, იყო გურიიში, თბილისში გაიმართა „ნიუ-იორკ სითი ბაღეს“ გას-

ტროლი. მეორედ თბილისში იგი, ათი წლის შემდეგ, 1972 წელს კვლავ საკუთარ კომპანიასთან ერთად ჩამოვიდა. იმდროინდელ პრესაში შემორჩა მწირი, მაგრამ საინტერესო ინფორმაცია – ბალანჩინთან შეხვედრის დეტალები, თავად ჯორჯ ბალანჩინის რამდენიმე ინტერვიუ საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებზე. ჩვენ გამოვაქვეყნეთ იმ ადამიანებისგან ჩანერილი საინტერესო მოგონებები, რომელთაც ახსოვთ ბალანჩინის საქართველოში ყოფნა (თავბერიძე, 2014, გვ. 37-45).

ბანოჯა, სოფელი წყალტუბოს რაიონში, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ, ბალანჩინს არ უნახავს. სოფელი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა დასავლეთ საქართველოში ბალანჩინის მოგზაურობის მარშრუტში, როგორც ჩანს, არც შეიტანეს. არაა ცნობილი, მოითხოვა თუ არა თავად მისტერ ბიმ ბანოჯის მონახულება, იმ სოფლის, საიდანაც 1889 წელს მამამისი – ახალგაზრდა მელიტონ ბალანჩივადე პეტერბურგის კონსერვატორიაში სიმღერის კურსებზე მოსაწყობად გაემგზავრა. მელიტონს პეტერბურგში უმცროსი ძმა ელოდა – ვასო, რომელიც ორი წლის წინ ჩასულიყო ქალაქში და მხატვარ ილია რეპინთან სწავლობდა. ქართულ კინოს მოყვარულებს ვასო უთუოდ უნდა ახსოვდეთ ქართული ფილმიდან „დაკარგული სამოთხე“, სადაც მსახიობი ბაბუა ანტონის როლს ასრულებს. ამ ფილმის მუსიკა, სიმღერები, მათ შორის, საქართველოში მეტად პოპულარული „ზესტაფონო, გშორდები“, ჯორჯ ბალანჩინის ძმას – ანდრიას ეკუთვნის.

ბანოჯას ეკლესიას ერთ დროს ამშვენებდა წარწერა, რომ იგი ანტონ ბალანჩივადემ ააგო, ჯორჯ ბალანჩივადის ბაბუამ, ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივადის მამამ, რომელიც სკეპტიკურად უყურებდა შვილის პეტერბურგში გამგზავრების გეგმას. მელიტონი კი პეტერბურგში ხელოვნების სიყვარულმა და მუსიკალური განათლების მიღების სურვილმა ჩაიყვანა. ბავშობიდან საეკლესიო გუნდებში მღეროდა, თვრამეტი წლის ასაკიდან კი თბილისის ოპერაში, სადაც მოგვიანებით სოლისტი გახდა. პირველი მეუღლისგან მას ქალიშვილი და ვაჟი ეყოლა. პეტერბურგში ორი წლის განმავლობაში კომპოზიციას კომპოზიტორ რიმსკი-კორსაკოვის ხელმძღვანელობით სწავლობდა და პირველ ქართულ ოპერაზე – „თამარ ცბიერზე“ დაიწყო მუშაობა, რომლის სხვადასხვა ნაწილი 1897 წელს პეტერბურგში იქნა წარმოდგენილი. შემდეგ ოპერას სახელი შეუცვალეს, „დარეჯან ცბიერი“ უწოდეს და სრული სახით თბილისის ოპერის სცენაზე 1925-26 წლების სეზონზე დაიდგა.

მელიტონის მეორე მეუღლე მარია, ბარონ ნიკოლაუს ფონ ალმედინგენის ქალიშვილი იყო, თუმცა დედის გვარს – ვასილევს ატარებდა (კენდელი, 2014, გვ. 40-46). მეორე ქორწინებიდან მელიტონ ბალანჩივადის სამივე

შვილი პეტერბურგში დაიბადა. ოჯახს ძალიან უჭირდა და მელიტონმა ბიზნესიც წამოიწყო.

ოჯახის ცხოვრება ერთმა იღბლიანმა შემთხვევამ გამოასწორა. მელიტონმა ლატარეაში 200 ათასი (ზოგი წყაროს ცნობით, 100 ათასი) მოიგო. ჯორჯ ბალანჩინი სოლომონ ვოლკოვთან საუბარში იხსენებს, რომ მამას ძალიან უყვარდა გლინკა და მოგებული თანხიდან კომპოზიტორის წერილების პირველი სრული გამოცემა დააფინანსა. „*მე მაშინ სხუდიად პაგაჩა ვიყავი. მამას ასე ეძახდნენ – „ქახთველი გლინკა“.* იგი უცებ გამდიდრდა, ასი ათასი მოიგო სახედმწიფო დაგაჩეაში“ (Волков, 2004, გვ.142). თუმცა, გლინკას წერილების გამოცემის გარდა, მოგებული ფულის დახარჯვაში ბალანჩივადების ოჯახს პეტერბურგში მცხოვრები ქართველებიც „დახმარებიან“. მელიტონს ეს ფული მალევე შემოეხარჯა და იძულებული გახდა, საქართველოში დაბრუნებულიყო. პეტერბურგში მძიმე დრო იდგა, ცხოვრება ჭირდა, ხალხი შიმშილობდა. ცხრაას თექვსმეტ წელს მელიტონმა საქართველოში გადაწყვიტა დაბრუნება და პეტროგრადიდან თბილისს გამოემგზავრა. საქართველოში საქმელი უფრო იშოვებოდა. ოჯახმა მოითათბირა და გადაწყვიტა, რომ ანდრიაც მამასთან ერთად წასულიყო.

შვილებს შორის თამარი უფროსი იყო, რომელიც ბალეტზე უნდოდათ მიეყვანათ. საიმპერატორო საბალეტო სასწავლებელში მისი ჩარიცხვის პირველი ცდა უშედეგო აღმოჩნდა – თამარს უარი უთხრეს. ანდრია და გიორგი მუსიკაზე დაჰყავდათ. თუმცა, გიორგის სამხედრო კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ და არც თავად იყო უარზე. ცხოვრება კი თურმე მას სულ სხვა ხვედრისთვის ამზადებდა.

1913 წელს თამარი საბალეტო სასწავლებელში გამოცდებზე მეორედ წაიყვანეს. დედას გიორგიც გაჰყვა. ბალანჩივადებს სასწავლებლის ჰოლში ნათესავი შეხვდა, სასწავლებლის თანამშრომელი, რომელმაც კომისიის წინაშე გამოსვლა გიორგისაც შესთავაზა. კომისიაში უკვე ხანშიშესული ცნობილი ბალერინა ოლგა პრეობრაჟენსკაიაც იყო, რომელმაც გიორგი ბალანჩივადის ელეგანტურობასა და მუსიკალობას თვალი მაშინვე დაადგა. გიორგი, რამდენიმე თანატოლთან ერთად, საიმპერატორო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ჩარიცხეს.

სასწავლებლის დამთავრების დროს მდგომარეობა რუსეთში აირია. მარია ბალანჩივადე საქართველოში ქალიშვილთან ერთად მას შემდეგ დაბრუნდა, როცა დარწმუნდა, რომ მისი ვაჟი გიორგი, მეუღლესთან – თამარა ჟევერჟეევასთან ერთად, კარგად გრძნობდა თავს. მას შემდეგ გიორგის არც დედა უნახავს აღარასოდეს. ტრაგიკული აღმოჩნდა ბალანჩინის უფროსი დის თამარის ცხოვრება, რომელიც 1943 წელს ლენინგრადის ბლოკადის დროს დაიღუპა. 1924 წელს გიორგი ბალანჩივადემ ისე დატოვა

უკვე ლენინგრადად სახელდებული ქალაქი, რომ ოჯახის არც ერთ წევრს არ გამოემშვიდობებია.

ოჯახის წევრებიდან ბალანჩინი, 44 წლის შემდეგ, მხოლოდ საკუთარ უმცროს ძმას – ანდრიას 1962 წელს მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტში შეხვდა. ანდრია უკვე ცნობილი ქართველი კომპოზიტორი – პირველი ქართული ბალეტის, პირველი საფორტეპიანო კონცერტის და სიმფონიის ავტორი იყო, დახვეწილი ინტელიგენტი, არტისტული სილამაზის ადამიანი და საბჭოთა რეჟიმის დროს საკმაოდ თამამი. ანდრია ბალანჩივადემ საკუთარი მეორე სიმფონია 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიას მიუძღვნა, როცა საბჭოთა ჯარებმა თბილისში უდანაშაულო, მშვიდობიანი მომიტინგეები დახვრიტეს.

ანდრია ბალანჩივადემ 30-იან წლებში პირველი ქართული ბალეტი „მთების გული“ (თავდაპირველი სახელი „მზეჭაბუკი“) დაწერა. ბალეტის დადგმა პირადად ბერიას დავალება იყო, რისთვისაც იმ დროს ლენინგრადიდან საგანგებოდ თბილისში უკვე პოპულარული მოცეკვავე ვახტანგ ჭაბუკიანი დააბრუნეს.

საქართველოში ჯორჯ ბალანჩინის ორჯერ ყოფნის ისტორიას თუ გადავხედავთ, ქორეოგრაფი თითქოს აპირებდა ძმის მუსიკაზე ბალეტის დადგმას, თუმცა ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდა. ქართულ მუსიკაზე ბალეტის დადგმის თემა ბალანჩინის თბილისში პირველი ჩამოსვლის დროს პრესაშიც გაჟღერდა. „კომუნისტმა“, ქართველი კომუნისტების მთავარმა გაზეთმა, 1962 წელს ბალანჩინთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ვკითხულობთ: „გადავწყვიტე, ნიუ-იოკში დავდგა ბალეტი ქართულ თემებზე. მუსიკას ბალეტისათვის დამიწიეს ჩემი ძმა – ანდრია ბალანჩივადე. მომავალი ნაწახმოების გეგმები ჩვენ უკვე დაწვრილებით განვიხილეთ. ჩვენი ჩანაფიქრით ბალეტში უნდა აისახოს საქართველოს ყველა მხარის ხადხუხი მუსიკა და ცეკვები. ეს იქნება ქოჩეოგრაფიის ენით გადმოცემული ქართული სიმფონია“. (ბალანჩინი, 1962, გვ. 4). ათი წლის შემდეგ, 1972 წელს, თბილისში მეორედ ჩამოსვლის დროს ქორეოგრაფმა კიდევ ერთი ინტერვიუ მისცა იმავე გაზეთს. საუბარი ქართულ მელოდიაზე ბალეტის დადგმაზე ამ ინტერვიუშიც გრძელდება: „ახლა, როცა თბილისში ვაჩ, – ამბობს ბალანჩინი, მინდა ვისახებოდ შემთხვევით და გავიცნო, უფრო სწოხად მოვისმინო, ჩემი ძმის ანდრია ბალანჩივადის ზოგიერთი ნაწახმოები და კომპოზიციის ადრესი მაჭავახიანის ბალეტი „ოტელი“. უნდა აღვნიშნო, რომ დიდი ხანია, ვედოლიავები იდეას – ქართულ მუსიკაზე დავდგა ცეკვები. ჩემდა სამწუხაროდ, თქვენ კი ნუ მოგეხილებათ, შეგიძლიათ მითხვათ, სიხცხვიდი თქვენით. დღემდე ცოცხალი ვიცი მამაჩემის ნაწახმოებებიც კი. სიჭაბუკიდან შემომჩიჩა მისი მხოლოდ ორი ხომანსი და საეკლესიო საგადობის ხამდენიმე გადამუშავებული ნიმუში. ახლა ვეცდები, თან წავიღო ოპერა „დახეჯან ცბიეხის“ კდავიხი მაინც. ახ ვიცი ხა მიზეზით, მაგხამ ამეხიკაში მხოლოდ უკანასკნელ წლებში შემოაღწია ქართული

ხელოვნების ნაწახმოებებმა – გაჩნდა ქართული სიმღეხების გხამფიხფიტები, ფეხწეხა, ჭედუხობა და უძვედესი ხატებიც კი. ახდახან გამორნდა აგხეთვე შოთა ხუსთავდის პოემის „ვეფხისტყაოსანი“ ინგდისუხი თახგმანი. სიტყვამ მოიტანა და ამ პოემაზე უნდა ვთქვა, ხამდენიმე წდის წინათ მონტე-კახლოში დადგეს ბადეტი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. ბადეტს ხატომლაც „ხუსთავედი“ ეხქვა. მე იგი ახ მინახავს, საეხთოდ წინააღმდეგი ვახ ასეთი დადგმებისა. ხუსთავდის პოემა ხომ ახაა მახტო დიდი პოეზია, ახამედ ღხმა ფილოზოფიაც ახის. ეს ქახთვედი ადამიანის სუდია, სუდის ცეკვა კი შეუძდებდია.

სხვა საქმეა, ხოცა ცეკვას ეხოვნუდ მუსიკაზე დგამ. ვფიქხობ, მხოლოდ ამ ფოხმით შეიძდება გადაწყდეს ქახთუდ მუსიკაზე ბადეტის დადგმის პხობდემა. ეს ძადიან ძნედი საქმეა და ყვედაფეხს გავაკეთებ, ხომ შევასხუდო. მე ხომ ქახთვედი ვახ, ეს ახ ახის საკმახისი, საჭიხოა ღხმად ჩასწვედ, შეისწავდო და გაიგო ქახთუდი მუსიკა, ხომ ახ გააყადბო იგი, ხოცა ცეკვის ენაზე თახგმნი. სხვანაიხად ახ შეიძდება“ (ბადანჩინი, 1972, გვ. 4).

ჯორჯ ბალანჩინი 1962 წელს, თბილისიდან პირდაპირ ქუთაისში, მამის საფლავზე წაუყვანიათ. „მწვანეყვავილას“ სასაფლაოზე ანდრიასთან და ნახევარძმასთან ყოფილ არქიდიაკონთან, დიდებულ მგალობელთან და ადგილობრივი ხელისუფლებისგან ათვალწუნებულ აპოლონთან ერთად ასულა. ბალანჩინს დაუთვალეერებია გელათი. ექსკურსიას კომპარტიის ქალაქკომი მეთვალყურეობდა. ბალანჩინი დანვრილებით ათვალეერებდა გელათის უნიკალურ ფრესკებს. ბიბლიურ სცენებზე უფრო დიდხანს აჩერებდა მზერას, ძალიან მოეწონა საკურთხევლის ღვთისმშობლის მოზაიკური ფრესკა. ექსკურსიის დასასრულს საპატიო სტუმარს, უკვე წმინდა გიორგის ეკლესიაში, მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში შემდეგი ჩანაწერი გაუკეთებია: „Приятно было посетить это место. Горжус что я имерели. Дж. Баланчин“ – „სასიამოვნო იყო ამ ადგილის მონახულება. ვამაყობ, რომ იმერელი ვარ. ჯორჯ ბალანჩინი. (ბალანჩინი ქუთაისში, 1999).

ბალანჩინზე გურიში მოგზაურობასაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რაც 1962 წლის პროგრამის ნაწილი იყო: „ვესტუმხე გუხიასაც. ახასოდეს ახ დამავიწყდება ის განსაკუთხებული გუდთბილობა, ხოგოხითაც სტუმახთმოყვახე მახახაძეებმა (ახდა ოზუხგეთი) მიმიღეს. მასპინძლობას საზღვახი ახა ჰქონდა, მაგხამ ყვედაზე ძვიფასი, ხითაც სუფხაზე გამიმასპინძდენენ, ეს იყო გუხუდი სიმღეხები და ცეკვები.

ღხმად ჩამიჩა მეხსიეხებაში „კიიმანჭუდი“. ხაოდენ დიდ და ღხმა კუდგუხას უნდა ფდობდეს ხადხი, ხომ შექმნას ასეთი ახნახუდი პოდიფონია! ნამდვიდად საოცახია! მაგხამ მაინც ჩემზე, ხოგოხც ქოხეოგხაფზე, ნამდვიდად დაუვიწყახი შთაბეჭდილება მოახდინა ხადხუმა ცეკვებმა. ყვედას თვადებში შევცქეფოდი, ხომ ახ გამომიჩენოდა ახც ეხთი მოძხოობა, ახც ეხთი ჟესტი, ახც ეხთი პა.

უკვე ვთქვი და ახდაც მინდა გავიმეოხო, ხომ ეს ცეკვები მშვენიეხი ყვავილია, მახახაძეში კი ამ ყვავილთა წახმგაცი თაიგუდი ვნახე. განა ვინმეს მოსწყინდება მშვენიეხი ყვავილებით დატკობა?! სამწუხაროდ, ბევრი დხო ახ მქონდა, თოხემ საათობით დავვდებოდი და ვუყუხებდი ამ მომხიბლავ ცეკვებს“, – წერდა ბალანჩინი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში (ბალანჩინი, 1962, გვ. 4).

მაგრამ მთავარი მოვლენა თბილისში 1962 წელს მოხდა. ბალანჩინის დასის – „ნიუ-იორკ სითი ბალემ“ გამოსვლა ნამდვილ სასწაულად იქცა. ბალეტისა და, ზოგადად, ხელოვნების მოყვარულები რაღაც ახალი, გაუგონარი მოვლენის მომსწრენი გახდნენ. მათ აღმოაჩინეს, რომ „გედების ტბისა“ და „ჟიზელის“ ტრადიციული საბალეტო ესთეტიკის გარდა, ქორეოგრაფიაში არსებობს რაღაც კიდევ უფრო ემოციური და მშვენიერი.

ორივე გასტროლის დროს „ნიუ-იორკ სითი ბალემ“ თბილისში, 1962 წელს – ოპერისა და ბალეტის თეატრის, 1972 წელს კი თბილისის ფილარმონიის სცენაზე მრავალმხრივი პროგრამა აჩვენა მაყურებელს. „ნიუ-იორკ სითი ბალემ“ ბალანჩინისა და ჯერომ რობინსის ბალეტები წარმოადგინა.

თუმცა ძნელი სათქმელია, ყველამ სწორად აღიქვა თუ არა ბალანჩინის იდეები, შთაგონება და ემოციები, რომელსაც იგი ქორეოგრაფიული ტექსტით გადმოსცემდა. თბილისში და ზოგადად საბჭოთა კავშირში ბალანჩინის სტილი მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც ოფიციალური კრიტიკისთვის, ისე ბალეტმაისტერების და ქორეოგრაფების ნაწილისთვის. ახალგაზრდობა კი პირიქით, დაატყვევა ახალმა, ნოვაციურმა მიდგომებმა ქორეოგრაფიაში. მაგალითად, რუდოლფ ნურიევი „აპოლონ მუსაგეტს“-ის ნახვის შემდეგ ლენიგრადის კიროვის (ახლა „მარიინსკი“) თეატრში პირდაპირ სარეპეტიციო დარბაზში წავიდა და მაშინ ახალგაზრდა ქორეოგრაფს იური გრიგოროვიჩს ამ ბალეტის ყველა მოძრაობა ზეპირად უჩვენა. პარადოქსი იყო ის, რომ რაც „აპოლოში“ და ბალანჩინის სხვა ბალეტებში ხდებოდა 20-იან წლებში, სწორედ ნევის ნაპირზე მდებარე ქალაქში დაინყო, ბალეტმაისტერთა ახალგაზრდა თაობაში, რომელთაგან ბევრმა დატოვა საბჭოთა რუსეთი, ვინც დარჩა იმათგან ბევრმა საერთოდ დაანება თავი ქორეოგრაფობას, რადგან საბჭოთა დრამბალეტის სტილისთვის ახალი, თამამი იდეები მიუღებელი იყო.

ბალანჩინისთვის კი ეს ყველაფერი 1924 წელს დასრულდა, როცა ის რუსეთიდან წავიდა და აღარ იტაცებდა საიმპერატორო თეატრისთვის შექმნილი სიუჟეტიანი საბალეტო სპექტაკლები. წლების შემდეგ იგი ამერიკაში შეხვდა ქორეოგრაფ ლეონიდ ლავროვსკის, ახალგაზრდობაში მის თანამოაზრეს და მეგობარს, რომელმაც ამერიკაში „ბოლშოი“ თეატრთან ერთად საკუთარი „რომეო და ჯულიეტა“ ჩაიტანა. „ჩვენ რატომ უნდა გა-

ვაკეთოთ შექსპირი, შექსპირმა თვითონ გააკეთა შექსპირი“, – ამბობდა ბალანჩინი (თავბერიძე, 2018, გვ. 43-48). თბილისში მას ჭაბუკიანის „ოტელოც“ უნახავს და მსგავსი შეფასება გაუკეთებია. მახსენდება საუბარი ბატონ ალექსანდრე ჩხეიძესთან, ბალეტის ქართველ კრიტიკოსთან, რომელიც იცნობდა ბალანჩინის და სპექტაკლზეც თან ახლდა. ბალანჩინი არ დარჩენილა მოხიბლული ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით. თუმცა ჭაბუკიანს, როგორც მოცეკვავეს, დიდად აფასებდა და 1934 წელს ამერიკაში ვეჩესლოვა-ჭაბუკიანის გასტროლის დროს მისთვის პირადი ბარათიც კი მიუწერა: „Родостным волнением ждем вашего успеха. От любящих стариков Владимиров, Баланчивадзе“ – „მოუთმენდა ვეღით თქვენს წახმაგებას. მოსიყვარულე მოხუცების – ვლადიმეროვის და ბალანჩივადისგან“ (Век Баланчина, 2004, გვ.101).

„დაინახეთ მუსიკა და მოისმინეთ ცეკვა“ – ეს ბალანჩინის ქორეოგრაფიის ფორმულაა. მის ბალეტებს არა აქვთ სიუჟეტი. ისინი მშვენიერები არიან იმისთვის, რომ ნახოთ და ისიამოვნოთ. ანდრია ბალანჩივადე, რომელიც 40 წლის უნახავ ძმას და მის კომპანიას მეგზურობას უწევდა თბილისში, იგონებდა:

„ეხთმა კოხესპონდენგმა, აქ ყოფნის დროს ჰკითხა, ჩაგომ ახა აქვს თქვენს ბაღებს შინაახსი?“

„ბაღეტი უპიხვედესად ახის სიღამაზე, – უპასუხა მან. აი, აიღეთ ვახდი. მოგწონთ? ხა შინაახსი აქვს მას. უბადოდ, დამაზია. ბაღეციც ასეა“ (ბალანჩივადე, 1990, გვ.4-5).

ჟურნალისტის შეკითხვაზე – „თქვენ ქორეოგრაფი ხართ?“, ბალანჩინი პასუხობს: „ხა საშინედი სიგყვაა ქოხეოგრაფი. მე უპიხატესობას ვანიჭებ ცეკვის მეტის ან ბაღემაისტეხს. პეტიპას ბაღემაისტეხს ეძახდნენ, ეს ჩემთვისაც შესაფეხისი იქნებოდა“ (კენინგემი, 2015, გვ. 88-91). ბალანჩინი ჭეშმარიტად არის ცეკვის მეტრი. პეტიპა და ბალანჩინი კი ორი დიდი ეპოქა, სტილი, მიმდინარეობა და აზროვნება ქორეოგრაფიაში. კარიერის ბოლოს პეტიპამ ამაყად თქვა, რომ ევროპაში საუკეთესო ბალეტი შექმნა. იმავეს თქმა შეეძლო ბალანჩინს, რომელმაც საუკეთესო ბალეტი შექმნა ამერიკაში. ბალანჩინს დღეს მთელ მსოფლიოში ცეკვავენ.

ლიტერატურა:

ბალანჩივადე 1990: ბალანჩივადე ა., „ჩემი ძმა ჯორჯ ბალანჩინი“, „სამშობლო“, № 4-6., 1990.

ბალანჩინი 1999: „ბალანჩინი ქუთაისში“, „მწვანეყვავილა“, № 1, 1999.

ბალანჩინი 1962: ბალანჩინი ჯ., „ბედნიერი ვარ, რომ ვნახე საქართველო!“, „კომუნისტი“, 29 ნოემბერი, 1962.

ბალანჩინი 1972: ბალანჩინი ჯ., „მუსიკა ცეკვაა, ცეკვა- მუსიკა“, „კომუნისტი“, 8 ოქტომბერი, 1972.

თავბერიძე 2018: თავბერიძე ი., „პეტიპადან, ფოკინის გავლით, ბალანჩივაძემდე“, „არაბესკი“, № 1, 2018.

თავბერიძე 2014: თავბერიძე ი., „შეხვედრები საქართველოში“, „არაბესკი“, №1, 2014.

კენდელი 2014: კენდელი ე., „ბალანჩინი და მისი დაკარგული მუზა: რევოლუცია და ქორეოგრაფის დაბადება“, თბილისი, „დიოგენე“, 2014.

კენინგემი 2015: კენინგემი კ., „ცეკვების შემოქმედი“, ინტერვიუ ჯორჯ ბალანჩინთან, „თორმეტი“, № 4, 2015.

Волков 2004: Волков С., „Страсти по Чайковскому. Разговоры с Джорджем Баланчиним“, Москва, „Эксмо“, 2004.

Баланчин 2004: Век Баланчина, Санкт-Петербург, „Аврора-дизайн“, 2004.

Ilia Tavberidze

Georgian Public Broadcaster

George Balanchine in Georgia

Key words: *George Balanchine, Ballet, Balanchine and Georgia, Andria Balanchivadze, New York City Ballet*

George Balanchine, an American choreographer of Georgian ancestry, first visited Georgia in the fall of 1962, six decades after his birth.

After 44 years apart, Balanchine met only with his younger brother, Andria, in 1962 at Sheremetyevo Airport in Moscow. Andria was already a well-known Georgian composer at the time, having written the first Georgian ballet, the first piano concerto, and a symphony. George's parents, Meliton Balanchivadze and Maria von Almedingen had both died, and George's sister, Tamar, had tragically died during the siege of Leningrad.

“My dream finally came true when, fifty-seven years since my birth, I finally stepped on my father’s homeland soil and met my brothers and relatives after forty years away! It is hard to convey the joy and excitement I felt during my stay in Georgia. And it is not surprising.” Those were the words of George Balanchine back then.

In 1962, he traveled from Tbilisi to Kutaisi to visit his father's grave. At the Mtsvanekvavila cemetery in Kutaisi, he was accompanied by his brothers, Andria, Giorgi, and half-brother, Apollo. They took Balanchine from Kutaisi to Gelati. "It was

a pleasure to visit this place," the guest of honor wrote in the book of impressions at the end of the tour. "I am proud to call Imereti home." George Balanchine.

Balanchine was considering staging a ballet based on Georgian music and spoke about it in the press upon his arrival in Tbilisi. "Communist," the main newspaper of the era by the Georgian Communists, published an interview with Balanchine in 1962, which stated:

"This might be a bit daring of me, but I have decided to stage a ballet on a Georgian theme in New York. My brother Andria Balanchivadze will create the score for the piece. We went through the details of a plan for the piece, and we plan to show folk music and dances from all parts of Georgia in this ballet, which will be a Georgian symphony told in the language of choreography."

On his second visit to Tbilisi ten years later, in 1972, the choreographer gave another interview to the same newspaper. This interview also continues the discussion about staging a ballet based on Georgian melodies:

"Now that I am in Tbilisi I would like to get to know, or hear, certain works by my brother Andria Balanchivadze, and the ballet Othello by composer Alexi Matchavariani. I must note that I have been looking into the idea of staging dances on Georgian music for a long time. You could berate me for this long delay. I know very few even of my father's pieces. I only have two romances and reworks of church canticles. I will try to take the score for the opera Darejan the Insidious with me this time.

It is different when you stage a dance on national music. I believe only this way can the challenge of staging a ballet on Georgian music can be overcome. This is a very difficult task, and I will do everything in my power to achieve it. My Georgian roots are not enough for this – you need to reach the depths of and study the subject of Georgian music, to avoid having a false result while translating it into the language of dance. There is no other way around it."

George Balanchine and the New York City Ballet visited Tbilisi twice. A multifaceted program was presented on the stage of the Tbilisi Opera and Ballet Theatre in 1962, and on the stage of the Tbilisi Concert Hall in 1972. The New York City Ballet performed a Balanchine and Jerome Robbins ballet.

Balanchine answers a journalist's question of whether he considers himself to be a choreographer. "What a terrible word 'choreographer' is! I prefer to use the words 'maître de ballet' or 'ballet master.' Petipa was regarded as a ballet master. I believe that would suit me as well." Balanchine was truly a maître de ballet. Along with Petipa, he was part of two huge epochs, styles, and movements, and shaped the way of thinking in choreography. At the end of his career, Petipa was proud to claim: "I created the best ballet in Europe." The same could have been repeated by Balanchine, who created the best ballet in America. Today his works are performed all over the world.

მანანა კვატაია

თსუ შოთა ხუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გრიგოლ რობაქიძის „ჩემი განმარტების“ პარადიგმატიკისათვის

საკვანძო სიტყვები: გრიგოლ რობაქიძე, „ჩემი განმარტება“, „ადოლფ ჰიტლერი“, გეგმანული ხეაღობა, ჰიტლერის სახე.

1947 წლის შემოდგომაზე ჟენევაში გრიგოლ რობაქიძემ დაწერა „ჩემი განმარტება“ („Meine Erklærung“), ტექსტი-ენიგმა, რომელიც, ეპიგრაფის მიხედვით, განკუთვნილი იყო გერმანიის მწერალთა გაერთიანებების, გერმანული გამომცემლობების, პენ-კლუბის, საკუთარი მკითხველისადმი. ეს იყო ვრცელი ესე-აღსარება, რომლის გამოქვეყნება ვერავის გაუბედავს. „ჩემი განმარტების“ გერმანული ორიგინალი პირველად 2011 წელს ქალაქ აახენში დაიბეჭდა (Gagnidze, 2011). მისი ტექსტი შეიცავს მანქანაზე გადაბეჭდილ 21 გვერდს და დაცულია ციურისში, ოტო ცოგის (Otto Zaugg) არქივში. გრიგოლ რობაქიძის მიზანია, განმარტოს, რატომ, რა ვითარებაში დაიწერა სკანდალური ტექსტი „ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი პოეტის თვალთ დანახული“ (1939), ესეისტური თხზულება, რომელმაც ავტორს დროებით წარმატებასთან ერთად ბევრი უსიამოვნება შეამთხვია. მეტიც, „ადოლფ ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ გამო, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რობაქიძის ტექსტებს ევროპაში თითქმის არ ბეჭდავდნენ.

იმავე, 1947 წლით თარიღდება გრიგოლ რობაქიძის წერილი ქართველი მწერლებისადმი, სადაც ავტორი კოლეგებს განუმარტავს ამ სკანდალურად ქცეული თხზულების ამბივალენტურ, ალეგორიულ პლანს: „ეს წიგნი „პითაგორეული“ გეგმებითაა აგებული... მოკლედ, აქ ნაციონალისტური მსოფლხედვა სრულიად შენგრეულია შინაგან... ომის ღერღირში ვილას ეცალა ნიუანსების ამოცნობისათვის?“ (რობაქიძე, გვ. 2012: 88).

„ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი მწერლის მიერ დანახული“ ორიგინალური არქიტექტონიკის, ენიგმური პარადიგმებით დატვირთული ტექსტია. ავტორი მთავარ სათქმელს მეტაფორული, მითოლოგიური თუ ფილოსოფიური წიაღსვლებით, სტრიქონებს შორის ნიღბავს და კონცეპტუალურად იკვლევს ევროპის ბედისწერად ქცეული ფიურერის მისტიკურ, შინაგან ხატს. „ჩემს განმარტებაში“ ნათქვამია: „როგორც „ნანარმოებს“, მას განმარტება არ სჭირდება. მასში ყოველი სიტყვა მოფიქრებულია, ყოველი სტრიქონი – აწონილ-დაწონილი. თავისი ზუსტი სიმოკლით იგი სონეტს (!) ემსგავსება!“ (რობაქიძე, 2012, გვ. 3). მწერლის მითითებით, „ადოლფ ჰიტ-

ლერი“ 14 თავისაგან შედგება, როგორც ჟანრი (სონეტი – მ.კ.) – 14 სტრიქონისაგან.

გრიგოლ რობაქიძე ფიქრობს, რომ თხზულების ირგვლივ „საბედისწერო გაუგებრობა“ შეიქმნა და მართებული იქნებოდა, „ავტორის სიტყვაც შეესმინათ“. მწერალი გულახდილად აღიარებს: „მე მუდამ „მესამე ნაპირზე ვდგავარ: – მდინარეს ასეთიც აქვს – და ამგვარად: იქიდან აქეთ, პიროვნული მიკერძოების გარეშე, თხზულებას, ვითარცა საჭადრაკო პარტიას, მკაცრად გავაანალიზებ“ (რობაქიძე, 2012, გვ. 4).

„ჩემი განმარტება“ ერთგვარი გაგრძელება და ახსნაა 9 წლით ადრე დაწერილი „ადოლფ ჰიტლერის“ ტექსტისა. მასში დაზუსტებულია მწერლის ბიოგრაფიის უცნობი მომენტები, მოთხრობილია „ადოლფ ჰიტლერის“ შექმნის ისტორია, განმარტებულია მისი კონცეპტუალური მონაკვეთები, შეფასებულია ტრაგიკული დროის უმთავრესი მარკერები. ეს სკანდალური ვრცელი ესე მეორე მსოფლიო ომამდე, 1938 წელს, დაიწერა. ახალ, ქარიზმატულ ლიდერზე ამ დროს ევროპაში ბევრს ლაპარაკობდნენ. გერმანელი ფიურერის დაბადებიდან 50 წელი შესრულდა და ეს თარიღი აღინიშნა კიდევ. იმდროინდელი მსოფლიოს ერთ ნაწილს აღაფრთოვანებდა ჰიტლერის წარმატებები თუ პიროვნული თვისებები. ჩემბერლენს უთქვამს: ამგვარი ნებისყოფისა და ძლიერი სულის ადამიანი ინგლისსაც გამოადგებოდაო. ჟურნალ „ტაიმსს“ ჰიტლერი 1938 „წლის ადამიანად“ დაუსახელებია, რომელიც მომავალ, 1939 წელს, ისეთ რაიმეს გააკეთებდა, რომელიც კაცობრიობას დიდხანს ემახსოვრებოდა.

ბუნებრივია, გერმანიაში იძულებით ემიგრირებული გრიგოლ რობაქიძე თვალს ადევნებდა ახალი, იდუმალებით მოცული ლიდერის მოღვაწეობას. „მისმა გამოჩენამ მეც შემძრა“, – აღნიშნავს მწერალი და განმარტავს: „მე, როგორც მწერალსა და მეტაფიზიკოსს, მუდამ ჩვეულებად მაქვს, მოვლენას მის გარემოებამდე ჩავწვდე“ (რობაქიძე, 2012, გვ. 4). ამ გარემოებათა, კერძოდ, ჰიტლერის შინაგანი ხატის მხატვრული კვლევისათვის მწერალი სხვადასხვა მეთოდს მიმართავს.

„ჩემი განმარტების“ მიხედვით, ადოლფ ჰიტლერი მწერალს არასოდეს უნახავს, მისი ენიგმის იდუმალების ამოხსნისათვის რობაქიძე უამრავ ფოტოსურათს აკვირდება და გაცოცხლებით შენიშნავს, რომ მისი „არც ერთი სურათი არ ემსგავსებოდა სხვას“. ამ მოვლენას იგი „არარსებობის ნიღაბს“, „მოჩვენებას“ უწოდებს, თუმცა არც ის ავინყდება, რომ ამ ფანტომს „მოდრაობაში მოჰყავდა მილიონები“. მის ხელთ არსებული ფოტოების მიხედვით „ჩემი განმარტების“ ავტორი დაასკვნის: „ის სხვადასხვაგვარად გამოიყურება, ზუსტად ისე, როგორც მანით შეპყრობილი, ვინც საკუთარ

თავში „ნაკადებს“ სეისმოგრაფიული მგრძნობელობით იღებს“ (რობაქიძე, 2012, გვ. 4-5).

შემდეგ მწერალი აყურადებს ქარიზმატული ლიდერის ხმას, რადიოში რომ უსმენს: „ხმა მას სრულად ავლენდა – ის, მეტაფიზიკურად აღქმული, უწყვეტად ამოდ როდით მოედინებოდა ხორხიდან. იგი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, თითქოს მისი მეშვეობით ვიღაც სხვა მეტყველებდა“ (რობაქიძე, 2012, გვ. 5).

ჰიტლერის პიროვნული იდუმალების ამოცნობაში მწერალს ის ფოტოსურათი ეხმარება, სადაც აღბეჭდილია დიდი დემონსტრაცია, „გერმანიაზე ვერსალის დიქტატურის გამოცხადების გამო“. „აქ ათასებს შორის იდგა ისიც, პირქუშად ანთებული, საკუთარ თავში მზერაჩაბრუნებული, მრისხანედ, შემზარავი – „ანონიმი“. ფოტოს მიხედვით, რობაქიძე ამ პირქუშში ახალგაზრდა კაცის განსაკუთრებულ მისიას შეიგრძნობს: „თითქოს მხოლოდ ის ეხმოთ, რათა მძლავრი ტალღა, რომელიც იმჟამად მთელ გერმანიაზე გადადიოდა, საკუთარ თავზე მიეღო, დარტყმისას რომ გაერღვია: ტალღა წინააღმდეგობისა“ (რობაქიძე, 2012, გვ. 5). ავტორის თქმით, თითქოს ბრძოლის ველიდან „უცნობი ჯარისკაცი“ აღდგა, რომელიც მას გამოღვიძებისაკენ მოუწოდებდა. მსგავსი შეფასებაა „ადოლფ ჰიტლერის“ ტექსტშიც: „მას Amor fati აძლევს დაბრკოლების გადამლახავ ნებისყოფის ძალას... დგას მტკიცედ: სრულ მზადყოფნაში. იგია ის, ვისშიც ამ ტალღამ ჰპოვა თავისი იდეების მატარებელი“ (რობაქიძე, 2010, გვ. 16).

„ჩემს განმარტებაში“, ისევე, როგორც „ადოლფ ჰიტლერში“, მწერალი კვლავ ფილიგრანული ოსტატობით ცდილობს გერმანელი ფიურერის ენიგმის სხვა შტრიხების წვდომას. ერთხელ ჰიტლერის ვიზიონი მას ძილისა და ღვიძილის გასაყარზე კიდევ უფრო შემადრწუნებლად უხილავს: „მის თვალებს გუგები არ ჰქონდა: ისინი ბრმად ბრწყინავდნენ – ხშირი, გოგირდისებრი ფოთლების დარად – და მაინც: მოპირდაპირეს სრულად მსჭვალავდნენ“ (რობაქიძე, 2012, გვ. 6). მწერალი მედიტირებს და ხვდება, რომ „ამგვარი თვალები უმეტესად იმ ადამიანებს აქვთ, რომლებიც „მანა“-ძალას“ („Mana“-Kraft) ფლობენ“.

გრიგოლ რობაქიძის დაკვირვებით, „მანა“ ცხოველის ძალაა“. ის სრულიად განსხვავებული ფენომენია: ცხოველმა არც სირცხვილი იცის და არც შიში, არც საზღვრებს ცნობს. „იგი სხვას „საგნად“, „ობიექტად“ ვერ აღიქვამს... ცხოველი განუყოფელია. მასში ღვთაებრივი მთლიანობა კვლავ აგრძელებს სიცოცხლეს“ (რობაქიძე, 2012, გვ. 8). ადამიანს კი ცხოველი – ღვთაებრივი მთლიანობა – ცოდვით დაცემისას განეშორება და შემდეგ იგი თავის დაკარგულ ნახევარზე – მეტაფიზიკურ ძმაზე – ნაღვლობს, „ის

აღმერთებს ცხოველს“. თხზულებაში „ტოტემის“ ფენომენიც ამგვარად არის ახსნილი.

მწერლის მოსაზრებით, ადოლფ ჰიტლერი ფლობდა ამ „მანა“-ძალას. „ის მასთან ვლინდება, ვითარცა ძველი ბერძნული “Kairos“. ეს კი არის „უნარი, ყოველი მიზნის მისაღწევად ქმედებისას სწორად შეარჩიო სწორი წამი, არც უფრო ადრე და არც უფრო გვიან“ (რობაქიძე, 2012, გვ. 9). გრიგოლ რობაქიძის შეფასებით, „მანა“-ძალას რასპუტინიც ფლობდა. „ჩემს განმარტებაში“ ავტორი აღნიშნავს, რომ ამ არაორდინარული პიროვნების შესახებ მას დაუწერია ესე „რასპუტინი, რუსი ენქიდუ“ (ჩვენთვის დღემდე უცნობი ტექსტი), მაგრამ მისი გამოქვეყნება ვერავის გაუბედავს.

„ჩემს განმარტებაში“ გრიგოლ რობაქიძე მსჯელობს ჰიტლერიზმის არსის შესახებ და შენიშნავს, რომ მისი პრინციპები „წმინდა არ იყო, ისინი მცდარად განიმარტებოდა და კიდევ უფრო მცდარად კანონდებოდა ყოფაში (რობაქიძე, 2012, გვ. 10). მისი აზრით, მცდარი იყო ის, რომ ჰიტლერელები ქრისტეს ჯვარს წარმართთა ჯვრით – სვასტიკით „თრგუნავდნენ“. სვასტიკა კი, „ჩემი განმარტების“ ავტორის მითითებით, „ქრისტეს ჯვრის წინა სახეა“. მწერალი ტექსტში ახსენებს ქართულ ჯვარს, სადაც ვაზის მოჭრილი რტოები წმინდა წინოს თმებითაა შეკრული. მისი აზრით, აქ „წარმართობა და ქრისტიანობა საკრალურადაა დაქორწინებული“.

„ჩვენ ყოველ წამს „საფრთხე“ გვდარაჯობს“, – აღნიშნავს იმავე ესეში გრიგოლ რობაქიძე და აგრძელებს: „მას თუ დავძლევთ, ამგვარად, ღვთაებრივად საჩუქარს ვიღებთ“. მწერლის გაგებით, საფრთხე ყოველ არსებას ემუქრება, მთავარი საფრთხე კი მისი საკუთარი თავია.

მწერალი გერმანელი ერის წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ ფუნდამენტურად მსჯელობს და შენიშნავს, რომ გერმანელის არსებაში ქრისტიანობამ ვერ შეძლო, წარმართული გაეთავისებინა. „გერმანელში კვლავაც წარმართი ცხოვრობს, თუმცა ისეთი, რომელიც, ამ წარმოდგენით, მისტერიებში იკარგება“ (რობაქიძე, 2012, გვ. 13). ამ მოვლენის ახსნას რობაქიძე ხედავს ნიციშუს ფრაზაში: „გერმანელების სიცოცხლის შეგრძნებაში ბატონობს „ბედისწერის სიყვარული“: „Amor fati“.

ესეს მიხედვით, ევროპის ხალხები ბედისწერას იღებენ, როგორც „გარედან იძულებას“ და მის შერბილებას ცდილობენ, გერმანელი კი მას იღებს, როგორც „შინაგან აუცილებლობას და არ ეშინია, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ატაროს იგი“ (რობაქიძე, 2012, გვ. 14). ასევე, ავტორის დაკვირვებით, გერმანელს ახასიათებს „ცხოვრებაში მორჩილების“ ნაცვლად „ცხოვრებისადმი გაბედაობა“, რაც ზეგამბედაობაში გადადის. მეტიც, გერმანთა მთავარი ღმერთი „შემტევად, დარბაისლურად გიყურებს... მისი შიგნიდან მბრწყინავი მზერა გამჭოლია“ (რობაქიძე, 2012, გვ. 16). გერმანელების გაორებულ ბუნებაზე („ბიურგერი“ – „ობივატელი“) მსჯელობისას

საყურადღებოა მწერლის დაკვირვება: „უწყინარი გერმანელი – თუ ის ერთხელ სამხედრო უნიფორმას ჩაიცვამს – უცნაოდ ბერსერკერად, თუ არა მთლად ვიკინგად, გადაიქცევა“ (რობაქიძე, 2012, გვ. 17).

იმდროინდელი საფრთხეების ზონაში მოიაზრებს რობაქიძე ყველაზე საბედისწეროს – „ჰიტლერიანელთა თვალსაზრისს ებრაელების მიმართ“. ამ მოვლენას მწერალი გერმანელების „აქილევსის ქუსლს“ უწოდებს და მიუთითებს საკუთარ, ასევე დღემდე უცნობ ნაშრომზე „ისრაელი, ვითარცა საიდუმლო და ბედისწერა“ (Israel, als Geheimnis und Schicksal), სადაც ამ საკითხებზე დაწვრილებით ყოფილა მსჯელობა. „ებრაელთა საკითხი“ „ჩემს განმარტებაში“ იმ კონტექსტით განიხილება, რომ „ყოველი ხალხი ღვთაებრივი მრავალფეროვნების გამოვლენაა“ და „ებრაელი ხალხიც თანაბრად ამგვარ გამოვლენას წარმოადგენს“ (რობაქიძე, 2012, გვ. 31).

გრიგოლ რობაქიძე ხსნის, თუ რატომ დაინტერესდა ჰიტლერის თემით: „მე გერმანიაში „გამვლელი“ არ ვყოფილვარ. ამგვარად რომ იყოს, მოლაღატე გავხდებოდი ჩემი ქვეყნის მითიური თაურმდგენის, სახელად „კარდჰუ“-სი. ასე გავბედე, „ხატის“ მეშვეობით იმ ატმოსფეროზე ზეგავლენა მომეხდინა“ (რობაქიძე, 2012, გვ. 23).

თხზულების ამ მონაკვეთში მწერალი კიდევ ერთხელ განსაზღვრავს თავისი კონცეფციის ძირითად მომენტებს. ესენია: *მიწიეხი ძაღები* – დედამინა განხილულია, ვითარცა კოსმიური სული. სული კი, ავტორის გაგებით, „მუდამ კონკრეტულ „დედამინის გარემოებებში“ იბადება: რასაში, ხალხში, ენაში, კულტურაში. ესენი კი, თავის მხრივ, ღვთაებრივი მრავალფეროვნების გამოვლინებებია. „ყოველ ხალხს კაცობრიობაში თავისი მისია აქვს“, – შენიშნავს რობაქიძე და განმარტავს, რომ მის სადავო თხზულებაში („ადოლფ ჰიტლერი“) არ მოიპოვება სტრიქონიც კი, სადაც საუბარია იმაზე, რომ გერმანები დასავლეთ ევროპის გაბატონებული ხალხი უნდა იყოს.

სისხლისა და ხასის კონცეპტებზე მსჯელობისას გრიგოლ რობაქიძე „ჩემს განმარტებაშიც“ აფიქსირებს თავის ადრინდელ პოზიციას: „კულტურები უნდა აიხსნას არა სისხლის „მეშვეობით“, არამედ სისხლის „ხანგრძლივობით“ (რობაქიძე, 2012, გვ. 27). „ხადის“ კონცეპტი თხზულებაში განსაზღვრულია, როგორც არა „ხადაც“, არამედ „ვინმე“, ხოლო ეს „ვინმე“ რობაქიძისათვის „ხალხის მითიური თაურმდგენია. „იგი არის ის, ვინც ენაში „ფიქრობს“ და „წარმოქმნის“ (რობაქიძე, 2012, გვ. 27).

„*მიწიეხი ძაღების აღძვხა*“ ესეს ტექსტში გაგებულია, როგორც საკუთარი თავის წარმომქმნელი, სულის სიმტკიცისა და სიმაგრის მიმნიჭებელი ცნება. „სახედმწიფოს“ დეფინიციას კი ავტორი ქართულ „*ძაღაუფლებასთან*“ აკავშირებს. „ჩვენთვის ძალაუფლება საკრალური წარმოშობისაა“, – შენიშნავს მწერალი. მისი აზრით, სიტყვაში „*ხედმწიფე*“ „წმინდა მეფის მთელი კონცეფციაა შემორჩენილი“. „სახელმწიფო ჩემთვის მუდამ წმინდა სახელ-

მნიშვნელოვანია, – აღიარებს რობაქიძე და მიუთითებს, რომ თავის ადრინდელ ტექსტში ჰიტლერს ფრიდრიხ დიდის „პრუსიული“ სახლის მხარეს კი არა, დიტრიხ ფონ ბერნის საგვარეულო ხესთან ერთობლიობაში მოიხსენიებდა.

გერმანიაში „ადოლფ ჰიტლერის“ პუბლიკაციის ისტორიის დეტალებს გრიგოლ რობაქიძე ასე იხსენებს: „1938 წლის ბოლოს მე ხელნაწერი „გამომცდელ კომისიას“ გადავუვცი“ (რობაქიძე, 2012, გვ. 32). მწერლის მითითებით, ამ დროს ამ სამსახურის უფროსი ჰაინც ჰედერიხი ყოფილა, კაცი, რომელიც ფაშისტ ფანატიკოსთა რიცხვს არ განეკუთვნებოდა. მაგალითად, „რაიხის“ იდეის დასაბუთებისათვის მას „სასიცოცხლო სივრცის“ მოთხოვნა საკმარისად არ მიაჩნდა. თუმცა მარტო ფედერიხს არ შეეძლო, გრიგოლ რობაქიძის თხზულების გამოქვეყნების თაობაზე თავისი გაეტანა.

„ჩემი განმარტებიდან“ ირკვევა, რომ რობაქიძის „ადოლფ ჰიტლერის“ წარდგენილ ხელნაწერს – სულ 22 გვერდს – ფოტო გადაუღეს და მოწვეულ პირებს შესამოწმებლად გადასცეს, ხოლო თხზულების ტექსტის განხილვა მთელი 9 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მწერლის თქმით, ამის მიზეზი ის იყო, რომ „შემმოწმებელთ ვერ ხელეწიფებოდათ, თხზულებას ან დათანხმებოდნენ და ან მასზე უარი ეთქვათ“ (რობაქიძე, 2012, გვ. 32).

გრიგოლ რობაქიძის „ადოლფ ჰიტლერის“ დაბეჭდვაზე გადაწყვეტილების მიღება 1939 წლის 23 აგვისტოს ბერლინსა და მოსკოვს შორის პაქტის დადებას დაუქმარებია. „გამომცდელ კომისიას“ ავტორისათვის უცნობებია, თხზულება მიღებულიაო. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ ვითარებაში რობაქიძის მსოფლხედვა უკვე აღარავის აინტერესებდა. „ახლა მხოლოდ A. H.-ს (ადოლფ ჰიტლერის – მ.კ.) „დიდება“ სჭირდებოდათ, სულ ერთია, წარმოსახვითი იყო ის, თუ ნამდვილი. და ომის გრიგალში ვის ჰქონდა ფუფუნება, თხზულების დახვეწილ მომენტებს ჩასწვდომოდა?“ (რობაქიძე, 2012, გვ. 33). „ადოლფ ჰიტლერი“ მაშინ გამოქვეყნებულა, როდესაც „ომი გაჩაღებული იყო. ერთბაშად გაქრა ყველა საქმის ყველა ნიუანსი, თხზულების შინაგანი ორიენტირი მკითხველის თვალსაზრისზე გახლდათ დამოკიდებული“ (რობაქიძე, 2012). წიგნი გერმანიაში მალე გავრცელდა. მარგარეტ შუხარდის ინფორმაციით, რამდენიმე წელიწადში აქ მისი 112.192 ეგზემპლარი გაიყიდა.

გერმანულ კულტურის ფილოსოფოსს, ლეოპოლდ ციგლერს რობაქიძის „ადოლფ ჰიტლერის“ წაკითხვის შემდეგ ავტორისათვის მიუწერია, რომ მას თხზულებაში ჰიტლერი „მითოსის სივრცეში“ დაუნახავს, თუმცა ის, როგორც პიროვნება ჯერ კიდევ „ისტორიის სივრცეში“ მოღვაწეობს. საკუთარ პოზიციას ამ საკითხთან მიმართებით გრიგოლ რობაქიძე ასე განმარტავს: თავის თხზულებაში მან ადოლფ ჰიტლერი „მითოსის სივრცეში“ წარმოადგინა, რათა ამით მიმდინარე პროცესებზე ზეგავლენა მოეხდინა და ფიურერის ქმედებები „ისტორიის სივრცეშიც“ იმგვარად წარმართული-

ყო, როგორც „მითოსურ სივრცეში“ იყო. მაგრამ, რობაქიძის კონცეფციით, თავად „ისტორია არის დიდი „თუ“ („Wenn“). მისი აზრით, ეს „თუ“ „ადოლფ ჰიტლერის“ ტექსტის ყოველ გვერდზე „მასზე“ აფრთხილებს. „თუ „ის“ (ჰიტლერი – მ.კ.) რასას ოდენ სისხლის მიხედვით არ განსაზღვრავდა... თუ „ის“ ხალხს, ვითარცა თაურფენომენს, ცხოველთა სამყაროს არ გაუთანაბრებდა... თუ „ის“ ორივეს, რასასა და ხალხს, ღვთაებრივი მრავალფეროვნების გამოვლენად ჩათვლიდა – თუ „ის“ გადალახავდა აზრს, ჩრდილოურმა რასამ ყველა სხვა უნდა სძლიოსო... თუ „ის“ ებრაელთა საკითხის გადაჭრისას გაითვალისწინებდა, რომ ებრაელი ხალხი ასევე ღვთაებრივი მრავალფეროვნების გამოვლენას წარმოადგენს“... (რობაქიძე, 2012, გვ. 37) – რეალურად თუ ასე მოხდებოდა, ყველაფერი „კარგად და უვნებლად წავიდოდა“.

„ჩემს განმარტებაში“ მითითებულია, რომ ჰერმან კაიზერლინგს რობაქიძის „ადოლფ ჰიტლერი“ სამხრეთ ამერიკული მედიტაციების მიხედვით აგებულ თხზულებად მიუჩნევია, მაგრამ ქართველი მწერალი მიწიერი ძალების მისეულ შეფასებას (მათი სიბნელის თაობაზე) არ ეთანხმება, რადგან, მისი აზრით, ეს ძალები ბნელნი მას შემდეგ ხდებიან, თუ მათ ლოგოსი არ ანაყოფიერებს და ისტორიის სივრცეში „თუ“ („Wenn“) საფრთხეები ჩნდება.

გრიგოლ რობაქიძის თხზულება იმითაც არის საყურადღებო, რომ უშუალოდ გადმოსცემს მწერლის შთაბეჭდილებებს, ახასიათებს იმდროინდელ ატმოსფეროს. აღნიშნულია, რომ 1938 წლის შემოდგომაზე ჰიტლერს მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი უჭერდა მხარს, 7 თვის შემდეგ კი ებრაელთა დარბევა მოხდა. ავტორის სიტყვით, „ვერც ერთ სახეს ვხედავ, განადგურებული რომ არ ყოფილიყო“ (რობაქიძე, 2012, გვ. 39). მოგვიანებით რობაქიძისათვის მეგობარს უთქვამს: „ებრაელთა დევნისათვის ჩვენ მკაცრად მოგვეკითხება!“ 1939 წლის მარტში ჩეხოსლოვაკიის შემოერთების გამო – ქვეყანაში „არავის უხარია... ყველა განრისხებული ჩანს“, – იხსენებს ქართველი მწერალი. 1939 წლის 1 სექტემბერი კი – მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი – რობაქიძის შეფასებით, მოსახლეობამ მიიღო, „ვითარცა მენყერი“. მეტიც, შემდეგ თითქმის მთელი ევროპა ჰიტლერის ძალაუფლებაში გადავიდა, „მაგრამ უცნაურია: ამის გამო არავის უხაროდა“, – ვკითხულობთ „ჩემს განმარტებაში“.

როგორც ჩანს, მოგვიანებით, ტოტალური მარცხის შემდეგ, ჰიტლერის პიროვნება თანდათან იმსხვრეოდა, „მას“ დამანგრეველი ჯავრი იპყრობდა“... მას, როგორც „პიროვნებას“, ვოდანიდების მრისხანება იპყრობდა. ქართველი მწერლის თქმით, იგი „გაცოფებული ამსხვრევდა ავეჯს, კედლებიდან უწესრიგოდ გლეჯდა სურათებსა და ხალიჩებს... ყველას უყვიროდა, ივინებოდა, უხეშობდა, იწყევლებოდა, ღრიალებდა“ (რობაქიძე, 2012, გვ. 44) – ჯერ კიდევ „საშიში მცველი მგელი, მატარებელი ბრმა ძაღვ-

ბისა“. მწერლის დაკვირვებით, Kairos მას უკვე ღალატობდა, ბელადი ბრძოლას ბრძოლაზე აგებდა. მეტიც, ამის შემდეგ ჰიტლერი ყველა ძალამ მიატოვა, გარდა ერთისა, ეს იყო ცხოველის ძალა, რისი წყალობითაც მასზე მომზადებულ ყველა თავდასხმას ის ოსტატურად იგერიებდა.

„ჩემს განმარტებაში“ გრიგოლ რობაქიძე იკვლევს ჰიტლერის პიროვნული კრახის მთავარ მიზეზებს, უმთავრესი კი, მისი შეფასებით, ის იყო, რომ „ის არასოდეს უსმენდა თავისი ხალხის გენიას“.

სკანდალური თხზულების ავტორი საკუთარ იმდროინდელ განცდებზეც საუბრობს. „მე რა გადავიტანე, არავინ უნყის“, – წერს იგი. „მე დროში უდროოდ ვცხოვრობდი“, – აღნიშნავს გულისტკივილით და აღიარებს, რომ მას ყველაფერი მდუმარედ უნდა გადაეტანა, 1941 წლის ივნისიდან კი საერთოდ უნდა დადუმებულიყო. ამ პერიოდში მასთან გესტაპოს აგენტები მისულან და ოკულტიზმთან დაკავშირებით დაუკითხავთ. რობაქიძეს ხელი მოუწერია დოკუმენტისათვის, რომ მომავალში ოკულტიზმით აღარ „დაკავდებოდა“. აქვე მწერალი შენიშნავს, რომ 1942 წლის ოქტომბერში, ქალაქგარეთ მას მაქს ლინკე (დიდერიხის გამომცემლობის მმართველი და თანამფლობელი) საიდუმლოდ ჰიტლერის პიროვნებიდან მომდინარე საფრთხეებზე გაუფრთხილებია.

„მე ახლა მეტაფიზიკის სამსჯავროს წინაშე ვდგავარ“, – გულახდილად წერს „ადოლფ ჰიტლერის“ ავტორი და მზად არის „სახელმწიფო თუ სოციალური წესრიგის დარღვევისათვის“ პასუხისმგებლობა აიღოს.

მსოფლიოს ტოტალური კატასტროფის ჟამს, ურთულესი დროის ქართველთა ჭიდილში, ადოლფ ჰიტლერის მითიური ხატი მის ისტორიულ გამოვლენასთან ანტაგონიზმში დამარცხდა, რაც გრიგოლ რობაქიძის „ჩემს განმარტებაშიც“ არის ხაზგასმული. „ადოლფ ჰიტლერის“ შემაჯამებელ შეფასებად ჟღერს ავტორის სიტყვები: „ყოველი ცდა გამოდის, ან არ გამოდის. თუ გამოდის – მოგება გვრჩება, თუ არა – იმედგაცრუებას ვიმკით... ჩემი ცდა ცდენით დამთავრდა“, – ამგვარად მთავრდება გრიგოლ რობაქიძის „ჩემი განმარტება“, ამ ბოლო ხანებში გაცხადებული ტექსტი, რომელსაც რობაქიძის კონცეპტუალურ თხზულებათა რიგში სათანადო ადგილი უნდა მივუჩინოთ.

ლიტერატურა:

რობაქიძე 2012: რობაქიძე გრ., Pro domo sua (გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ), თბილისი, „არტანუჯი“, 2012.

რობაქიძე 2010: რობაქიძე გრ., ადოლფ ჰიტლერი (გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ), თბილისი, „არტანუჯი“, 2010.

Gagnidze 2011: Gagnidze N., Schuchard M. Grigol Robakidze (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen, Aachen: Shaker Verlag, 2011.

Manana Kvataia

Shota Rustaveli institute of Georgian Literature

For the Paradigmatic “My Explanation” of Grigol Robakidze

Key words: Grigol Robakidze, “Meine Erklaerung”, “Adolf Hitler”, the German Reality, Image of Hitler

Grigol Robakidze's enigmatic book “Adolf Hitler as seen through the eyes of a foreign writer” was published in 1939 in Jena by the Diederich's publishing house. In this multifaceted, allegorical essayistic work, Robakidze does not appear to us as a panegyric to fascism or Hitler himself: the main idea is hidden under metaphorical, mythological or philosophical digressions and thus studies the mystical image of a new Nazi leader that had become fatal to Europe. At the same time, in an essay written before the outbreak of World War II, the author clearly points out the “dangers” coming from the personality of the Nazi leader.

Along with a short-term success, “Adolf Hitler” brought Grigol Robakidze a lot of trouble. After the Second World War his works were no longer printed in Europe and the Georgian writer in exile was very worried about this. Grigol Robakidze explains the reasons for writing “Adolf Hitler” in his essayistic work "My Explanation" (“Meine Erklaerung”) written in German language in the autumn of 1947 in Geneva. It was first published in Germany in 2011. "My Explanation" is a meaningful and extensive essay. It reflects hitherto unknown moments of the writer's biography, narrates the history of the creation “Adolf Hitler”, explains the vague passages of the text, etc. It can be said that the work is a kind of continuation of Grigol Robakidze's “Adolf Hitler” written 9 years earlier in 1938.

In the text the author explains the structure of “Adolf Hitler”, clarifies the motif of writing this piece. The writer says that each word in it is thought-out, every line is weighed very carefully. He also remarks that the essay is more than just only “literary case”, moreover that "a fatal misunderstanding has been created around it". Accordingly, Grigol Robakidze had a desire to dispel the existing rumors: "It would be justified to hear the author's opinion about this," he says.

In the essay the writer singles out the outlines of the German reality of the 1930-1940s, the Georgian who emigrated to Europe took very much to heart the difficult situation of the country of that time and tried to make a positive influence on the existing atmosphere with the help of the mystical image of Hitler created by him.

In "My Explanation" the writer considers those fatal, conceptual mistakes which led the German Fuhrer and the whole world to the disaster. Robakidze exp-

resses regret over the fact that his mystical image of Adolf Hitler presented in 1939 did not coincide with the real historical image of a leader. The essay "My Explanation" reflects the tragic moments of the most difficult time for Europe. Here Grigol Robakidze makes an in-depth analysis of the main reasons for the personal collapse of Adolf Hitler and cardinal ideological concepts. We believe that the text of this essay remains relevant to this day.

თორნიკე კობიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იოსებ ელიგულაშვილი – ეროვნული საგანძურის კვალდაკვალ

საკვანძო სიტყვები: იოსებ ელიგულაშვილი, ეროვნული საგანძური, ქართველი ებრაელი, ექვთიმე თაყაიშვილი, საფხანგეთი

1918 წლის 26 მაისს, საღამოს 5 საათსა და 10 წუთზე, თბილისში, გოლოვინის გამზირზე მდებარე მეფისნაცვლის რეზიდენციაში, გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

თითქმის საუკუნოვანი წყვეტის შემდეგ, ქვეყანამ აღიდგინა დაკარგული თავისუფლება და გაჩნდა იმედი, რომ დაუბრუნდებოდა იმ ევროპულ ოჯახს, რომლის წევრადაც მიიჩნევდა თავს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი არის პირველი ქართული დოკუმენტი, რომელიც ატარებს კონსტიტუციურ ხასიათს. მასში გადმოცემულია საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, განვითარების ისტორია, ასევე მომავალი პერსპექტივები და ხალხის ნება, რომ თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი.

ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე, გარდა ქართველებისა, ხელმომწერებს შორის გვხვდება ქართველი ებრაელის გვარიც – ელიგულაშვილი.

ქართველებსა და ებრაელებს მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების ისტორია აქვთ და ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ისინი ღებულობდნენ მნიშვნელოვან როლს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში.

იოსებ ელიგულაშვილი დაიბადა ქუთაისში 1890 წლის 12 ნოემბერს. მისი მამა აპარონ ელიგულაშვილი იყო ცნობილი ვაჭარი და ქველმოქმედი. გარდა ამისა, აპარონი საზოგადო მოღვაწეობითაც იყო ცნობილი. არჩეული იყო ქალაქის ხმოსანთა საბჭოს წევრად, იყო ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების წევრი, ასევე ორგანიზატორი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების აკაკის სახელობის ხალხური სიტყვიერების ფონდისთვის ებრაელთა შორის ფულის შეგროვებისთვის.

ბუნებრივია, რომ ასეთ გარემოში გაზრდილმა იოსებმა არ გადაუხვია ოჯახის ცხოვრებისეულ ტრადიციას და ბავშვობიდანვე ჩართული იყო ჯერ სავაჭრო და ეკონომიკურ საქმიანობაში და შემდეგ უკვე ფართო საზოგადო ცხოვრებაში.

მან განათლება ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო და შემდეგ მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა.

ყოველად შეძლებული ოჯახისა და არსებული პირობების მიუხედავად, ელიგულაშვილმა უარი თქვა პირად უზრუნველობაზე და შეუერთდა განმა-

თავისუფლებელ მოძრაობას, მიემხრო სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და ბოლომდე ამ მსოფლმხედველობის ერთგული დარჩა.

ბოლშევიკური რევოლუციის დროს იგი მოსკოვში იმყოფებოდა, ბუნებრივია, რომ რეპრესიები მის ოჯახსაც შეეხო და დიდძალი ქონებაც დაკარგა. პირადად გამოსცადა რა კომუნიზმის აუტანელი წესები, დაბრუნდა სამშობლოში და ჩაება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს საქმიანობაში.

თავდაპირველად დაინიშნა საგარეო ვაჭრობის კომიტეტის წევრად, შემდეგ აირჩიეს დამფუძნებელი კრების დეპუტატად, გაგზავნეს ევროპაში, კერძოდ, როტერდამსა და საფრანგეთში ეკონომიკურ აგენტად. ბოლოს მიიწვიეს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილის პოსტზე.

მოგეხსენებათ, რომ მხოლოდ სამი წელი გასტანა საქართველოს რესპუბლიკამ და 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის თავზე რუსულმა არმიამ წითელი დროშა ააფრიალა.

ეს არ ყოფილა უბრძოლველად დანებება, ფარ-ხმლის ნაადრევად დაყრა ან უძლური ხალხის გადაწყვეტილი ბედი. ქვეყანამ დიდი ბრძოლები გადაიტანა, ბევრი სისხლიც დაიღვარა, თუმცა შეუძლებელი აღმოჩნდა იმ ძალასთან გამკლავება, რომელიც ყოველი მხრიდან იყო მომდგარი ქვეყნის საზღვრებთან.

23 თებერვალს კოჭრისა და ტაბახმელას ტერიტორიაზე ბრძოლები შეწყდა.

1921 წლის 25 თებერვალს კი რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში უბრძოლველად შეიჭრა.

„თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“ – ამ შინაარსის დეპეშა მიიღი პროლეტარიატის ბელადმა ბაქოდან, რომლის ადრესატიც ქართველი იყო. 25 თებერვლის ღამეს მე-11, მე-9, მე-3 და მე-13 არმიები, აგრეთვე, ბუდიონისა და ჟლობას კავალერიები, საქართველოს ტერიტორიაზე ლორეს, აზერბაიჯანის, დარიალის ხეობის, მამისონის უღელტეხილისა და შავი ზღვის მხრიდან შემოიჭრნენ.

საქართველოს მთავრობა იძულებით ემიგრაციაში აღმოჩნდა. თბილისიდან გასულ უკანასკნელ მატარებელს, რომელიც ბათუმისკენ მიემართებოდა, გაჰყვა ქვეყნის მეთაური თავისივე გუნდით, ერთ თვეში კი ბათუმიდან იტალიური გემით და ეროვნული დროშით დატოვეს ქვეყანა იმედით, რომ ევროპიდან შეძლებდნენ მომხდარ უსამართლობასთან გამკლავებას.

ნოე ჟორდანიამ საფრანგეთის მიპატიჟება არჩია და მთავრობის თითქმის სრულმა შემადგენლობამ ამ ქვეყანას შეაფარა თავი. მათ შორის იყო იოსებ ელიგულაშვილიც.

თუმცა, ემიგრაციამდე იოსებ ელიგულაშვილმა დაუფასებელი ღვაწლი გასწია საქართველოსთვის. მან ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ეროვნული განძის გადარჩენის საქმეში.

ეს ფაქტები დასტურდება ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებით, რომელიც ჩაუნერია და შემოუნახავს პარიზში მცხოვრებ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტს ვალიკო ჩუბინიძეს, სადაც ვკითხულობთ: „... წითელი ახმია თბილისს უახლოვდება. მიბაჩებს ჩემი მეგობარი დიდი ივანე და მეუბნება: ხომ ხედავ, ექვთიმე, მოდის ხუსის ჯახი, მონათლური დამოუკიდებელი საქართველოს და სამღვდლოების მგხოობითა და სიძუღვიდით, ისინი დაახებვენ და გაძახცვავენ ჩვენს ეკლესიებს, მუზეუმებს და ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებს. ამიგომ ეხდავე შენ უნდა ნახო მთავრობის თავმჯდომარე, გააცნო ჩვენი ეხოვნური განძეულობის გაძახცვა-დალუპვის საშიშროება, ის ეხდავე უნდა შეგხოვდეს და საქართველოდან დხოებით უნდა გაიგანოთ გადასახჩენად. მე მაშინვე თანხმობა განვუცხადე ივანეს და საჩქახოდ წავედი სასახლეშიდ...“ (შარაძე, 1993, გვ. 114).

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის მთავრობის მეთაურთან – ნოე ჟორდანიასთან ვიზიტი არც ისე მარტივი იყო, მითუმეტეს დაუყოვნებლივ, ექვთიმე თაყაიშვილი ახერხებს შეხვედრას და ჟორდანიას დარწმუნებას საქმის გადაუდებლობასა და მნიშვნელობაში.

თავის მხრივ, ნოე ჟორდანია იძახებს ფინანსთა მინისტრის თანაშემწეს – იოსებ ელიგულაშვილს, რომელსაც იმავე მოგონებაში ექვთიმე ახასიათებს, როგორც „... კარგი ნაცნობი და მეგობარი იოსებ ელიგულაშვილი – თანაშემწე ფინანსთა მინისტრის, კაცი განათლებული, ენერგიული და საქმიანი“ (შარაძე, 1993, გვ. 114).

შემდეგ ვკითხულობთ: „... ბაგონმა ნოემ მას უთხხა: იოსებ, შენ ითანამშხომდებ ექვთიმესთან, გეძღვეათ სხუდი უფლება, იმოქმედოთ თქვენი შეხედულებისდა მიხედვით განძეულობის შესაკჩებად, გაძღვეთ უფლებას ყოვედგვახი გხანსპოხგიხების ხეკვიზიცისას და საჭიხო თანხებს“ (შარაძე, 1993, გვ. 114).

„ექვთიმე – შენ ინიშნები ამ განძეულობის გამგედ და უცხოეთშიდაც უნდა გამოჰყვე ამ განძეულობას ამ უფლების გამოყენების შენახვით“ (შარაძე, 1993, გვ. 115).

„იქვე უკახნახა მდივანს ბიძანეულობა ჩემი დანიშვნისა და იოსების ჩემს თანაშემწედ დანიშვნისა“, „გვისუხვა წახმაგება და გვითხხა: მე ყოვედთვის თქვენს განკახგულებაში ვახ, ახ მომეხიდოთ! მაგხად ხედი ჩამოგვახთვა და დაგვემშვიდობა“ (შარაძე, 1993, გვ. 115).

რასაკვირველია, ეს დავალება არ იყო მარტივად შესასრულებელი და მოითხოვდა დიდ ძალისხმევასთან ერთად, დიდ ნებისყოფასა და თავდადებას.

გურამ შარაძეს ნაშრომში „ეს მეორე საქართველოს დაკარგვა იქნებოდა“ გამოცემული აქვს ის მიმოწერები, რომლებიც ინარმოებოდა განძეულობის ტრანსპორტირების თაობაზე. ამ მიმოწერებში ნათლად ჩანს, თუ რამდენი სირთულის გადალახვა მოუწიათ ექვთიმე თაყაიშვილსა და იოსებ ელიგულაშვილს იმისათვის, რომ ჯერ მთელი საქართველოს მასშტაბით შეეგროვებინათ ძვირფასეულობა და შემდეგ უსაფრთხოდ გადაეტანათ საფრანგეთში.

მეტი თვალსაჩინოებისათვის მაგალითად მოვიყვანთ ნაწყვეტებს იოსებ ელიგულაშვილის ხელწერილიდან, რომელიც დათარიღებულია 1921 წლის 17 მარტით:

„მე, ქვემოხე ხედმომწეხმა, საქაჩთვედოს სახედმწიფოს ფინანსთა მინისტრის მოადგიდემ, მთავრობის დავადებით განვახორციედე საქაჩთვედოს სახედმწიფო ხაზინის ძვირფასეულობისა და დოკუმენტების და ფინანსთა სამინისტროდან წამოღებული განძის ევაკუაცია“ (შარაძე, 1998, გვ. 53).

იმავე წერილში აღნიშნავს, რომ არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო განძის ინვენტარიზაცია და ხელუხლებლად ჩაიტანეს ბათუმში.

ასევე საინტერესოა იმ ნივთების ჩამონათვალი, რომელსაც გვანჯდის ელიგულაშვილი თავის ხელწერილში: *„ძვირფასი ქვები და სამკაულები, სახედმწიფოს კუთვნილი და მუზეუმებიდან და ეკლესია-მონასტრებიდან წამოღებული ხატები და ხედოვნების ნიმუშები, სახედმწიფოს კუთვნილი ოქჩოსა და ვეიხცხდის ქუჩქედი ...“ (შარაძე, 1998, გვ. 53) და ა.შ.*

იქვე აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არა მხოლოდ საქართველოს მთავრობას, არამედ, დაპირებისამებრ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა და მატერიალურად დახმარებოდნენ განძეულობის ევაკუაციასა და ტრანსპორტირებაში, „არც კი დაინტერესებულან მისი გადატვირთვით და შენახვით და იმით, თუ რას შეიცავდა ეს ტვირთი“ (შარაძე, 1998, გვ. 54).

აღსანიშნავია, რომ გემზე დატვირთვა და უსაფრთხოების ზომების დაცვა განხორციელდა უშუალოდ იოსების მეთვალყურეობის ქვეშ და აქვე დასძენს, რომ *„ეხნესგ ხენან“-ის კაპიტანმა, ხომედმაც მიიღო გვიჩითი, განაცხადა, რომ გხანსპოხიჩების ხისკი მთლიანად საქაჩთვედოს მთავრობაზეა“ (შარაძე, 1998, გვ. 54).*

ერთობლივი გადაწყვეტილებით, განძის შენახვა გადამწყდა „ბანკ დე ფრანს“-ში, ერთი განსაკუთრებული პირობით, რომ ძვირფასეულობა რჩებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იმჟამინდელი მთავრობის სახელზე და არა რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკისა.

პრობლემები იყო არა მხოლოდ ტრანსპორტირების დროს, გაუგებრობები გაგრძელდა მას შემდეგ, რაც განძეულობამ ჩააღწია საფრანგეთში და საფრანგეთის ბანკის საცავში დაიდო ბინა.

ერთ-ერთი წერილი, რომელიც ელიგულაშვილმა აკაკი ჩხენკელს მისწერა, 1921 წლის 12 ივნისით თარიღდება, სადაც წერს „ჩვენ ჩამოვედით აქ კვიხას. ყუთები გადმოვტვიხეთ გუშინ და დავდევით საფხანგეთის ბანკში. ახლა საჭიხო იქნება მთელი ქონების აღწეხა და ინვენტარის შედგენა, ხოლო აქაუხი ბანკს ახავითაჩი ინსტრუქციები ამის შესახებ ახ აქვს. ამასთანავე, აქაუხი ბანკი ჩვენ ახ გვცნობილობს მიუხედავად იმ ქალაქებისა, რომელიც ჩვენ გვაქვს, სანამდის პაჩიზიდან ახ მოუვა ინსტრუქციები“ (შარაძე, 1998, გვ. 68).

გარდა ამ უმნიშვნელოვანესი მისიის წარმატებულად შესრულებისა, იოსებ ელიგულაშვილის სახელს უკავშირდება 1922 წელს შექმნილი ლევილის მამულიც, რომელიც იქცა საფრანგეთში ქართული ემიგრაციის კერად და თავშესაფრად.

საყურადღებოა და კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ელიგულაშვილის პიროვნებასა და მნიშვნელობას ნინო სალიას ცნობები, სადაც ვკითხულობთ: „მისი სიცოცხლის საგანს მძიმე შიშომა და საზოგადო მოღვაწეობა შეადგენდა. ეს იშვიათი ქაჩთვერი ებჩაერი, უჩინაჩი, მოხცხვი და მოხილებული კაცი იყო. მის გონეხ და სევეიან თვადებში, გეგონებოდათ, თითქო მთერი კაცობიობის ქიხ-ვაჩამი იყო აღბეჭდილი. ვინ იცის, ჩამდენ გაჭიხვებუდ ქაჩთვერს ებმაჩებოდა ეს დაულადავი მუშა ადამიანი. ახ სტოვებდა უყუჩადლებოდ აგჩეთვე აჩც ეჩთ ქაჩთუდ კუდტუჩუდ საქმეს. იძენდა და აგჩოვებდა საინტეჩესო წიგნებს, ძღვენს უმზადებდა ტფილისის უნივერსიტეტს. იყიდა საეკლესიო ნივთები და მადლობის წაჩწეჩით უნდოდა სიონის ტადჩისთვის მიეჩთვა, ხოგოჩც ეს იყო ძვერი მამა-პაპუჩი ჩვენი ტჩადიცია...“ (შარაძე, 1993, გვ. 116).

ზემოთ მოყვანილი ფაქტები და ისტორიები გვიდასტურებს იმას, თუ რამდენად პატრიოტი იყო ელიგულაშვილი იმ ქვეყნისა და საზოგადოებისა, რომლის წიაღშიც გაჩნდა, აღიზარდა და განვითარდა. თუმცა, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იოსებს არასდროს გაუნყვეტია კავშირი მის ფესვებთან – ებრაელობასთან და იმ ყველაზე რთულ პერიოდში, როდესაც გერმანელმა ნაცისტებმა დაიწყეს არნახული რეპრესიები ებრაელების წინააღმდეგ, ათასობით იხსნა გარდაუვალი სიკვდილისგან.

პარიზის ოკუპაციის შემდეგ ელიგულაშვილი ნაცისტებმა ერთ-ერთი პირველი დააპატიმრეს, თუმცა კავშირებისა და მიხეილ კედიას წყალობით, რომელიც იყო აბვერის თანამშრომელი და გრიგოლ ფერაძესთან ერთად შედის „ქართველი შინდღერების“ სიაში, მალევე გაათავისუფლეს.

სწორედ კედიასთან ერთად ელიგულაშვილმა ათასობით ადამიანი გაათავისუფლა ნაცისტების სამხედრო ბანაკებიდან. ამისათვის იყენებდნენ „მეცნიერულად დასაბუთებულ“ ქართველ ებრაელთა მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც, ქართველებსა და ებრაელებს აქვთ საერთო ენა, ეროვნული წეს-ჩვეულებები, ცხოვრების წესი, რომ ისინი არიან ქართველი პატრიოტები და არ იზიარებენ სიონისტურ მისწრაფებებს.

ელიგულაშვილმა აღნიშნული დოკუმენტი მეცნიერული არგუმენტებითაც გაამყარა, რომლის მიხედვითაც, ერთმანეთს შეადარა ქართველებისა და ქართველი ებრაელების თავის ქალის ფორმა, ცხვირის ინდექსი, ნიკაპის პროპორციები, ზოგადი ფიზიკური აგებულება და მათი მსგავსების გამო დაასკვნა, რომ ქართველი ებრაელები წარმოიშვნენ კავკასიაში გადასახლებულ ქალდეველთა იუდაიზაციის შედეგად, რის გამოც, ისინი ქართული წარმოშობის იუდეველები არიან და არა სემიტი ებრაელები.

აღნიშნული არგუმენტები სარწმუნოდ მიიჩნიეს ნაცისტებმა და გააუქმეს განკარგულება ქართველ ებრაელთა დეპორტაციის შესახებ.

გარდა ამისა, შეიქმნა ქართველ ებრაელთა კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა იოსებ ელიგულაშვილი. სწორედ აღნიშნული კომიტეტი გასცემდა „ეროვნების დამადასტურებელ მოწმობას“, რომლის საშუალებითაც უამრავი ებრაელი გადაურჩა საკონცენტრაციო ბანაკს. გარდა ამისა, დაიწყო ყალბი დოკუმენტების დამზადება ევროპაში მცხოვრები ებრაელებისათვის, რომლებიც საკუთარ გვარს უმატებდნენ სუფიქს -შვილს ან -ძეს, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში საკმარისი იყო ქართული წარმომავლობის დასადასტურებლად.

საბოლოო ჯამში, ელიგულაშვილისა და მისი თანამებრძოლების წყალობით, დაახლოებით 20 ათასი ებრაელი გათავისუფლდა ან გადაურჩა ტყვეობას.

იოსებ ელიგულაშვილი საფრანგეთში, 1952 წლის 20 ოქტომბერს გარდაიცვალა და დიდი პატივით მიაბარეს მიწას.

ჟურნალ „მებრძოლ საქართველოში“ დაიბეჭდა: „დასაფლავებას მრავლად დაესწრო მისი პატივისმცემელნი, როგორც უცხოელები ისე ქართველები. დაესწრო ჩვენი მთავრობის სრული შემადგენლობა, მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნი ნ. ჟორდანიას თანდასწრებით და საქართველოს ელჩი – აკ. ჩხენკელი. სასაფლაოზე პირველი სიტყვა ფრანგულ ენაზე წარმოთქვა ებრაელობის დიდმა რაბინმა“.

იოსებ ელიგულაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა უცნობია ფართო მასებისათვის, უცნობია მისი ღვაწლი და თავდადება ქართველებისა და საქართველოს წინაშე. ძნელია, არ გაგიჩნდეს მადლიერების განცდა, როდესაც ვეცნობით მის პირად წერილებსა და ჩანაწერებს, რომლებიც წარმოდგენილია გურამ შარაძის წიგნში „ეს მეორე საქართველოს დაკარგვა იქნებოდა“, სადაც გადმოცემულია ის თავდაუზოგავი მუშაობა და მცდელობა ეროვნული განძის გადარჩენის საქმეში.

დასასრულს მოვიყვან იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის სიტყვებს, რომელიც წარმოთქვა იოსებ ელიგულაშვილის გარდაცვალების 10 წლისთავისადმი გადახდილ სამოქალაქო პანაშვიდზე: „*მივბაძოთ მას! ვისწავდით მისგან ეხთგულება ეჩისა და თავდადება სამშობლოსათვის!*“ (შარაძე, 1993, გვ. 120).

ლიტერატურა:

შარაძე 1993: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი მეორე, თბილისი, „მერანი“, 1993.

შარაძე 1998: შარაძე გ., ეს მეორე საქართველოს დაკარგვა იქნებოდა, თბილისი, 1998.

დაუშვილი 2012: დაუშვილი რ., იოსებ ელიგულაშვილი – პირველი ქართველი ებრაელი სახელმწიფო მოღვაწე, ქართველები უცხოეთში ნ. 1, თბილისი, 2012.

Tornike Kobiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ioseb Eligulashvili – in the Footsteps of the National Treasure

Keywords: Ioseb Eligulashvili, National Treasure, Georgian Jew, Ekvtime Takaishvili, France

On May 26, 1918, at 5:10 pm, at the residence on Golovin Avenue in Tbilisi, the independence of the Democratic Republic of Georgia was declared.

After a century long break the country has regained its lost freedom and hope that it will return to the big European family.

The Georgian independence act is first Georgian document with constitutional nature. It presents the history of Georgia as an independent state, as well as future perspectives and the will of the people to be in charge of their own destiny.

There is a Georgian Jew among the signatories to the Act of Independence – Ioseb Eligulashvili

The independence of the republic of Georgia lasted only three years and on February 25, 1921, the Soviet Army occupied Tbilisi.

The Government of the Independent Republic of Georgia found itself in forced emigration.

The head of the government, Noe Jordania, accepted the invitation of France and the IDP government of the Republic of Georgia settled in the small town of Leville near Paris.

Among them was Ioseb Eligulashvili, Deputy Minister of Finance of Georgia.

Ioseb Eligulashvili was born in Kutaisi in 1890 in the family of Aharon Eligulashvili, who was a famous merchant and philanthropist.

Ioseb Eligulashvili graduated from the Moscow Institute of Economics.

After the Bolshevik coup in 1917, the communists confiscated a large amount of property from the Eligulashvili family, which prompted Ioseb to return to his

homeland and join the liberation movement. He sided with the Social Democratic Party and remained faithful to this worldview to the end. After returning to his homeland, he became involved in state activities, from the beginning he was appointed a member of the Foreign Trade Committee, He was sent to Europe, in particular to Rotterdam and France as an economic agent, he was even appointed Deputy Minister of Finance and Trade-Industry.

Prior to emigration, Ioseb Eligulashvili worked hard with Ekvtime Takaishvili to save Georgian treasures.

At the request of Ivane Javakhishvili and on the instructions of Noe Jordania, Ekvtime Takaishvili and Eligulashvili collected, described and ensured the safe transportation and placement of Georgian national treasures in Europe.

In addition, the Georgian government, with the help of Eligulashvili, purchased land and a chateau in Leville, which became a shelter for Georgian immigrants.

Ioseb Eligulashvili played a major role in saving Georgian Jews during German Nazi repression.

He also suffered Nazi captivity and after his liberation, with the help of Mikheil Kedia, took part in saving thousands of Jews.

Ioseb Eligulashvili died in France in 1952 and was buried with great honor in Banio Cemetery.

His funeral was attended by foreign guests as well as the entire Georgian government.

The aim of our paper is to introduce to the public the merits and devotion of the Georgian Jew to Georgia and the Georgian people.

ნესტან კუტივაძე

აკაკი წეხეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ პაპავას პუბლიკაციები გერმანიიდან

საკვანძო სიტყვები: პუბლიკაცია, გეჰმანია, ქახთული ემიგრაცია, კულტურული მოღვაწეობა, „თეატრი და ცხოვრება“

თამარ და აკაკი პაპავები XX საუკუნის ქართული ემიგრაციის ერთადერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ გასული საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში და ემიგრაციის შემდგომაც გამოირჩეოდნენ ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობით, რომელიც მთლიანად უკავშირდებოდა საქართველოს, მისი წარსულის შესწავლასა და ანმეოს გააზრებას (აკ. პაპავა იყო ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, საქართველოს პირველი პარლამენტის წევრი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. თამარ გოგოლაშვილი-პაპავაც თავის სამშობლოში ცნობილი საბავშვო მწერალი და მთარგმნელი გახლდათ. ემიგრაციის პერიოდში ისინი ცხოვრობდნენ ჯერ გერმანიასა და ავსტრიაში, 1949 წლიდან კი სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, არგენტინაში გადასახლდნენ (იხ.: დაუშვილი, 2014, გვ. 211-215; ნიკოლეიშვილი, 2006, გვ. 393-416; შარაძე, 1990, გვ. 3-4). მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჟანრობრივად საკმაოდ მრავალფეროვანია და შედგება როგორც მხატვრული კრებულებისაგან, პუბლიცისტური, ასევე ისტორიული ხასიათის წერილებისა და საკმაოდ გახმაურებული მონოგრაფიებისაგან.

1910-1920-იან წლებში თამარ და აკაკი პაპავები ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ საქართველოში, ხოლო მოგვიანებით უცხოეთში გამომავალ ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებთან.

თამარ პაპავა 1924-1926 წლებში ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ ფურცლებზე აქვეყნებს წერილებს, რომლებშიც მაშინდელ გერმანულ კულტურულ და სახელოვნებო პროცესებს მიმოიხილავს. ამ პუბლიკაციებს განმსჭვალავს ძალიან მკაფიო პათოსი – გერმანული კულტურული ყოფის არსში წვდომა, ქართული რეალობის განსჯა ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით და ამ გზით ფაქტებისა და მოვლენების ფართო კონტექსტში გააზრება.

თამარ პაპავა საგანგებოდ აღნიშნავს („ძველი წერილები“, „თეატრი და ცხოვრება“, №15, 1926) წარსულის უკეთ შესასწავლად ოჯახებში დაცული ძველი ბარათების მნიშვნელობასა და როლზე. მისი აზრით, ძველი სკივრებიდან ამოღებული საოჯახო წერილების დასტამბვა *ღივ სამსახუხს* გაუ-

წევდა ჩვენს კურსს (პაპავა, 1926, გვ. 6). დღეს თავად თამარ პაპავას მიერ გერმანიიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები, რომელთაც ის გოგოლაშვილის გვარით აქვეყნებდა, წარმოადგენს ღირებულ წყაროს 1920-იანი წლების პირველი ნახევრის არა მხოლოდ ევროპული, არამედ ქართული კულტურული პროცესების არსში უკეთ გასარკვევად, იმ წლების სულიკვებების გასააზრებლად, როდესაც ბოლშევიზმის სისხლიანი დიქტატურის გზაზე შემდგარი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში ჯერ კიდევ იბეჭდებოდა მასალები ევროპელ მწერლებსა და ხელოვანებთან დაკავშირებით.

აღნიშნული სტატიები უმთავრესად მოიცავს ინფორმაციას გერმანიის კულტურული ცხოვრების, თეატრსა და კინოში მიმდინარე სიახლეების შესახებ და ეს ყოველივე მოწოდებულია ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, რაც ამ მემკვიდრეობას მნიშვნელობას მატებს.

ამ მხრივ, უნდა გამოიყოს გამოჩენილი იტალიელი მსახიობის ელეონორა დუსეს გარდაცვალების გამო გამოქვეყნებული წერილი – „თვალების სტრადივარიუსი“ („თვალების სტრადივარიუსი“, „თეატრი და ცხოვრება“, №11, 1924). ამერიკის ქალაქ პიცბურგში მცხოვრები ცნობილი მსახიობის გარდაცვალება და მაშინდელი მსოფლიოს დიდი გამოხმაურება, ავტორის აზრით, ხელოვნების დიდ ძალასა და ინტერნაციონალურ ბუნებაზე მეტყველებს, მით უფრო, რომ დუსეს მოღვაწეობა მოიცავდა ბერლინს, ლონდონს, ვენას, ლენინგრადს, ნიუ-იორკსა და სხვა ქალაქებს. აქვე იმასაც დასძენს, რომ დუსეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა ხელოვნებაში ქალის როლის წარმოჩენაში. თამარ პაპავა დუსეს სამსახიობო ოსტატობაზე საუბრისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის სევდიან თვალებს, როგორც ღრმა შინაგანი განცდის გარეგნულ გამოხატულებას. თამარ პაპავას აზრით, დუსეს თვალების სარკეში არასდროს არეკლილა მშვენიერი იტალიელი ქალი, მათში ყოველთვის მის მიერ განსახიერებული გმირის სამყარო ჩანდა. აღნიშნავდა, რომ *ედეონოხა დუზე ახ ეკუთვნოდა ჰევისოხთა თეაგხის ეპოქას – ის სტიქიუხი მსახიობი იყო და ხედის მიკაჰებს ეს სტიქია ვეხ იგანდა, ხოგოხც მთის ყვავიდი* (პაპავა, 1924, გვ.11). საგულისხმოა მწერლის მიერ მოხმობილი ქართული ანალოგია. ის დუსეს მსგავს მთის ყვავილსა და უტეხ სტიქიას უწოდებს ცნობილ ქართველ მსახიობ ნუცა ჩხეიძეს. პაპავას აზრით, *ნუცა დღეის სცენისათვის ობოღია; უფხო კი დღეის სცენა მის დიდ აჯანყებუდ სუდს, ვიწხოდ გაზომიდ ჩაჩროში ვეხ იგევს* (პაპავა, 1924, გვ.11), – ამგვარად აფასებს ნუცა ჩხეიძის გამორჩეულ არტისტიზმს და მიაჩნია, რომ ამ კატეგორიის მსახიობთა ნიჭიერებას დიდი რეჟისორიც კი ბოჭავს, რადგან მათი, ამ შემთხვევაში, დუსეს ინდივიდუალობა ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას და ის თავად აძლევს ყოველ მის მიერ განსახიერებულ გმირს ახალ სიცოცხლეს.

გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორის ვაგნერის მემკვიდრეობის მიმართ მისი მეუღლის – კოზიმას გამოჩენილ ერთგულებას უძღვნის თამარ პაპავა წერილს – „ბაიეროიტის თეთრი დედოფალი“ („ბაიეროიტის თეთრი დედოფალი“, „თეატრი და ცხოვრება“, №16, 1924). აღსანიშნავია სტატიაში გადმოცემული ამბის კონტექსტი – პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან 10 წლისთავი. როგორც ირკვევა, ამ თარიღის გამო 3 აგვისტოს, 12 საათზე, 2 წუთით დახარეს დროები, გაჩერდა მოძრაობა და მდუმარე მწუხარებამ მოიცვა მთელი გერმანია. საგულისხმოა, როგორ აფასებს ამ ვითარებას მწერალი. ვინ იცის, ვინ ხას ფიქობდა ამ მდუმარებისას: და განა ცოგა მსხვერპლი მოუტანია თვითუღს ამ უაზრო ომში?.. განა ცოგაა მოსაგონაჲი დამაჩხვებულისათვის, ვინც გამაჩხვებასთან ასე ახდოს იყო?.. მაგჲამ ეხთ ხაზს ყვედგან და ყვედაფეხში შეამჩნევდით: სიმტკიცე, ძლიერი ნება და იმედი აღდგომისა, – დანაკდისის ანაზღაუხების (პაპავა, 1924 ა, გვ.11), – საკმაოდ სიმპტომატურია ეს ჩანაწერი, მით უფრო, თუ მოვლენათა შემდგომ განვითარებას გავითვალისწინებთ, მაგრამ დამარცხებული ქვეყნის მოქალაქეების ნების სიმტკიცეს და გამარჯვების ძლიერ სურვილს რომ მიექცია ქართველი ემიგრანტის ყურადღება, მოულოდნელი არაფერია. თამარ პაპავაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა გერმანიის შემოქმედებითი ძალა, კულტურისა და მეცნიერების განვითარების რიტმი, რისი კარგი მაგალითი იყო ნიურნბერგის ახლოს მდებარე პატარა ქალაქი ბაიეროიტი, რომელსაც გერმანიის ელადად მოიხსენიებს. ეს ადგილი ცნობილი იყო ვაგნერის ფესტივალთ. მსოფლიო ომმა ევროპის ხელოვნების ეს გამორჩეული ადგილიც დაანგრია, მაგრამ თამარ პაპავას აღფრთოვანებას იწვევს სწორედ ის ფაქტი, რომ ვაგნერის 88 წლის მეუღლემ და ფერენც ლისტის ქალიშვილმა – კოზიმამ ვაჟთან ერთად შეძლო თეატრის აღდგენა და 10 წლის შემდეგ აქ კვლავ აჟღერდა უკვდავი რიხარდ ვაგნერის მუსიკა. ბაიეროიტის თეთრი დედოფალი – თამარ პაპავა ყურადღებას იქცევდა მტკიცე ხასიათით და შეუპოვრობით, რომლის წყალობითაც მან გაუძლო ბევრ სირთულეს, გადაიტანა პირველი მსოფლიო ომის სისასტიკე და შეძლო არა მხოლოდ თეატრის აღდგენა, არამედ ამ საოპერო სახლში ვაგნერის მუსიკის დაბრუნება.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანიის თეატრში მიმდინარე მოდერნისტული ძიებების შესახებ ვიგებთ წერილიდან – „ჰაუპტმანის დრამები გრაფიკაში“ („ჰაუპტმანის დრამები გრაფიკაში“, „თეატრი და ცხოვრება“, №17, 1924). პაპავა აქცენტს მართებულად აკეთებს, ერთი მხრივ, თემატურ პრობლემათა იდეურ-შინაარსობრივ მხარეზე და მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად არაფერი იცვლება, მეორე მხრივ კი, გამოყოფს ფორმალურ ექსპერიმენტებს, რომლებიც ნაკლებ სიცოცხლისუნარიანია ხოლმე და მალე ქრება, მაგრამ ეს არ ეხება გერჰარტ ჰაუპტმანს. უნდა აღინიშნოს, რომ ნობელიანტი მწერალი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მა-

შინდელ საქართველოში. მისი შემოქმედება არა მხოლოდ ითარგმნება, არამედ მრავლად იდგმება კიდევ ქართულ თეატრებში.

პაპავა საუბარს აგრძელებს ჰაუპტმანის ერთი წლის წინ გამართულ იუბილეზე, რომელმაც, როგორც აღნიშნავს, გააერთიანა ყველა – ლიტერატურული და სხვადასხვა სახის კულტურული ორგანიზაციებიდან დაწყებული, პრეზიდენტით თუ მუშათა კავშირებით დამთავრებული და გულისწყვეტას გამოთქვამს საქართველოსთვის დამახასიათებელი განსხვავებული ვითარების გამო. *აქ ვეხ ნახავდით ხომედიმე ახად სადიგეხატუხო მიმდინახეობათა მიეხ მისადმი იხონიას, „მამების“ დაცივნას, გადაზღანდახებას, ხასაც, სამწუხახოვ, თითქმის ყოვედთვის აქვს ადგილი და ჩვენს პატახა ქვეყანაშიც კი. ყვედას გიძნობა მადლობით, მოწიწებით და სიყვარულით იყო აღვსილი და ეს დღესაც ასევე ხჩება – ვინ ბედავს და იტყვის, ხომ ის დაძვედა, დომოქმედია და დღეს მიუღებელი. გეხმანიის დიგეხატუხამ ნოვაგოხოობა იცის, მაგხამ გხადიცებს, საამაყო წახსურს ახასოდეს ფეხით ახ სხეხს. ამაშია მისი ძადა (პაპავა, 1924 ბ, გვ.8), – წერს თამარ პაპავა. როგორი სარკაზმით ჟღერს ეს სიტყვები 1920-იანი წლების საქართველოში, როდესაც, მართალია, ჯერ კიდევ შესაძლებელია ამგვარი წერილების გამოქვეყნება, მაგრამ სულ უფრო რადიკალურად შორდება იმგვარ კულტურულ ატმოსფეროს, გერმანიისათვის ასე დამახასიათებლად რომ მიაჩნია თამარ პაპავას.*

როგორც ამ წერილის სათაურიდანაც ნათელია, ავტორის მიზანს არც ჰაუპტმანის შემოქმედების მნიშვნელობის ანალიზი და არც მისთვის გამართული იუბილეს შეფასება წარმოადგენს, ის ამ საყოველთაო ზეიმიდან ერთ სეგმენტს გამოარჩევს. ეს არის მხატვარ შტეგერის გრაფიკული ციკლი, რომელსაც საფუძვლად ჰაუპტმანის დრამები უდევს. შტეგერის მხატვრობამ, თამარ პაპავას აზრით, რეალურად აჩვენა მწერალს, როგორი იდეები და ტიპები წარმოშვა სახვითი ხელოვნების წარმომადგენლის ფანტაზიაში მისმა თხზულებებმა, რაც არაჩვეულებრივი სიღრმით და ოსტატობით განახორციელა მხატვარმა. თამარ პაპავას აზრით, ყველაზე „მეტყველი“ საიუბილეო მილოცვა მიუნხენელი მხატვრის – შტეგერის გრაფიკული ციკლი იყო.

ეს წერილები კონკრეტული და დასამახსოვრებელი ნიუანსებით გამოირჩევა, მათში ევროპული ქალაქების კულტურული მაჯისცემა იგრძნობა და, რაც მთავარია, ეს მოვლენები განყენებულ, მიუნხენომელ და შორეულ ილუზიად არ ისახება.

თამარ პაპავას რამდენიმე წერილი მოიცავს კინოსა და თეატრის საკითხებს. კინოს მიღწევებს აცნობს ქართველ მკითხველს პუბლიკაცია – „საკუთარის ბილიკებით...“ („საკუთარის ბილიკებით“... „თეატრი და ცხოვრება“, №6, 1925). როდესაც უცხოეთში კინოს სწრაფ განვითარებასა და გავრცელებაზე საუბრობს ავტორი, მტკიცებულებად იმ ფაქტს იშველიებს,

რომ კინო მეცნიერებისა და განათლების აქტუალური ნაწილი გახდა და მისი მეშვეობით ასწავლიან უცხოეთის სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. საგულისხმოა, რომ თამარ პაპავამ თავის არაერთ წერილში გაუსვა ხაზი პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ქვეყნის განსავითარებლად გერმანიის, როგორც სახელმწიფოს, ნაყოფიერ ძალისხმევას, გერმანელთა მიერ საკუთარი სამშობლოს სიყვარულის დემონსტრირებას, რომელიც 1920-იან წლებში მფრინავი აპარატის – ცეპელინის წარმატებას მოჰყვა, რის შესახებაც კინოს მეშვეობით ატყობინებდნენ მოქალაქეებს. ყოველი ასეთი ჩვენება კი სახალხო დღესასწაულს ემსგავსებოდა. პაპავას აღაფრთოვანებს გერმანელთა დამოკიდებულება რეალობისადმი. ისინი თავს არ იწონებენ მხოლოდ წარსულით, მათთვის არანაკლებ საამაყო ანმყოში მოპოვებული წარმატებები. პაპავა საუბრობს უშუალოდ კინოხელოვნებაზეც და ამ მიმართულებით გერმანიაში გამოვლენილ მნიშვნელოვან ტენდენციებზე, რომელიც კინოს ინტერნაციონალურ არსზე აკეთებს აქცენტს, მაგრამ ამ „საერთაშორისოობის“ საფუძვლად ეროვნულ ინდივიდუალიზაციას თვლის.

პაპავა ქართული კინოს განვითარების პერსპექტივას ევროპული კინოს კვალდაკვალ ხედავს და სამაგალითოდ მიიჩნევს შვეიცია-ნორვეგიის სკოლას, როგორც ჩვენთვის უფრო „ნათესაურს და მეტყველს“ თავისი ბუნებით. სტატიიდან ისიც ირკვევა, რომ თამარ პაპავა პრესის მეშვეობით ეცნობა სიახლეებს ქართული ფილმების შესახებ და, მისი აზრით, ქართული კინოს წარმატებებიც ამ მიმართულებით სვლას ადასტურებს.

„თეატრისა და ცხოვრების“ ფურცლებზე დასტამბული პუბლიკაციებიდან ნათლად ჩანს, რომ თამარ პაპავა არა მხოლოდ გერმანიის კულტურულ მიღწევებს აცნობს ქართველ მკითხველს, არამედ ის ეხმაურება აქაურ ამბებსაც. სპეციალურ წერილს უძღვნის ავჭალის მუშათა თეატრის დადგმების განახლებასაც, ცოცხლად და ხელშესახებად ინახავს ამ პერიოდის ცნობილი მსახიობის ნიკო გოცირიძის შრომასა და თავდადებას, იმედს გამოთქვამს, რომ მაყურებლის და მსახიობთა დასის ერთიანობა და ხელოვნების სიყვარული ქმნის და დროში აძლიერებს ყველა თეატრს საქართველოსა თუ ევროპაში („ნაცადი გზით“, „თეატრი და ცხოვრება“, №7, 1925).

ევროპული ხელოვნების სიახლეების შესახებ საქართველოში გამოხატული ინტერესის მკაფიო დადასტურებაა თამარ პაპავას კიდევ ერთი პუბლიკაცია, რომელიც თანამედროვე ცეკვის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და თეორეტიკოსს – რუდოლფ ფონ ლაბანს ეძღვნება („ცეკვის პოეტი“, „თეატრი და ცხოვრება“, №8, 1925). გარდა იმისა, რომ წერილში პაპავა მსჯელობს ლაბანის ქორეოგრაფიული სკოლის გავრცელებასა და პოპულარობაზე, ის ცდილობს, ლაბანის ცეკვის თეორიის არსზეც შეუქმნას წარმოდგენა ქართველ მკითხველს. მისი აზრით, ამ თეორიის არსი *განის მოძიებით სუდის გადმოცემაში* (პაპავა, 1925, გვ.11) მდგომარეობს. რა თქმა უნდა, სტატიის ავ-

ტორი მხოლოდ ამ განსაზღვრებით არ იფარგლება, ის შეძლებისდაგვარად ვრცლად ეხება ისტორიულ-კულტურულ წანამდღვრებსაც, ლაბანის ქორეოგრაფიის განმსაზღვრელ სხვა დეტალებსა თუ მახასიათებლებს, სტატიას ურთავს საცეკვაო მოძრაობების ჩანაწერს და აქცენტს აკეთებს ახალი საშუალებებით გადმოცემულ შთამბეჭდავ თავისუფალ ცეკვაზე.

ჟურნალის ფურცლები ინახავს ინფორმაციას გერმანიის თეატრების სცენაზე დადგმული შოუს, გოლსუორთისა და შტერნჰაიმის პიესების შესახებ. მასში კორესპონდენციის ავტორი მხოლოდ პიესების შინაარსით იფარგლება და არაფერს ამბობს დადგმის სხვა მხარეების, მსახიობთა ოსტატობისა და რეჟისორული გადაწყვეტის შესახებ („უკანასკნელი დადგმანი“, „თეატრი და ცხოვრება“, №13, 1925).

განსხვავებული პათოსითაა დაწერილი თამარ პაპავას კიდევ ერთი წერილი ჰამბურგის თეატრში გამართულ ახალ წარმოდგენასთან დაკავშირებით. სტატიაში „შექსპირის განთავისუფლება“ („შექსპირის განთავისუფლება“, „თეატრი და ცხოვრება“, №14, 1926) ავტორი საუბრობს პიროვნების კულტურული თუ ცხოვრებისეული გამოცდილების როლზე ხელოვნების სრულფასოვნად გააზრებაში, სხვადასხვა ეტაპზე რუსთაველისა და შექსპირის შემოქმედების აღქმის განსხვავებულ სიღრმეზე აკეთებს აქცენტს და საკუთარ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აკონკრეტებს „ჰამლეტის“ რამდენიმე დადგმის (მოსკოვის „სამხატვრო თეატრი“, ჰამბურგის თეატრი, ინგლისში დადგმული სპექტაკლი) მიმოხილვით, ყურადღებას ამახვილებს დეკორაციის, გრიმის, კოსტიუმების მაქსიმალური მინიმალიზაციის გზით ჰამლეტის შინაგანი ბუნების, მის ჩვეულებრივ ადამიანად წარმოჩენის ტენდენციაზე, რაც, მისი თქმით, ზრდის მაყურებლის თანაგრძნობას დანიის პრინცის მიმართ, ხოლო შექსპირს უფრო ახლობელ და დიად შემოქმედად წარმოაჩენს.

თამარ პაპავს გერმანიიდან გამოგზავნილი პუბლიკაციებიდან ცალკე უნდა გამოიყოს – „თამაშის კულტურა“, რომელიც ორ ნაწილად გამოქვეყნდა („თამაშის კულტურა“, „თეატრი და ცხოვრება“, №4, №5, 1925).

საკმაოდ ვრცელი წერილი თამაშის ფსიქოლოგიურ და დიდაქტიკურ მხარეებს მიმოიხილავს, ბავშვის კოგნიტური უნარებისა და ზოგადად ხასიათის ჩამოყალიბებაში თამაშის განმსაზღვრელ როლს განმარტავს. პუბლიკაცია, ამ თვალსაზრისით, რუსულ კულტურაში არსებული ვითარების ანალიზით იწყება. ავტორის თქმით, რუსეთი, მხოლოდ გარეგნულად წარმოადგენდა მორწმუნე ქვეყანას, თავისი არსით კი ყოველთვის დაშორებული იყო ქრისტიანობისაგან, რაც ვლინდებოდა ბავშვის მიმართ დამოკიდებულებაშიც. მართალია, რუსული ლიტერატურა სავსეა ბავშვის უბინო სულზე ზრუნვით, მაგრამ ეს თვისება არ აისახება რუსულ განათლებაში. ამ ვითარების გამოძახილი საგრძნობია ქართულ სინამდვილეშიც. როგორც

პაპავა აღნიშნავს, ქართველ დედას შვილი უყვარს, მაგრამ ბავშვს შემოქმედებითი სტიმული უნდა მისცეს აღზრდამ. ამ უკანასკნელს კი ხელს უშლის დაუსრულებელი დარიგება და „თეორიული წვრთნა“, რაც საბოლოოდ კლავს ინდივიდს მასში.

თამარ პაპავა გერმანიაში დამკვიდრებულ აღზრდის სისტემას ადარებს საქართველოში არსებულ ტრადიციას, რომელსაც ლოგიკურად განიხილავს აღზრდის რუსული სისტემის პარალელურად. აღზრდის ამ სისტემის მიხედვით, ბავშვები არ თამაშობენ, მხოლოდ კითხულობენ, წერენ, ან ისმენენ დარიგებებს. *ახც ეხთ კუდგუხუდ ქვეყანაში ახ იზხეებიან ცხოვრებისათვის ისეთი უსუსუხნი, ყოვედ ჰიაქტიკუდ უნაჩიანობას მოკდებუდნი – ხოგოხც ჩვენში*, – აღნიშნავს თ. პაპავა (პაპავა, 1925 ა, გვ.14) და აქვე ამატებს, რომ ქართველი ახალგაზრდები მოწიფულობაშიც მეოცნებენი რჩებიან და სხვებს ელოდებიან, რომ დაეხმარონ თავიანთივე იდეების განხორციელებაში. პაპავა აღწერს გერმანიაში არსებულ გამოცდილებას. მისი თქმით, გერმანიაში ბავშვები უფრო თავისუფლად იზრდებიან, სწავლობენ ცეკვით, სიმღერით, თამაშით, სიხარულით მიდიან სკოლაში, სადაც მასწავლებლები არც აძაგებენ და არც დასცინიან. აღსანიშნავია, რომ ავტორს მხედველობიდან არ რჩება გერმანული კულტურისათვის დამახასიათებელი დისციპლინა, რომელიც, რა თქმა უნდა, აღზრდაში მნიშვნელოვანია, მაგრამ, რაკი ის სხვისი და გარედან თავს მოხვეული არაა, საბოლოოდ, ბუნებრივად წარმოშობს თავისუფალ, დისციპლინირებულ, თვითშემოქმედებისაკენ მიდრეკილ ადამიანს. ამგვარად აღზრდილ ადამიანს კი, საქართველოსაგან განსხვავებით, არ იზიდავს მოხელის კარიერა, რისი დასტურიცაა ის, რომ გერმანია ძალიან მცირე ბიუროკრატიით იმართება, ხოლო მოწიფულ შვილებზე ზრუნვა გერმანელისათვის სირცხვილად მიიჩნევა.

თამარ პაპავას აზრით, ასეთ პრაქტიკულ ცოდნას გერმანელ ბავშვს აძლევს თამაშის კულტურა, რომელიც, საქართველოსაგან განსხვავებით, ბუნებრივად ამზადებს რაციონალური აზროვნების მქონე გამჭრიახ პრაქტიკოსს. ამ კონტექსტში განიხილავს გერმანიაში განვითარებულ სათამაშო ინდუსტრიას, საშობაო საჩუქრის ტრადიციას და მას „თამაშის ზეიმს“ უწოდებს.

სტატილაში ავტორმა კარგად ახსნა, სწორად გააზრებულ თამაშს რამდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრია როგორც შემოქმედებითი, ისე პრაქტიკული უნარებით დაჯილდოებული ადამიანის ჩამოყალიბებაში, აჩვენა საქართველოში „...აბუჩად აგებუდი, სიზახმაცის აგჩიბუგათ ნაცნობი, ნაცემი და გახე გამოგებუდი თამაში“ (პაპავა, 1925 ბ, №5, გვ.7) როგორ იქცევა პრაქტიკული ცხოვრების სკოლად გერმანიაში. მისი აზრით, რაზეც მოსაწყენად გველაპარაკებიან, ის გვძულს და მალე გვაგინწყდება.

ამდენად, თამარ პაპავა მაღალი კულტურის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს თამაშის კულტურას და იმედს გამოთქვამს, რომ, თუ ამგვარ ჭრილში დაინახავდნენ მის სამშობლოში თამაშს, შესაძლებელი იქნებოდა, ის დაებრუნებინათ „განანამები“ ქართველი ბავშვებისთვისაც.

„თამაშის კულტურამ“ მოიცვა ქართული ყოფის არა მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი მხარე, არამედ, ამ წერილში დასმულ აქცენტებს თუ გადავითანთ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებზე, კიდევ უფრო კარგად აიხსნება რუსეთის მიერ დაპყრობილი საბჭოთა საქართველოს ყოფის მოჩვენებითობა და ანტიჰუმანური ხასიათი.

ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული წერილები ნათლად აჩვენებს თამარ პაპავას მისწრაფებასა და მიზანს, საქართველო იყოს თავისუფალი, შემოქმედებითი სულითა და მტკიცე ნებისყოფით გამორჩეული, მებრძოლი ადამიანების ქვეყანა.

ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული წარმომადგენლის თამარ პაპავას ჟურნალისტური საქმიანობის ეს პერიოდი ისევე, როგორც მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის სხვა ნაწილები, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ავტორის მრავალფეროვან ნიჭიერებას, აზროვნების სიღრმესა და მასშტაბებს, ხოლო 1920-იანი წლების გერმანიიდან გადმოგზავნილ ოპუსებს არა მხოლოდ პაპავების ბიოგრაფიის საგულისხმო მონაკვეთად, არამედ ქართული ემიგრაციის კულტურული მოღვაწეობის ერთადერთ ფასეულ შენაკადად აქცევს.

ლიტერატურა:

დაუშვილი 2014: დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია ამერიკაში, თბილისი, რაეო, 2014.

ნიკოლეიშვილი 2006: ნიკოლეიშვილი ა., ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქუთაისი, ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2006.

პაპავა 1924: პაპავა თ., „თვალების სტრადივარიუსი“, „თეატრი და ცხოვრება“, №11, 1924.

პაპავა 1924ა: პაპავა თ., „ბაიეროიტის თეთრი დედოფალი“, „თეატრი და ცხოვრება“, №16, 1924.

პაპავა 1924ბ: პაპავა თ., „ჰაუპტმანის დრამები გრაფიკაში“, „თეატრი და ცხოვრება“, №17, 1924.

პაპავა 1925: პაპავა თ., „ცეკვის პოეტი“, „თეატრი და ცხოვრება“, №8, 1925.

პაპავა თ., 1925ა: პაპავა თ., „თამაშის კულტურა“, „თეატრი და ცხოვრება“, №4, 1925.

პაპავა 1925ბ: პაპავა თ., „თამაშის კულტურა“, „თეატრი და ცხოვრება“, №5, 1925.

პაპავა 1926: პაპავა თ., „ძველი წერილები“, „თეატრი და ცხოვრება“, №15, 1926.

შარაძე 1990: შარაძე გ., თამარ პაპავა, წიგნში თამარ პაპავა, გაბნეული საფლავები. თბილისი, არმაზი, 1990.

Nestan Kutivadze

Akaki Tsereteli State University

Tamar Papava Publications from Germany

Key words: *Publication, Germany, Georgian emigration, Cultural activity, Theatre and Life*

Tamar and Akaki Papava are one of the most famous representatives of Georgian emigration of the XX century. They actively participated in the political or cultural life of Georgia at the beginning of the last century, and after emigration they were also distinguished by their fruitful creative work, which was entirely related to Georgia, to the study and conceptualization of its past. (Ak. Papava was a member of the main committee of the Georgian Socialist-Federalist Party, a member of the First Parliament of Georgia, the Deputy Chairman of the Writers' Union. Tamar Gogolashvili-Papava was also a well-known writer of children's literature and translator in her homeland. During their emigration period they lived first in Germany and Austria, and then in 1949 moved to South America, namely, to Argentina). Their creative heritage is quite diverse in terms of genre and consists of both artistic collections as well as publicist and historical letters, and widely known monographs.

In 1910-1920, Tamar and Akaki Papaves collaborated fruitfully with magazines and newspapers published in Georgia, and later with the Georgian-language ones that were published abroad.

Tamar Papava published letters in the magazine "Theatre and Life" in 1924-1926, in which she reviewed the German cultural and art processes of that time. In these publications the essence of German cultural life is conveyed, the facts and events are discussed with a wide range of perspectives.

In one publication ("Old Letters", "Theatre and Life", №15, 1926) Tamar Papava indicates that old letters kept in families can play an important role in better studying the conflicting issues of the past. She believed that printing family letters taken from old boxes "would render a great service to our culture." Today, the correspondence sent by Tamar Papava from Germany, which she published under Gogolashvili's surname, is a valuable source to better discern the nature of not only European but Georgian public processes of the first half of the 1920s, to understand the spirit of the period when the materials reflecting the cultural life of Europe were still published in the magazines and newspapers of the country which was on the path of the bloody Bolshevik dictatorship.

These articles mainly contain information about the cultural life of Germany, the current news in theaters and cinemas, and all this is provided considering the Georgian context, which adds to the importance of this heritage. The letters are distinguished by specific and memorable nuances, one can feel the cultural magic of European cities in them and, most importantly, these events are not depicted as an isolated, inaccessible and distant illusion.

It is clear from the publications printed on the pages of "Theatre and Life" that Tamar Papava not only informs the Georgian readers about the cultural achievements of Germany, but also responds to the news here.

Among Tamar Papava's publications sent from Germany the letter "The Culture of Play" should be singled out ("The Culture of Play", "Theatre and Life", №4, №5, 1925).

A rather extensive letter reviews the psychological and didactic aspects of playing, explaining the defining role of playing in shaping a child's cognitive skills and character in general. Tamar Papava compares the system of upbringing established in Germany with the tradition in Georgia, which she reviews logically in parallel with the Russian system of upbringing.

"The Culture of Play" encompassed a number of important aspects of Georgian existence. If we shift the accents emphasized in this letter to other areas of public life, the illusory and inhuman nature of Soviet Georgia occupied by Russia can be explained even better.

The letters published in the magazine "Theatre and Life" clearly show Tamar Papava's aspiration and goal. She wants Georgia to be a country of free, creative, stong-willed and striving people.

The mentioned period of the journalistic activity of Tamar Papava, who is one of the prominent and distinguished representatives of Georgian emigration, as well as the other parts of her literary-journalistic heritage once again emphasize the author's diverse talents, depth and scale of her thinking, whereas the opuses sent from Germany in the 1920s are not only a significant part of the biography of the Papavas, but also one of the valuable tributaries of the cultural activity of Georgian emigration.

მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

მათე კერესელიძის ეპისტოლეები მოგვითხრობენ

საკვანძო სიკვებები: მათე კეჩესელიძე, დეგენდახული ძმები, თეთრი გიორგი, თამაჩ I

დიდი ქართული საქმისათვის უცხოეთში გახიზნული მამულიშვილები, მათ შორის, ლეგენდარული ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები, ჯერ საქართველოს თავისუფლებისათვის, ხოლო შემდეგ კი ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთად დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ჩირაღდნებივით ენთნენ. ამ დიდ ნათებაში სანთლებივით იწვოდნენ მათი შვილებიც.

„ვენაში ჯახისკაცთა სახლში“ ვნახე უაღესად სასიამოვნო, განათლებული ქახთვედი, ბაგონი მათე კეჩესელიძე, პაჩიზედი ემიგხანტი.

...მათე კეჩესელიძეს ისევ შევხვდი 50-60-იან წლებში – ამჟამად დიუსელდორფში... ის, ხაც მან და მისმა თანამებეძობებმა ნამდვირი მეოხე მსოფლიო ომის დროს მოიმოქმედეს, ქახთვედთა ეხოვნური ინგეხესების დასაცავად იყო გამიზნული, ისინი თავსაც წიხავდნენ ამისათვის, თუმცა მათი ეს ღვაწდი შეუფასებელი დახჩა (გაბლიანი, 1998, გვ.129-131).

დიდი პირუთვნელობითა და ანალიტიკური სიღრმით დაწერილმა გივი გაბლიანის მოგონებამ ზემოთ აღნიშნული დეტალით იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ცნობილი ბიძისა და მამის ჩრდილქვეშ დიდხანს მდგომი მათე კერესელიძე უკვე პოლიტიკურად და ინტელექტუალურადაც გამორჩეული პიროვნება გამხდარიყო.

ცნობილია, 1924 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. ხოლო, რაც შეეხება, „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის ბეჭდვით ორგანოს – გაზეთს „თეთრი გიორგი“, მისი პირველი ნომერი 1926 წლის 25 აგვისტოდან გამოდიოდა, რომლის ფურცლებზე მათე კერესელიძის თარგმანები სისტემატურად იბეჭდებოდა.

მათე კერესელიძეს ბავშვობიდანვე სულს უფორიაქებდა ემიგრაციაში ცხოვრება. იგი მოზღვავებულ კითხვებზე პასუხს მოითხოვდა: „რატომ არ ჰქონდა სამშობლო?.. ვინა ვართ?.. რატომ დაგვემართა ასე?.. საქართველოს ბედი რისთვის ქანაობდა რალაც უცნაურ საბედისწერო „საქანელაზე?“..

ცხოვრება დულდა, ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მეორეს ცვლიდა, ერები იბრძოდნენ, იკაფავდნენ გზას... ამ ორომტრიალში, თამაშების სამყაროში უცხოეთში გადახვენილი ქართველობაც ამხედრებულყო.

მათე კერესელიძე კარგად ხედავდა, რომ საქართველოში 20-იანი წლების დრამატული სპექტაკლები საბედისწეროდ იყო გათამაშებული და არ სურდა, მისი ქვეყანა კვლავაც დიდ თეატრად დარჩენილიყო.

და, აი, ხუთი წლის შემდეგ, 1930 წლის თებერვალში „თეთრი გიორგის“ დამაარსებელი მამების შვილებმა, ბერლინში მსგავსი პატრიოტული ორგანიზაცია იგივე წესდებითა და იდეოლოგიით დაამკვიდრეს. ამ ორგანიზაციის წევრი მათე კერესელიძე ძმასთან – ლულუსთან (ლეო) ერთად გახდა. აქვე მოღვაწეობდა მიხაკო წერეთლის ერთადერთი ვაჟი ოთარ წერეთელიც. ახალგაზრდები უშვებდნენ გაზეთს „თეთრი გიორგი“, რომელშიც ძმები კერესელიძეები აქტიურად თანამშრომლობდნენ. მათ სწამდათ, რომ „თეთრი გიორგი“ ქართველ ერს „ერთ მებრძოლ არსად გააერთიანებდა... ქართველი ერთი მძლავრი თავისუფლების სურვილით, შეიარაღებული გაერთიანებით გაჰკმირავდა მონობას“.

საყურადღებოა, ბერლინში დაარსებული გაზეთ „თეთრი გიორგის“ რედაქციისათვის გაგზავნილი მათე კერესელიძის წერილი: „*ძვირფასო მეგობრებო, დიდი სიამოვნებით ვასხულებ თქვენს თხოვნას და თქვენს გაზეთს აღუთქვამ თანამშრომლობას. თუმც ჯეი ფიცე ახ დამიღია და „თეთრი გიორგის“ წევრი ახა ვაჰ, მაგჩამ სულით, გულით და მთელი ჩემი შეგნებით თანაგიგზიდნობთ. გიგზავნი ჩემს პიხვედ წეხილს: „25 თებეხვიადი“. თუ მკითხველის ყუხადლების ღიხსია, გთხოვთ, თქვენი გაზეთის თებეხვიდის ნომეხში მოათავსოთ“.*

სხენებულ სტატიაში მათე კერესელიძე აღნიშნავდა: „ემიგრაციაში აღზიდის, მე, საქაითვედროს დამოუკიდებლობის დროსაც უცხოეთში მომიხდა დახჩენა. ზემეგია აღწეხა იმ გჩდნობებისა, ხომეღნიც საქაითვედროს განთავისუფლების ამბავმა ჩემში განაღვიდა: გჩდნობა ამაცი, თავისუფად მშვენიეხ ქვეყნის – თავისუფადი შვიდისა.“

მსგავსი აღფხოთოვანების გადმოცემა ხომ შეუძლებელია. ძიღიდან, ხომეღსაც დასტიხოლა ჩვენი იღია, გვეღიხსა ჩვენ გამოღვიძება. საშინედ ღამის შემდეგ მზე ისევ ამოვიდა და გაანათა ახადი სიმშვენიეხით ჩვენი მამუღი. წაისული შავ სიზმხადლა გვეჩვენებოდა...

ხა უღხმეხი პაცივისცემა მექონდა ჟოხდანიასი... საქაითვედროს განმათავისუფლებდისა... იმ ადამიანის, ხომეღიც კვდავ ხედთ იღებდა ეხეკელს, თამაისის, დავითის დროშას – ხათა თავისუფად გაეფხიადებინა თავისუფად მშვენიეხ ქაითვედრთ მამა-პაპეუღში...

მახსოვს, ხა სიამაციით ვუყუხებდით საქაითვედროს ხუკას მე და ჩემი მასწავლებელი, აღექსანდეხ გობადიშვიღი. ჩვენს ოცნებაში იხატებოდა ის დრო, ხოღესაც ჟოხდანია საქაითვედროს შემოუეხთებს ჩვენი სახედმწიფოს ფაიგადთა გაიეშე დახჩენიდ ჩვენი ძმების მიწა-წყადს...

მოკდე ხნის სიხაიური გამოღვა. ხუსები თბიღისში შემოვიღენენო! – ხომეღო? ხა მოხდა?... ყადბი ცნობები იქნებთან, შეუძლებელი ხამ აის... გუღს ახ სჯეხა ამღენი უბეუეხება.

და ჩემს, ჯეი კიდევ ბავშვუხი, წახმოდგენაში ასი ათასობით ვხედავდი შემოსეულ ბაიბაიხოსების ბიბოებს...

ეხთ საზიზლახ დღეს მოდის ამბავი: მთავრობამ დაჰკჩა ფეხი და დედა-ბუდიანად პაიზში ამოყო თავი...

აი, იშვიათი შემთხვევა მოგზაურობისათვის...

საქართველო პიჩველი მაგალითი აჩის სუდის ასეთი სიღიადისა: თითქმის უმუშო ქვეყანამ თავი შესწიხა მუშათა ინტეხინაციონადის ყადბ იდეალებს და მთავრობის პაციფისტუხ სუდისკვეთებას...“

მათე კერესელიძე სტატიაში დეტალურად მიმოიხილავს საქართველოს ისტორიას, მისი ბედუკულმართობის ხანას და საბოლოოდ ასეთ დასკვნას აკეთებს: „25 თებეხვადი... ხამდენი ტანჯვა და ხამდენი წლების ისტორიხია ამ მოკლე სიგყვებში. 9 წედინწადია, ხაც საქართველო თავის ეხოვნულ გოდგოთას ადის და ვინ იცის, ხოდის აივდის მას... ვინ იცის, ხამდენ მსხვეჩიპდს მოითხოვს კიდევ უთანასწოხო ბიძოდა თავისუფლებისათვის.“

ჩვენმა თაობამ თავისუფლება მხოლოდ სამი წდის განმავდობაში იგემა, მაგხამ ეს ისეთი ტკივიდი იყო, მას ისეთი გახდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეხის მიძინებულ ნაწილებშიც კი, ხომ მგეხი თუნდ ათჯეხაც უფხო გაძდიეხდეს, ჩვენ მაინც ქახთუდი სიამაყით შევძახებთ: ან სიკვედი, ან გამაჩკვება...“

„თეთრი გიორგის“ შემდეგ ნომერში, რომელიც 26 მაისს გამოვიდა, დაბეჭდილია მათე კერესელიძის ანალიტიკური სტატია „მარქსისტული მეცნიერება“. ავტორს წარსულ საუკუნეში მომხდარი მოვლენებიდან ყურადღება გამახვილებული აქვს ორ ფაქტზე: „წახსუდ საუკუნეში მედიცინამ აღმოაჩინა ისეთი წამადი, ხომდითაც სიცხის დაცემა შეიძლებოდა: ეს იყო ანტიპიჩინი. ექიმებს სიცხე ავადმყოფობა ეგონათ. ვეჩ მიუხვედენ, ხომ სწოხედ სიცხე აჩჩენს ადამიანს ავადმყოფობისგან, ხათგან მავნე მიკრობები ვეჩ იტანენ ამალდებულ ტემპეხაგუხას. გაეხახდათ ჩვენს ექიმებს და დიწყეს ამ წამდის დახიგება. ავადმყოფებს უფხო ავად ჰხდინენ და ასობით წუთისოფედსაც გამოასადმეს. საკვიხვედი იყო ექიმთა სისუდედე. ავადმყოფი კვდებოდა ხოდმე განკუხნებუდი. მას ხომ სიცხე ალახ ჰქონდა! – ასე ჰფიქრობდენ მეცნიეხები“.

ამავე სტატიაში მათე კერესელიძე ავლებს პარალელს იგივე საუკუნეში შობილ მეორე სენზე, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: „ეს იყო კახდ მაჩქსი. გადაავდო თვადი ასი წდის განმავდობაში მომხდახ მოვდენებს და შეჰქმნა თოოხია ისეთს აქსიომებზედ აშენებუდი, ხომედთაც აჩავითახი საფუძვედი აჩ ჰქონდათ. ამ წუთიდან მან უკვე გადაწყვეტით იცის, ხომ მოხდება კაპიტადის პხოგეხსუდი კონცენტრაცია, მშობედი მამა პხოდეგაჩიზაციისა...“

მაჩქსისტთა მეცნიეხება მაგონებს აღქმიას. ეძებენ ისეთ ხამეს, ხაც აჩ ახსებობს: ფიდოსოფუხ ქვას, ხომედიც ოქჩოთ გადააქცევს ყოვედ დითონს და ადამიანს ყოვედივე ბედნიეხებას მიანიჭებს.

ხოლო აღქმისტი ამ ძებნაში სუდ ბევრი თავის თავს დალუპავდა ხოდმე, – მაჩქისსტები კი – მიდიონობით ადამიანებს და მთედ ეხებსაც...

ხოლის დადგება ის დრო, ხოცა სოციალისტთა აღქმისა ქიშია შესცვლის და ამ ოხიოდე სასახგებდოს, ხაც შეიძლება მათ აღქმისაში იმადებოდეს, განსწმენდს აუაჩებედ სიყადიბდგან და კაცობხიობას ცოცაოდენ კეთიდს მაინც შესძენს?“

ბერლინის „თეთრი გიორგის“ თავმჯდომარე გახლდათ გარდაცვალებამდე მიხაკო წერეთლის ვაჟი ოთარ წერეთელი.

... გადალახა თუ არა გერმანიის ჯარებმა რუსეთის იმპერიის საზღვრები, უკვე აშკარად გამოიკვეთა გერმანია-საქართველოს ინტერესები. ემიგრანტების დიდმა ნაწილმა თავისი დაუოკებელი ჟინით ორი საქართველოს გასამთლიანებლად და საკაცობრიო ცხოვრებაში ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახლა დასამკვიდრებლად დიდ სახელმწიფოთა შორის რუსეთის იმპერიის დამშლელად გერმანია მიიჩნია და ამიტომაც მეორე მსოფლიო ომში მაშინვე გერმანიის მხარე დაიჭირა. გერმანელებსაც, თავის მხრივ, კავკასიაში გადასასროლად ემიგრანტებისა და ტყვედჩავარდნილთა ჯგუფი სჭირდებოდა. ანტისაბჭოთა დაჯგუფებაში მყოფი ქართველი ემიგრანტები გერმანელთა მხარეს ფორმალურად – სხვისი ინტერესებისათვის, ხოლო გულში ყველა საქართველოს აღდგენისათვის ფიქრით იბრძოდა.

საერთოდ, ქართველი ემიგრანტები მეორე მსოფლიო ომის დროს უმთავრესად „იმ შეგნებით იკვებებოდა, ხომ ჩვენი ქვეყნის ხსნა მხოლოდ რუსეთის დამაჩცხებას, ანუ გეჰმანიის გამაჩჯვებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა; ხოლო გეჰმანელებს გეჰმანიის გამაჩჯვებისათვის აუცილებდად მიაჩნდათ ჰიტლერის ჰეჟიმის შეცვლა და ისინი გურში იმედს აგაჩებდნენ, ხომ ამ შეცვლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ევხოპა-ამეხიკასთან შეთანხმება, ხაც გეჰმანიას გამოუვადი მდგომაჩეობიდან გამოიყვანდა“ (ქავთარაძე, 2007, გვ.154).

გამოდის, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს არსებობდა ორად გათიშული გერმანია: ერთი, რომელიც ტევტონების მანიით – გერმანელი რასის უპირატესობით იყო შეპყრობილი – ანუ ფაშისტური გერმანია, და „მეოხე – ევხოპის გაეხითიანების იღვით შეპყხობიდი გეჰმანია, ხომედსაც უნდოდა ევხოპის გაეხითიანება, ხათა მისი ცადკეუდი სახედმწიფოები ამეხიკის, რუსეთის და ჩინეთის სათამაშოდ აჩ გადაქვეუდიყვნენ, ამიგომ აჩსებობდა ძიდიეხი წინააღმდეგობა გეჰმანიის მხედხობაში ჰიტლერის ჰეჟიმისადმი“ (ქავთარაძე, 2007, გვ.154).

ამის დასტური გახლდათ ჰიტლერზე თავდასხმა, რასაც 5000 გერმანელი ოფიცრის ჩამოხრჩობა მოჰყვა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გერმანიაში უკვე დაარსებული და ორგანიზებული იყო ე.წ. დამაკავშირებელი შტაბი. ამ შტაბის დანიშ-

ნულება იყო ქართველთა და გერმანელთა შორის დასმული პრობლემების საერთო შეთანხმებით გადაწყვეტა. იმხანად გერმანულ მუნდირს 40 000-მდე ქართველი ატარებდა. ნახევარი ამათგან საბრძოლო ბატალიონებისა და სხვადასხვა გერმანულ შენაერთებში მყოფი ქართველებისაგან შედგებოდა. მეორე ნახევარი კი სამუშაო ბატალიონი იყო. დაჯგუფებაში პარიზელ ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი ჩაენერა, მათ შორის „თეთრი გიორგის“ წევრებიც, რომლის საფუძველზეც შეიქმნა „თამარ I“ და „თამარ II“.

„თამარ I“-ის შემადგენლობაში იყვნენ: ბახტაძე მიხეილი, ბეგიაშვილი იროდიონი, ბერძენიშვილი გიორგი, ბურძგლა მიხეილი, გოგორიშვილი მიხეილი, გრიგოლია მიხეილი, გაბუნია გიორგი, აბაშიძე ზურაბი, კაკულია ლეო, კანკავა ალექსანდრე, კერესელიძე მათე (თარჯიმანი), ივანიძე გიორგი, მალლაკელიძე შალვა, მიროტაძე გრიშა, მონიავა ვიქტორი, ხარისჭირაშვილი დათიკო, რომელსაც ემატებოდა ათი კავკასიელიც.

გერმანელებთან წარსულის ნდობის ფაქტორმა განსაზღვრა ისიც, რომ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში ჩაერთნენ არა მარტო მათე კერესელიძე, არამედ ბიძამისი „თეთრი გიორგი“ ხელმძღვანელი ლეო კერესელიძე და მისი ქალიშვილი მარიამ კერესელიძეც, რომელიც მამის დახმარებით აქტიურ პოლიტიკურ დავალებებს ასრულებდა. აგრეთვე მათეს უმცროსი ძმა – საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის ოფიცერი – ლეო (ლულუ) კერესელიძე.

„თამარ I“-ის შენაერთში ქართველ ჯაჰისკაცებთან ერთად საქართველოში პაჩაშუგებით გადასხმისათვის ემზადებოდა მათე კეხესელიძე. ოპეჩაციას ჰეხმანი ამზადებდა.

„მათე კეხესელიძის ჯგუფი თამარ I-ის შენაერთიდან მათდაც გადასხდა საქართველოს ჩხვილ-დასავლეთ ნაწილში 1942 წლის გაზაფხულის დამდეგს თუ ზაფხულის დასაწყისში. ზოგი დაიღუპა, ზოგიც დაიჭრა საბჭოთა ძალებთან შეტაკებისას, დანახრენები ცყვედ ჩაიგდეს. მათე იმ უმცირესობაში მოჰყვა, რომლებიც, ყველას გასაოცხად, საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლა 14-15-წლიანი პატიმრობის შემდეგ და დასავლეთში დაბრუნების ნება დაითხო. მათე კეხესელიძე, ჯეხ ერთი, ახასდხოს ყოფიდა საბჭოთა მოქალაქე, თანაც მას ან ხეშროვის კანონმა უშვედა, სტალინის გახდაცვადების შემდეგ ხომ გამოვიდა, ან კანცდრეხ ადენაუეხის მცდერობამ, ხომელიც მოსკოვში ჩასვდისას გეხმანელი ცყვეების თაობაზე მათთავდა მოდაპაჩაკებას“ (გაბლიანი, 1998, გვ. 130).

მეორე ვერსიის თანახმად, „1942 წლის ზაფხულში, მთერი კავკასიის მასშტაბით დაიწყო „ღივეხსანგ პაჩაშუგისტთან გადაგზავნა ამ ხეგიონში. პაგაჩა ჯგუფები თვითმფინავებით გადასხორიდი იქნენ საქართველოშიც. ძიხითადი ასაფხენი ბაზა ყიხიში მდებახეობდა. ჯგუფის წევრები კახგად ეკიპიხებული იყვნენ. ზოგიერთ ჯგუფში ჩათეს გეხმანელი ინსტრუქტორებიც. „ერთ უკუნეთ ლამეში ყვედანი პდანეხებით გადაგვისხორდეს საქართველოს

სხვადასხვა კუთხეში“, – იგონებს მათე კეხესელიძე. ახადა, ახც ეხთი ქახთვე-
რი ადჟე პახაშუგით ახ გადაფხენიდა. მათ ამისათვის მხოლოდ თუოხიური მომ-
ზადება ჰქონდათ გავლილი“ (სულაძე, 2012, გვ. 350).

ცნობილია, რომ საქართველოში გადასროლილ „დივერსანტ პარა-
შუტისტებს“ საქართველოს შინსახკომი სასტიკად უსწორდებოდა, რომე-
ლიც მაშინვე გახდა ცნობილი, როგორც გერმანიის სარდლობის, ისე ქარ-
თველი ემიგრანტებისთვისაც.

არსებული ჩავარდნების მიუხედავად, გერმანელები შეუფერხებლად
აგზავნიდნენ კავკასიაში თავიანთ მომზადებულ დივერსანტებს. მათ მი-
მართ სასტიკ დასჯას ახორციელებდა საბჭოთა უშიშროება, რომელშიც
იგულისხმებოდა ლიკვიდაცია და იმათ, ვინც ნებაყოფლობით ბარდებოდ-
ნენ სამართალდამცავ ორგანოებს, ასეთივე სისასტიკით პასუხობდნენ.
მცირე გამონაკლისს იჩენდნენ დივერსანტ-პარაშუტისტთა ჯგუფში მონა-
წილე ემიგრანტების მიმართ.

მათე კერესელიძის ნაამბობის თანახმად ირკვევა, რომ საქართვე-
ლოში მასთან ერთად გადასროლილი ყოფილან: „დათიკო ხახისჭიდაშვიდი
(გყვედ ბახელობდა, მაგჩამ გამანადგურებელი ბატალიონის წევრებს მაინც
დაუხვხეგით ადვილზე), ბუხძგა, შადიკო მალდაკელიძე, კუკუხი ქოჩაკიძე და
ადექსანდრე კანკავა. მათთან ერთად ყოფიდან გეხმანელი ინსტრუქტორები:
უნტეხოფიცეხი ბლოდცი და გეხმან მიუდეხი (ეს უკანასკნელნი დახვხეგიდები
ხეებზე უპოვიათ)(სულაძე, 2012, გვ. 351).

1942 წლიდან ტყვედ ჩავარდნილი მათე კერესელიძის ბედი ოჯახი-
სათვის უცნობი იყო. 1956 წლის 16 თიბათვეს, ვეზინეში ბარათი მოვიდა: „ეს
მათეს პიხვედი წეხიდი იყო, ხომედმაც დიდი სიხაჟური გამოიწვია, ვინაიდგან,
13 წლის საშინელი განცდების შემდეგ – გავიგე და დავიწმუნდი მათეს კახგად
ყოფნაში... მათე მწეხს, თუ მამიდა ედენე და დიზა ახა, ამდებანს სიცოცხდესაც
ვეხ შევინახუნებდიო“ (კერესელიძე, ვეზინე, 16 თიბათვე, 1956).

„ჩემო ძვირფასო ედენე!

მივიღე შენს მიეხ და დიზას მიეხ გამოგზავნიდი ფური. ხომ ვიცი, ხოგოხ
გიძნედებათ და პიხდაპიხ გური მეწვის. ხადგანაც ჩემი აქ ყოფნა გაგხდედდა
და ვინ იცის, კიდევ ხამდენი ხანი მომიხდება ცდა, ყოვედ ძადას ვდებ, ხოგოხმე
სამუშაო გამოვნახო. ფიზიკური შიომის მიღება, ხასაკვიხვედია, უფხო
ადვიდია, ახც მეშინიან. ამ 14 წელიწადში შევეჩვიე; ხოლო მოგება მეტად და-
ბადია და თანაც ვშიშობდი, ავად ახ გამხდახიყავ, ისიც მაფიქიებდა, ხომ უკვე
სხვა გზის გამონახვა გამიძნედებოდა და თითქმის შეუძლებელი გახდებოდა.

ეხდა კი პეხსპექტივები გაუმჯობესდა. ახად აღმოჩენიდ ნაცნობებში ჩე-
მი თახგმნის ნიჭის ავტოხიგეტი მკვიდრად დავამყაეხე. ბევხს მშვედის ფხან-
გური ზედილობა-დიპრომატიის უნახი, ხომედიც, ხოგოხც მეუბნებიან, თუხმე
მალად დონეზე მექონია შეთვისებული. ისიც დაუმატე, ხომ ფხ. კონსუდის ნაჩუ-

ქაჩი, პაჩიზში შეკეხილი, კობცა, თუმცა ცოცხა შეხუნებული კოსტიუმი მაცვია და დროზე ვიცი ანანასით ძღვენის მოგანა (ჩის შემდეგ, მაჩთადია, 3-4 დღის მაჩხვის შენახვა მჭიხდება ხორმე). ეხთი სიგყვით, თუ ძადიან ახ ვცდები, საქმე საიმედო გზაზეა დაყენებული.

შემიძლია ფხანგული, გეხმანული და ინგლისური ენებიდან ვთახგმნო, აგ-ხეთვე ფხანგულ და გეხმანულ ენაზე წეხა, ხომელიც, ხასაკვიხვედია, ბევხად უფხო ხედსაყხედია. ხედთ მაქვს ინგლისური ხომანი, ხომელიც ჩემის დახწმუნებით აქ მისალებია და ეხთნაიხ ყუხადლებას მოიმსახუხებს, ამაზე მოდაპა-ხაკება მაქვს „ვაკხუგ სვეტის“ თანამშხომედთან...“ (კერესელიძე, 1.07.57).

„ამ ეხთი კვიხის წინ დიდი იმედი მომეცა, მაგხამ აღმოჩნდა, ხომ ცოცხად ავჩქახდი. საქმე ის აჩის, ხომ ჩვენი ჯგუფიდან ამ მოკლე ხანში 6 კაცი უნდა წავიდე, ეხთი მათგანი ბედგიაში მიემახთება, – ჩემ ოთახში ცხოვხოობს. და მას ეჩვენა, ხომ უცხოედთა განყოფილების უფხოსმა სთქვა, ხომ განყოფილება მანკახგულება მიილო, ფესტივადის წინ ყვედანი გავეშვიოთ. ხოგოხც გამოვახკვიე, ეს განკახგულება ეხებოდა ამ 6 კაცს. მაჩთლაც უნდა წავიდნენ 23-ში, მაგხამ, ხაც ახ უნდა იყო, მე დახწმუნებული ვახ, ხომ ჩემი ჩიგიც მადე მოვა. იგივე დხოს ჩავაბახე განცხადება გასვდის შესახებ. პაჩიზიდან, დიდი ხდაფოხ-თის შემდეგ, ჩემი დაბხუნების ფური საედროში გადმოჩიციხეს.

ჩემი ძმის, დუდუს, წეხიღმა შემაფიქიანა. თუხმე მამა ავად ყოფიდა. დუ-დუ იწეხება, ახაფეხი სეხიოზური ახ აჩისო... მინდა დავიჯეხო, ხომ სახიფათო ახაფეხია, მითუმეცეს, ხომ მამა ყოვედთვის ხკინის ჯანმთედობის იყო“ (კერესელიძე, კალინინი, 20.09.57).

კალინინიდან სულ მალე მათეს კიდევ ერთი ახალი წერილი მოვიდა, რომელშიც იტყობინებოდა: „ამ ოთხ საათში გავფხინდები. მე ვაპიხებდი მა-ტახებდით გამგზავხებას, მაგხამ კონსურმა ოფიციადუხად მოითხოვა ჩემი თვითმფხინავით წასვდა. ამის გამო ფური იქიდან გამოგზავნილი და დაცემული კუხსით გადმოცემული ახ მეყო, მითუმეცეს, ხომ ვადებში ჩავახდნილი ვიყავი, ისე, ხომ მიუხედავად მთედი ჩემი გურისტკვიდისა, იძუებული გავხედი, შენი და დიზას მიეხ ტედეგხაფით გამოგზავნილი ფური გამომეცანა. თუმცა ჯეხ ვაპი-ხებდი უკან გამოგზავნას. ეხთი ხამ მანუგეშებს, მეტს აღახ გაწვადებ, და თუ ხამედ კიდევ ვივახგე და კაცობა ისევე დამჩა, დაგიმტკიცებ, ხომ შენი სიკეთე ახ დამავიწყდება.

ხომ გამახსენდება, ვეხ გნახე, ვეხ შემოგეხვიე, შენ და შენს საყვახედებს და ვეხ გაკოცეთ – გური მიკვდება. მაგხამ ვინ იცის, ბედი კიდევ ხას მოგვიგანს?

მამა უკანასკნელ წეხიღში გამომიტყდა, ხომ დიხხანს ავად იყო და ხოგოხც გავიგე, მძიმედ, ეხდა ბევხად უკეთ აჩის. ხვად შემოვებხვევი. და თუ ჯანმთედი ჩავედი, ეს შენი და დიზას მადლია“.

მათე კალინინიდან გაგზავნილ უკანასკნელ წერილში მამიდას – ელენე გლურჯიძეს სთხოვდა: „სვიმონ ყაუხჩიშვიდი თუ ნახო, გადაეცი

მოკითხვა. გამსახუდიას თუ ხვეები, გადაეცი ჩემი პაცივისცემა, მგონი, ახ დაავიწყდა თავისი მოწაფე“ (კერესელიძე, კალინინი, 3.09.57).

დილის 3 საათზე დაწერილი ეს ბარათი იმედებითა და რწმენით იყო აღსავსე. მათე კერესელიძე 15 წლის შემდეგ დაუბრუნდა ოჯახს.

მთელი ამ წლების განმავლობაში, უკანასკნელ წლების კავშირს თუ არ ჩავთვლით, იგი არა მხოლოდ ამანათებს, არამედ წერილებსაც ვერ ღებულობდა ახლობლებისაგან. გიორგი კერესელიძესაც ეგონა, რომ მათე დახვრეტილი იყო, მაგრამ შინაგანად მშობლის გული მაინც ელოდა.

მათე კერესელიძის სურვილი იყო, პატიმრობის გასვლის შემდეგ თავის სამშობლოში ჩასულიყო, რათა ბავშვობის ოცნება და ნატვრა აესრულებია, მაგრამ იგი მკაცრად გააფრთხილეს: თუ უკან შებრუნება არ უნდოდა, მაშინ ამ განზრახვაზე ხელი უნდა აეღო.

„ჩემო ძვირფასო ედენე!

დიდი ბოდიში, რომ აქამდის ახ მოგწეხე. თუმცა ათ დღეზე მეტია, რომ აქ ვაი. საქმე მაჩგო ის კი ახ ახის, რომ შეხვედრის სიხაყედმა, მეგობრებთან შეხვედრამ, სტუმრების განუწყვეტელმა მისვლა-მოსვლამ, ჩემებთან მთელი ღამეებით ბაასმა ახ მომცა დხო წეხიდის დაწეხისა. ახამედ ისიც ემატება, რომ აქ თუხმე ჩემზე ახესტის ბიხანება ახსებობდა და ჩამოსვლის მეოხე დღეს ციხეში ამომყოფინეს თავი! თუხმე აქაც მქონია 20 წლის კატოხლის განაჩენი, ხადგანაც შაბათი იყო, საქმეს გამონახვის თავი ახავის ქონდა და დიდი ბოდიშით ამიხსნეს, რომ ოხი-სამიოდე დლით მომიხდება სახედმწიფო ხაჩზე დასვენება.

მახთდაც, მესამე დღეს გამიშვეს და გამომიციხადეს, რომ ამ მოკლე ხანში ჩემი საქმე წახედგინება სასამახთლოს. ამ მთედ ამბავში ის ახის სამწუხახო, რომ ადვოკატის აყვანა საქიხო გახდა. და 40 ათასი ფხანკია გადასახედედი. ისე რომ, აქაც ახა მაჩგო ოჯახის ხაჩზე ვცხოვრობ, ახამედ კიდევ ამისთანა ცვიხითთ დავაწექი...

ზედმეტია, აგიწეხო ჩვენი ბედნიეხება, სიხაყედი და მეგობრების გუდ-თბილი შეხვედრა, შენც კახგად წახმოიდგენ. მამა ისე ღედავდა, რომ დუდუმ აე-ხოპოხტზე ახ წამოიყვანა, ხათა ავად ახ გახედესო. შემხვდნენ დუდუ, ნინო და გიოხგი. ნინო მაჩგო იმით ვიცანი, რომ დუდუს გვეხედში იგა და ხედებით შო-ხიდან მესადმებოდა. პიხვედ წუთს ვეხც მოვისაზხე, რომ მაღადი ტანმოყვანი-დი ახადგაზხდა მისი შვიდი უკან იყო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ სამი დღის განმავლობაში კახგად გამოვიძინე. სტუმრების გასტუმრების შემდეგ მამას გათენებამდე ვებაასებოდი.

ნინოს ნედ-ნედა ვეცნობოდი და მგონი დავიმეგობხე. ეს შეხვედრა მახ-თადი გითხხა, ცოტა მაფიქხებდა, მაგხამ მთედი მისი ნღობა და სიყვაყედი და-ვიპყაიხი.

გიოხგიც დავიმეგობხე და ახდა მთედად მენდობა“ (კერესელიძე, ვეზინე, 7.10.57).

მათე კერესელიძეს 15 წელი არ ჰყავდა შვილი ნანახი და მთელი ამ წლების განმავლობაში 2 წლის გოგონას ხატებას ატარებდა, რომელიც დედასთან ერთად დატოვა. მათეს მეუღლე მაია (მარია) დრუჟინინა რუსი ემიგრანტის ქალიშვილი გახლდათ და იგი იყო მთელი ოჯახის ბურჯი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ კერესელიძეები უფროსი ძმიდან – იასონიდან დანყებულნი ლეო, გიორგი და მათეთი დამთავრებული რუსეთს ებრძოდნენ, თუმცა ამ უკანასკნელმა მეუღლედ რუსი ეროვნების ქალი მოიყვანა, რაც იმის დასტური გახლდათ, რომ ქართველ ხალხს იმპერიალისტური რუსეთი და მისი ბოროტების მანქანას სძულდათ და არა რუსი ერი.

მათე კერესელიძემ საცხოვრებლად გერმანია აირჩია. იგი მამიდას ატყობინებდა: „50 წელს გადასული, 15 წელზე მეტი უპაქტიკო, ახავითაჰი ნამდვირი სპეციალური ცოდნის კაცისთვის, ხომღის პასპოხტის საკითხიც კი ჯეჰ კიდეჰ გახრევაშია, საიდანღაც ჩამოსუდი უცხოედისთვის, ხასაკვიჰვეღია, ძნეღია მყისვე მოწყობა. მაგჰამ ბოდოს, მგონი, ეხღა შემიძღიან დავმშვიდეღე და ჩემი ჯიუტობით ბედმაც ძადიან გამიღიმა – მგონი. ფეხი მყაჰ ნიადაგზე დავდეღი. ჰამბუჰგში ეჰთ ქვიშის და ცემენტის ქაჰხანაში მოვეწყე, ვიმუშავებ კონტოჰაში. თანაც თაჰგმანებზე კეჰძოდ ვიმუშავებ, ისე ჰომ ოჯახს მოვეუდი“ (კერესელიძე, ჰამბურგი, 31.10.59).

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გიორგი კერესელიძე სამშობლოდან შორს გარდაიცვალა და უცხო მიწაში დაკრძალეს... „ადბად, ჩვენც უცხო მიწაში უნდა გადავიკაჰგოთ. ჩვენი შვილები კი და შვიდიშვილები ნედ-ნეღა გადაგვაჰდებიან და უცხოეთი მათთვის უცხოეთი აღაჰ იქნება“ (კერესელიძე, ვეზინე, 16.06.60).

მათე კერესელიძისათვის მამის დაკარგვა ძალიან დიდი დარტყმა იყო. მას იმედად ისღა დარჩენოდა, როგორც თვითონ წერდა: „მარიამს ლეოს ქალღლები აქვს, მამასაც ბევრი ნაწერი დაუტოვებია, ძალიან მსურს, ოდესმე გადავსინჯო და მოგონების ღირსი არ დაიკარგოს (კერესელიძე, ვეზინე, 13.08.60).

მათე კერესელიძეც უცხო მიწაში იმ რწმენით ჩაესვენა, რომ საქართველოს საბოლოოდ ღმერთი არ გასწირავდა. ნანატრ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას კვლავ აღუდგენდა.

ლიტერატურა:

გაბლიანი 1998: გაბლიანი გ., ჩემი მოგონებანი, ტ. 1, ქუთაისი, 1998.

კერესელიძე 1946, 1948: კერესელიძე მ., პირადი წერილები, ყარაგანდა, 1946, 1948.

კერესელიძე 1956, 1957, 1959, 1960: კერესელიძე გ., პირადი წერილი, ვეზინე, 1956, 1957, 1959, 1960.

კერესელიძე 1959: კერესელიძე მ., პირადი წერილი, ჰამბურგი, 1959.

სულაძე 2012: სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბილისი, 2012.

ქავთარაძე 2007: ქავთარაძე მ., ცხოვრების 100 წელი, თბილისი, 2007.

Mariam Marjanishvili

Kutaisi State Historical Museum

Mate Kereselidze's Epistles Tell Us

Key words: *Key words: Mate Kereselidze, Legendary Brothers, White George, Teutons Mania, Tamar I*

During the World War II a large number of young Parisian emigrants joined anti-soviet organisations. They hoped that Germany would defeat Russia, which will give the Georgian emigrants the opportunity to restore Georgia's independence.

Giorgi Kereselidze's eldest son, Mate was the first to join the anti-soviet organisation "Tamar I" as an interpreter.

The Georgians from this group were trained as saboteurs-parachutists who were to land in Caucasus.

"Indeed, in late spring or early summer of 1942, Mate Kereselidze's group from Tamar I landed in north-west part of Georgia. Some were killed and some were wounded during the fight against soviet forces, others were taken hostage. Mate was among the minority who, surprisingly, were released after 14-15 years of imprisonment and were let to return to the West".

In 1946 Mate Kereselidze sent his first letter from the camp to his aunt who lived in Tbilisi, in which he asked his relatives and friends for help.

In a small town near Paris, Mate's father, his wife and children, his brother and nephews were looking forward to his return and this day finally came on September 20, 1957.

Russian imprisonment didn't seem to be enough so the French government sentenced him to 20 more years of hard labour. The court acquitted Mate and he moved to Germany where he made his living by translating.

Mate Kereselidze's dream to return to Georgia remained unfulfilled: "Perhaps, we will be lost in strange lands. And our children and grandchildren will gradually change and strange lands will no longer be strange for them".

პაატა ნაცვლიშვილი

ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტი, გიგორ ხობაქიძის
უნივერსიტეტი

დავით საღირაშვილის გალექსილი მემუარები

საკვანძო სიტყვები: დავით საღირაშვილი, საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკა, ემიგრაცია, მემუარები, პოემა

„ფოტოგრაფია ამერიკის შეერთებულ შტატებში“ – ასე ერქვა დიდუბის საგამოფენო პავილიონში მოწყობილ გამოფენას, რომელმაც 1977 წლის ზამთარში მთელი თბილისი აალაპარაკა. ეს იყო ამერიკული ფოტოგრაფიის, ფოტოტექნიკისა და ახალი ტექნოლოგიების შთამბეჭდავი დემონსტრაცია თავისი კოდაკებით, პოლაროიდებითა თუ ჰოლოგრამებით, და რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია, შოთა საღირაშვილით – გამოფენის ერთ-ერთი ამერიკელი გიდი, რომელიც ბევრ თბილისელზე უფრო დახვეწილი ქართულით ლაპარაკობდა. ვეება რიგის მიუხედავად, რამდენჯერმე მოვინახულე ეს გამოფენა, რომ მეტი და მეტი სამკერდე ნიშნები თუ მშვენიერი ბუკლეტები მეგდო ხელთ და კიდევ და კიდევ გავსაუბრებოდი შოთა საღირაშვილს, რომელიც ჩემთვის მაშინ მთელ ქართულ ემიგრაციას განასახიერებდა.

ამასობაში გავიგე, რომ შოთა საღირაშვილი ბერლინში დაბადებულა, გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გარდა ავსტრიაში, იტალიასა და ესპანეთში უცხოვრია და იმ დროს, როცა თბილისში ამერიკელებმა ის გამოფენა ჩამოიტანეს, „ამერიკის ხმის“ თანამშრომელი ყოფილა ვაშინგტონში.

მაგრამ მესამე შესვლაზე შოთა საღირაშვილი გამოფენაზე აღარ დაამხვდა – ამერიკაში გაბრუნდაო, მითხრეს ჩემსავით მის სანახავად მისულეებმა. თურმე ამერიკიდან რომელიღაც საბჭოთა დიპლომატის გამოძევების საპასუხოდ საბჭოთა კავშირიდან გაუძევებიათ, როგორც სამშობლოს მოღალატის შვილი.

მაშინ არანაირი ინფორმაცია ამ მქონია, დღეს კი მეც ვიცი და სხვებმაც იციან, რომ მამამისი არათუ სამშობლოს მოღალატე, სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ერთი ღირსეული მამულიშვილი გახლდათ. დავით საღირაშვილი – ქართული ემიგრაციის გამოჩენილი მოღვაწე – თვალსაჩინო ფიგურა იყო ემიგრაციამდევ. მხოლოდ ის ფაქტი რად ღირს, რომ იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იმ მცირერიცხოვანი დელეგაციის წევრი იყო, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 1920 წლის მაისში მოსკოვს მიავლინა საბჭოთა რუსეთთან მოსალაპარაკებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად.

დავით საღირაშვილი 1887 წელს დაიბადა თბილისში. ადრეული ახალგაზრდობიდანვე ჩაება მუშათა მოძრაობაში. სხვა ქართველ მოხალისეებთან ერთად მონაწილეობდა 1909-1910 წლების ირანის რევოლუციაში. შემდეგ იყო პატიმრობა თბილისის, დონის როსტოვის, ხარკოვისა და ისევ თბილისის ციხეებში. 1913 ლადო დარჩიაშვილთან და ლადო ახმეტელ(აშვილ)თან ერთად დააარსა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „ფიქრი“. ამ დროს იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. 1914 წელს ხარკოვში გადაასახლეს. იქ ყოფნისას სწავლა გადანყვიტა და ხარკოვის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1915 წელს სტუდენტურ მღელვარებებში მონაწილეობისათვის ისევ დააპატიმრეს და ხარკოვის ციხის შემდეგ ჯერ ბელგოროდში, მერე კი ცარიცინში (შემდეგ – სტალინგრადი, დღეს – ვოლგოგრადი) გადაასახლეს. ცარიცინში მოუსწრო 1917 წლის ორივე რევოლუციამ და მეორე რევოლუციის შემდეგ ცარიცინის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე გახდა. შემდეგ იყო მუშაობა რევოლუციურ პეტროგრადში, სადაც ის საბჭოების ყრილობაზე მთავარი ცენტრის წევრად აირჩიეს. ამასობაში საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დავით საღირაშვილი სამშობლოში დაბრუნდა. იყო ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი. მერე გრიგოლ ურატაძესთან ერთად მონაწილეობდა მოლაპარაკებაში საბჭოთა რუსეთთან, რის საფუძველზეც 1920 წლის 7 მაისს ორ ქვეყანას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ლენინის მთავრობამ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. თუმცა მალევე, სულ რამდენიმე თვეში, საბჭოთა მთავრობამ უხეშად დაარღვია ეს ხელშეკრულება და საქართველოს ოკუპაცია და ანექსია მოახდინა. ქართული ჯარის მიერ თბილისის დატოვების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრი თვალსაჩინო ფიგურა ემიგრაციაში წავიდა. დავით საღირაშვილმა კი სამშობლოში დარჩენა ამჯობინა, მაგრამ მალე იგი კვლავ მეტეხის ციხეში აღმოჩნდა, ამჯერად – ქართული საზოგადოების ექვს ათეულ გამოჩენილ წარმომადგენელთან ერთად, ვინც ახალი ხელისუფლება ვერ იგუა. მათ შორის იყვნენ ნოე ცინცაძე, პავლე სარჯველაძე, ერეთეოზ რამიშვილი, რაფიელ ინგილო-ივანიცკი, კალისტრატე სალია, გიორგი ნაკაშიძე, ნიკო ნაკაშიძე, ვასილ ნოდია, ბიქტორ ცენტერაძე, შალვა აბდუშელი და სხვები. ისინი ჯერ დასახვრეტად, შემდეგ კი ციხიბრში გადასახლებისთვის იყვნენ განწირული, მაგრამ დავით საღირაშვილის ძველმა მეგობარმა, იმხანად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯერ კიდევ მოქმედმა ელჩმა გერმანიაში, ლადო ახმეტელმა ყველა ღონე იხმარა, რომ პოლიტიკური პატიმრები გერმანიაში გაესახლებინათ. მართლაც, 1922 წელს 16-თვიანი პატიმრობის შემდეგ 62 ქართველი პოლიტპატიმარი, და დავით საღირაშვილიც მათ შორის, გერმანიაში შეიფარა.

1927 წელს დავით საღირაშვილი გავიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან და მას მერე არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე იგი გერმანიაში ცხოვრობდა. რამდენიმე წლის განმავლობაში სათავეში ედგა გერმანიის ქართველთა კოლონიას. 1933 წელს პარიზში დავით ხელაძესთან ერთად დააარსა ქართული სტამბა. 1934-1937 წლებში შალვა ამირეჯიბთან, ზურაბ ავალიშვილთან, ლადო ახმეტელთან, გიორგი კვინიტაძესთან, მიხეილ კედიასთან და სხვებთან ერთად იყო მულტიეროვნული პოლიტიკური გაერთიანება „კავკასიის“ წევრი, რედაქტორობდა ჟურნალ „კავკასიის“ გერმანულ გამოცემას, ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ, ჟურნალისტურ და ლიტერატურულ საქმიანობას, იყო ძლიერი ორატორი, ერთხანს მგალობლადაც მდგარა ეკლესიაში, აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში, ქართულის გარდა, წერდა რუსულ და გერმანულ ენებზე. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ოჯახთან ერთად ჯერ ავსტრიაში გადავიდა, შემდეგ – იტალიასა და ესპანეთში, 1958 წელს კი ისე დაბრუნდა გერმანიაში, სადაც არჩილ მეტრეველთან ერთად მიუნხენში გამოსცემდა გაზეთს „სამშობლოში დაბრუნებისათვის“, რომლის რედაქტორიც თავადვე იყო.

დავით საღირაშვილს ცოლად ჰყავდა ფინელი ალმა საირანენი, რომელთანაც ორი შვილი შეეძინა – შოთა და ეთერი. ალმა საირანენი 1945 წელს გარდაიცვალა მილანში 50 წლისა. 1960 წელს დავით საღირაშვილი შოთასთან და მის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონში. 1961 წლის დასაწყისში დაძვალა დასცემია. აი, რას სწერს იგი აკაკი პაპავას 1961 წლის 1 თებერვალს: „ძმაო, აკაკი! ამ წერილს ვწერ მარცხენა ხელით. მარჯვენა მხარე: ფეხი, ხელი და ენაც კი დაშავებულია. ეს მოხდა სამი დღის წინეთ, ჩვენი საყვარელი სანდრო კორძია რომ გახდა ავად და შემდეგ გარდაიცვალა. ეხლა ცოტა უკეთესად ვარ, მაგრამ ჩემი დღეები დათვლილია. არ ვნანობ“. ამ წერილის შემდეგ დავით საღირაშვილმა კიდევ წელიწადზე მეტი იცოცხლა და 1962 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართველთა საძვალეში.

დავით საღირაშვილის გარდაცვალებიდან 60 წელი გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ცხოვრება და საქმიანობა საქართველოსა თუ ემიგრაციაში დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი და შეფასებული. ორიოდ საგაზეთო პუბლიკაციის გარდა, მისი მოკლე და სქემატური ბიოგრაფია შეგვიძლია ვნახოთ გურამ შარაძის წიგნში „ამერიკელი ქართველები (თვალის ერთი გადავლებით)“ (თბილისი, 1992) და მისივე „ქართული ჟურნალისტის ისტორიის“ პირველ ტომში (თბილისი, 2001). იგივე ტექსტი დევს ვიკიპედიაში და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე. დავით საღირაშვილის სახელი არ არის შეტანილი საქართველოს დემოკრა-

ტიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონში, რომელიც 2018 წელს გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. 2013 წელს მამამისის მცირე არქივი (წერილები მისადმი და რამდენიმე ფოტო, სულ – 69 ერთეული) საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა ეთერ საღირაშვილმა. დავით საღირაშვილის ოთხი წერილი დაცულია თამარ და აკაკი პაპაშვილის კაბინეტში, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. თუ რამ არ გამომჩა, მგონი, სულ ეს არის.

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1961 წელს მადრიდში გამოვიდა დავით საღირაშვილის წიგნი სათაურით „ფიქრთა და მოგონებათა რვეული“. მადრიდში ცხოვრობდა დავით საღირაშვილის მეგობარი რაფიელ ინგილო-ივანიცკი. იმხანად იქ ცხოვრობდა აგრეთვე ვიქტორ ნოზაძე და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წიგნის მადრიდში გამოცემა სწორედ ამან განაპირობა. ხელნაწერი სასტამბოდ დიდი ალბათობით მათი მომზადებულია – იგულისხმება ტექსტის აკრეფა და მისი რედაქტირება თუ კორექტურა. წიგნი რომ დაიბეჭდა, დავით საღირაშვილი უკვე მძიმედ იყო ავად.

„ფიქრთა და მოგონებათა რვეული“ არასტანდარტული ფორმატის 288 გვერდისგან შედგება, ერთვის ავტორის ფოტო თავში და „განმარტება ზოგიერთი სიტყვისა და ამბისა“ – ბოლოში. დაბეჭდილია მაღალხარისხოვან თხელ ცარცის ქაღალდზე და აკინძულია რბილ გარეკანში. ჩართული აქვს სამი ილუსტრაცია: ქეთევან წამებული (რეპროდუქცია საბინინის წიგნიდან) 35-ე გვერდზე, ჯგუფური ფოტო (ნოე ჟორდანიას, ვლასა მგელაძე, პაველ აქსელროდი, გიორგი აიოლო, ირაკლი წერეთელი, ნოე რამიშვილი და დავით საღირაშვილი) 161-ე გვერდზე და მეტეხის ციხის 48 პოლიტიკური პატიმრის პორტრეტები, გადაღებული თუ დაბეჭდილი 1922 წლის 9 ოქტომბერს) 216-217-ე გვერდებზე.

„ფიქრთა და მოგონებათა რვეული“ წარმოადგენს დოკუმენტურ პოემას, დავით საღირაშვილის გალექსილ მოგონებებს, მის ერთგვარ ავტობიოგრაფიას, რომელიც განფენილია XX საუკუნის დასაწყისიდან მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე მიმდინარე ისტორიულ მოვლენათა ფონზე. როგორც თხზულების ბოლოს მიწერილი თარიღიდან ჩანს, თხზულებაზე ავტორს 1945-1946 წლებში უმუშავია მილანსა და რომში, სადაც იგი, გერმანიის (როგორც თავად წერს) დამარცხებით იმედგაცრუებული, ბერლინიდან ლტოლვილი აფარებდა თავს. ამდენად, იგი ავტობიოგრაფიასთან ერთად, ერთგვარი ისტორიული პანორამაცაა იმ ისტორიული მოვლენებისა, რომლებშიც ავტორი პირადად მონაწილეობდა.

ნიშანდობლივია, რომ ტიტულზე წიგნის სათაური არ არის თარგმნილი და ლათინური ასოებით ავტორის გვარისა და სახელის გარდა, ერთადერთი სიტყვა აწერია: ესპანური „Memorias“ ანუ მემუარები, მოგონებები. ასე რომ, სალექსო ფორმის მიუხედავად, დავით საღირაშვილმა ტიტულიდანვე განსაზღვრა თავისი ნაშრომის ჟანრი.

წიგნის სტრუქტურა ავტორის ბიოგრაფიის ქრონოლოგიურ ქარგას მისდევს.

საკუთრივ პოემა შედგება 11 ეპიზოდისგან ანუ 11 კარისგან და წინ უძღვის ავტორისეული წინასიტყვაობა („ავტორისაგან“) და პროლოგი, ერთვის აგრეთვე ავტორისეული ეპილოგიც.

თითოეული კარი დასათაურებულია. რვა სათაური გეოგრაფიულია, ორი – მოვლენური (მე-6 და მე-11) და ერთიც – თითქოს ფილოსოფიური (მე-10) და ამდენად, ერთგვარად ამოვარდნილი საერთო სტრუქტურიდან.

კარი პირველი (საქართველოში) – გვ. 11-29; კარი მეორე (სპარსეთში) – გვ. 30-76; კარი მესამე (კვლავ საქართველოში) – გვ. 77-86; კარი მეოთხე (რუსეთში) – გვ. 87-105; კარი მეხუთე (ისევ საქართველოში) – გვ. 106-110; კარი მეექვსე (პირველი მსოფლიო ომი) – გვ. 111-153; კარი მეშვიდე (დამოუკიდებელ საქართველოში) – გვ. 154-206; კარი მერვე (კიდევ მეტეხის ციხეში) – გვ. 207-230; კარი მეცხრე (ევროპა) – გვ. 231-243; კარი მეთათე (გონების აღრევა) – გვ. 244-257; კარი მეთერთმეტე (მეორე მსოფლიო ომი) – გვ. 258-282.

ამათგან ყველაზე ვრცელია მეშვიდე, მეორე და მეექვსე კარები (შესაბამისად – 53, 47 და 43 გვერდი), ხოლო ყველაზე მოკლე – მეხუთე კარი (5 გვერდი).

მოვლენური სათაურები უწინ მეექვსე და მეთერთმეტე ეპიზოდების დროით ფარგლებს განსაზღვრავს, ვიდრე იმ მოვლენათა შინაარსს, რომლებიც სათაურებადაცაა გამოტანილი. ხოლო იმ „ფილოსოფიურსათაურიან“ მე-10 თავში („გონების აღრევა“) აღწერილია დაძაბულობა და დაპირისპირება ქართულ ემიგრაციაში, რაც კარგადაა არეკლილი თუნდაც აი, ამ ერთი სტროფში, რომელიც ემიგრანტთა ერთ-ერთი შეკრების ფინალს აღწერს:

*„და ჟოხდანიამ ველახ გაუძღო
უშნო აღიევას უსაგნო აზითა,
ადგა და ქუდი თავს დაიხუხა,
დასტოვა კხება მახთღაც მახდადა“
(სალირაშვილი, 1961, გვ. 252)*

პოემის ავტორი თხრობას იწყებს თავისი ბავშვობის, სიყმაწვილისა და სიჭაბუკის ამბებით – როგორ გაიტაცა 12 წლის ბიჭი წიგნების კითხვამ, როგორ გაიცნო არსენა ჯორჯიაშვილი, როგორ მიიღო მონაწილეობა მუშათა მღელვარებებში; გაზეთის ქრონიკიორის თანმიმდევრობით აღწერს იგი 1905 წლის მოვლენებს, ილიას მკვლელობას, მის დაკრძალვას. ამას მოსდევს სპარსეთის ამბები, დაპატიმრებები, გადასახლებები, ლტოლვილობა – დონის როსტოვი, ხარკოვი, ცარიცინი, პეტერბურგი, მოსკოვი, ბერლი-

ნი, ზალცბურგი, მილანი, რომი და ავტორის თავს გადახდენილი მრავალი ამბავი, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე.

გალექილი თხრობისას, ავტორი უმეტეს შემთხვევაში მშრალად ჩამოთვლის მოვლენებს, რომელთა თვითმხილველი ან მონაწილე ის ყოფილა, ხშირად აღწერს თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას ამ მოვლენებისადმი, არ ერიდება ისტორიულ წიაღსვლებს, ზოგიერთ შემთხვევაში ცდილობს, გააანალიზოს ნანახი თუ განცდილი და მიუჩინოს მას ადგილი როგორც ზოგადად ისტორიაში, ისე მის პირად ბიოგრაფიაში.

ჰომეროსის პოემებიდან მოყოლებული, არაერთი პოეტური ნიმუში შეიძლება დავასახელოთ, რომლებშიც ისტორიული მოვლენები თითქმის დოკუმენტური სიზუსტით არის გადმოცემული. ქართული ლიტერატურიდან აქ შეიძლება დავით გურამიშვილის „დავითიანი“ ან ირაკლი აბაშიძის „რას გადაურჩა თბილისი“ გაგვახსენდეს, მაგრამ დავით საღირაშვილის პოემა პოეტური ნიმუშების ამ რიგში მხოლოდ თემატური ან შინაარსობრივი თავისებურების გამო თუ მოიაზრება. სხვა მხრივ „ფიქრთა და მოგონებათა რვეული“ უფრო ისტორიულ თხზულებად შეიძლება განვიხილოთ, ვიდრე ლიტერატურულ ნაწარმოებად.

ეს წიგნი მართლა კარგი და, სხვათა შორის, საკმაოდ სანდო ისტორიული წყაროა მასში აღწერილი მოვლენების შესასწავლად, მასში ნახსენები მრავალი ისტორიული პიროვნების ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებით შესავსებად, თავად ავტორის ცხოვრების არაერთი მომენტის დასაზუსტებლად და აღწერილი ამბებისადმი მისი დამოკიდებულების გასარკვევად.

ამდენად, ამ წიგნის ადგილი, რაგინდ გარეგნულად პოემის და ზოგადად მხატვრული ლიტერატურული თხზულების სახე ჰქონდეს, უფრო ისტორიული და მემუარული ლიტერატურის ისეთი ნიმუშების გვერდით უნდა მოვიაზროთ, როგორცაა, ვთქვათ, ნოე ჟორდანიას, ვლასა მგელაძის, გრიგოლ ურატაძის, რევაზ გაბაშვილის, დავით ვაჩნაძის, ვალიკო ჯუღელის, ვალიკო ჩუბინიძის, ზაქარია გურულის, ალექსანდრე ასათიანის, ალექსანდრე სულხანიშვილისა თუ სხვათა მემუარები.

დავით საღირაშვილის მოგონებების დროითი და სივრცითი ფარგლები საკმაოდ ფართოა. დროის თვალსაზრისით, იგი ავტორის ცხოვრების 60-წლიანი პერიოდის გარდა, ისტორიულ წიაღსვლებსაც მოიცავს ანტიკური რომიდან მოყოლებული „მესამე რაიხის“ ჩათვლით, ხოლო საქართველოდან დაწყებული თხრობის გეოგრაფიული განფენილობა ერთი მხრივ სპარსეთს სწვდება, მეორე მხრივ კი – რუსეთსა და ევროპას.

მემუარებში რამდენიმე ათეული ისტორიული პიროვნებაა დასახელებული თუ დახასიათებული ლენინიდან და სტალინიდან ან კერენსკიდან და

მილიუკოვიდან მოყოლებული, ბათუმელი მუშით – ვალიკო ივანაიძით დამთავრებული. მათი უმეტესობა ავტორის პირადი ნაცნობი და მისი თავგადასავლის უშუალო თვითმხილველი თუ მონაწილეა. პოემის ისტორიულ პერსონაჟთა ჩამოთვლის თვალსაზრისით, საინტერესო და ერთგვარად სარეკორდოა ორი რვასტრიქონედი, რომლებშიც 9-9 პიროვნებაა დასახელებული.

მეოთხე კარში, წიგნის 95-ე გვერდზე, ავტორი როსტოვის ციხის პატიმრებს ჩამოთვლის:

„ვის ახ შეხვედებით: აქ მოხვდნენ ნოე, / თვით ხამიშვიდი და ჭიჭინაძე, / დევდაჩიანი, ცნობილი მუშა / სურხანიშვიდი და პაიჭაძე. / მეგხედიშვიდი, სეით ხაზმაძე, / გოგი ეჩაძე, მუშა გოგდიძე, / მშობედი ქვეყნის გუდის სიღმიდან, / მუშა და გღეხი, მისი ღვიძლი ძე“ (სალირაშვილი, 1961, გვ. 95).

ხოლო მეექვსე კარში, რომელსაც „პირველი მსოფლიო ომი“ კი ჰქვია, მაგრამ ძირითადად რუსეთისა და სოციალ-დემოკრატიული ყრილობების ამბებია მოთხრობილი, ამ ყრილობათა დელეგატი დავით სალირაშვილი წერს:

„პოლიტიკის ჩახხს გამოკვეთიდად / აქ აგხიადებს ეს ოხი პიხი, / კაკის უმშვენებს სახედგანთქმული / გხიო-სამეუდი: გოც-ღიბეხ-დანი. / დენინის იხ-გვიღვ აქ თავს იყხიან / გხოცკ-კამენევი, სვეიდლოვ-სტადინი, სხვა კიდევ ყველა ფეხში ედება, / ხან დიდად ღედავს, ხან ახის წყნახი“ (სალირაშვილი, 1961, გვ. 127).

ისტორიული პიროვნების სალირაშვილისეული დახასიათების მაგალითად გამოდგება ლენინის პორტრეტი იმავე მეექვსე კარში:

„პიხვედად შევხვდი ბოდშევიკების / დიდ მეთაუხსა, ცბიეხ დენინსა, / მას ეხთი ამბით სადგუხზე შეხვდნენ, / ის აქვე ამბობს სიყვასა გხძელსა, / ყველა პახტიას სასტიკად ჰკიცხავს, / ჯანყისკენ იწვევს „პხოდეტახებსა“, / საქმის უცნობი ეს დემაგოგი, / მოითხოვს ომის გათავებასა“ (სალირაშვილი, 1961, გვ. 126).

წიგნს ეპიგრაფად უძღვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები მისი ლექსიდან „მერანი“: „მაგხამ ხადგანაც კაცნი გვექვიან, შვიდნი სოფლისა“ და ა.შ. – მთელი სტროფი (სალირაშვილი, 1961, გვ. 4).

ბარათაშვილის ეპიგრაფი ავტორის, როგორც პოეტის ერთგვარ პრეტენზიას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ დავით სალირაშვილის პოემა ამ მხრივ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. შეიძლება ითქვას, რომ არც ფორმითა და არც შინაარსით ამ წიგნში არაფერი მხატვრული და მით უმეტეს – პოეტური არ არის. გარდა ამისა, ავტორი ვერ ფლობს ლექსნყობის ელემენტარულ ტექნიკას. თუმცა არცთუ იშვიათად ამახინჯებს და ხელოვნურად კვეცავს სიტყვებს („კუნძულ კორსიკზე დაბადებული, / ნაპოლეონი, ფრანგზე მეტ

ფრანგი“ – გვ. 253; აგრეთვე – გვ. 265, 269, 270, 271...), დავით საღირაშვილი ვერ იცავს მის მიერ არჩეულ 10-მარცვლიანი საზომს, ზოგან ერთი მარცვალის აკლდება (გვ. 218, 266...), ზოგან – პირიქით, მეტი მოსდის (გვ. 127, 233, 246, 247, 256, 257, 262, 276, 280...). რვა-რვა სტრიქონებად დალაგებულ სტროფებში ცდილობს, გართიმოს ლუწი სტრიქონები, მაგრამ მისი რითმები უმეტეს შემთხვევაში ერთმარცვლიანი, უმწიფარი და ნაძალადევიანია. მთელ პოემაში არ არის არც ერთი დასამახსოვრებელი რითმა. ის კი არა, საზომის ჩარჩოებს და ნაძალადევ რითმებს ხშირ შემთხვევაში აზრის სიცხადეც ეწირება. მაგალითების საგანგებოდ მოხმობა აქ, ვფიქრობ, ზედმეტია, რადგან ნათქვამის საილუსტრაციოდ ამ სტატიის დასრულებული საღირაშვილის ნებისმიერი სტრიქონი გამოდგება.

მხატვრულობას პოემას ვერც მეჩხერი იუმორი და თვითირონია სძენს. ვთქვათ, ასეთი:

„მე აქ მაჩვენეს ხოსტოვის ციხე / მეგი ხადისის შესამციხებდად: / ექვსი თვით მომცეს აქ კაჩვი ბინა, / შესაფეხია დასასვენებდად“ (საღირაშვილი, 1961, გვ. 103).

მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს ლიტერატურული ნაკლოვანებები თუ არასრულყოფილება სულაც არ აკნინებს დავით საღირაშვილის მემუარების, როგორც ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობასა და ღირებულებას. და ეს არის ამ წიგნის მთავარი თავისებურებაც.

ავტორი თავის პოეტურ უსუსურობასთან ერთად, თავადვე გრძნობს და ხედავს ერთგვარ შეუსაბამობას წიგნის შინაარსსა და მის მიერ არჩეულ ფორმას შორის და პოემის პირველივე სტრიქონებში თავის მცდელობას იმით ამართლებს და თავს იმით ინუგეშებს, რომ ისტორიული ამბები აღწერა:

„ესე ამბავი, აქ მოთხობიდი, / სისხლით ნაწეხი გულის ხვეუდი, / გონების თვადით გადავიკითხე, / ჟამთა სავადით მივიწყებუდი; / ქაჩდუს კაჩნახით დექსად გავილე, / დავიმსახუხე სხვის ავი თვადი, / მხოლოდ ნუგეშად მე ისლა მიჩიება: / ამბები მითქვამს ისგოხიუდი“ (საღირაშვილი, 1961, გვ. 5).

და იქვე განმარტავს: ისტორიული ამბები და არა ზუსტი ისტორიო, რითიც თავს იზღვევს შესაძლო კრიტიკისაგან ფაქტებისა და მოვლენების სუბიექტურად ასახვის გამო:

„გთხოვთ ყუხადლებას! ისგოხიუდი / და ახა ზუსტად თვით ისგოხია, / სამოცი წუდის გიძნობა-განცდანი, / ხაც ეკდის გზაზე მე შემხვედხია“ (საღირაშვილი, 1961, გვ. 5).

ამ სტრიქონებშივე უნდა ვეძებოთ პასუხი კითხვაზე, თუ რატომ აირჩია ავტორმა ეს ფორმა, რატომ გადაწყვიტა, გაელექსა თავისი მოგონებები. როგორც ჩანს, მას ეს „ქარდუს კარნახით“ ანუ გრიგოლ რობაქიძის რჩევით

გაუკეთებია. ხოლო თუ რატომ ურჩია ამგვარი ფორმა რობაქიძემ, ძნელი დასადგენია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საღირაშვილი მერყობდა, დაეწერა თუ არა საერთოდ მოგონებები, ხოლო ამ ფორმაში მოქცევით ჩათვალა, რომ მემუარები ნაკლებ პრეტენზიული იქნებოდა, უფრო ლიტერატურული პროდუქტის სახეს მიიღებდა და, ალბათ, ნაკლებ კრიტიკასაც და გაკილვასაც გამოიწვევდა ძალზე ჭრელი და ურთიერთდაპირისპირებული ემიგრანტული ჯგუფებისაგან. ის კი ძნელი დასაჯერებელია, რომ გრიგოლ რობაქიძემ დავით საღირაშვილში რაიმე პოეტური ნიჭი დაინახა და ამიტომ შეაგულიანა იგი, მოგონებები ლექსად დაეწერა.

კარგი იქნება, დავით საღირაშვილის გალექსილი სტრიქონები ჩვეულებრივი თხრობით გადმოიციეს, დაერთოს მას პიროვნებათა თუ გეოგრაფიულ ტერმინთა საძიებლები თუ განმარტებები და კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ წიგნში აღწერილ მოვლენათა საღირაშვილისეული აღქმა თუ ინტერპრეტაცია შედარდება შესაბამისი ეპიზოდების აღქმებსა თუ ინტერპრეტაციებს სხვა მემუარისტთა ნაწერებში. ვფიქრობ, ეს არაერთი საინტერესო ინფორმაციით გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას. უაღრესად საინტერესოა, მაგალითად, დავით საღირაშვილის მიერ ლექსად მოთხრობილი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ იმოგზაურა 1920 წელს სტუმრად ჩამოსულმა ემილ ვანდერველდემ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და როგორ უშედეგოდ სცადა მან მყინვარწვერის დაპყრობა. ძალზე საინტერესოა აგრეთვე დავით საღირაშვილის შეხვედრა ხარკოვის ციხეში ტაშკენტიდან გადმოყვანილ შეძლებულ პატიმართან, რომელსაც იგი ავთანდილ თაყაიშვილად მოიხსენიებს და რომელიც, ჩემი ვარაუდით, სინამდვილეში შეიძლება საიდუმლოებით მოცული ავთანდილ მერაბაშვილი იყოს – ემიგრაციაში დავით საღირაშვილის ერთ-ერთი ახლო მეგობართაგანი. თუმცა ეს ყველაფერი მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

ამჯერად ჩემი მიზანი იყო, ყურადღება გამემახვილებინა დავით საღირაშვილის გალექსილი მემუარების წიგნის არსებობის თავად ფაქტზე, რადგან არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს წიგნი იმის ნახევარი ინტერესითა და ყურადღებით მაინც არის წაკითხული, ვიდრე სინამდვილეში იგი იმსახურებს. არადა, ამ წიგნის შინაარსის ისტორიული კუთხით შესწავლის შედეგად, მისი ავტორი გაცილებით უფრო საინტერესო და მნიშვნელოვან ფიგურად შეიძლება წარმოგვიდგეს, ვიდრე ის დღემდე არის მიჩნეული. დავით საღირაშვილის წიგნი დიახაც ძნელი და მოსაწყენი საკითხავია, როგორც პოეტური ქმნილება, მაგრამ ძალზე საინტერესოა, როგორც ისტორიული ნარატივი. ამ დოკუმენტური პოემის ერთი-ორი სტროფის გადაკითხვისთანავე ჩანს, რომ ლიტერატურის, თუნდაც ემიგრანტული ლიტერატურის მკვლევართათვის, იგი ნაკლებად საინტერესოა ან სულაც არ არის საინტერესო, ხოლო ისტორიკოსებმა დღემდე ვერ მიაქციეს ჯეროვანი ყუ-

რადღება, სწორედ როგორც ლიტერატურულ, მხატვრულ ნაწარმოებს და ამდენად, ეს ნაშრომი საერთოდ მკვლევართა ინტერესის მიღმა დარჩა.

ამ სტატიის წინასწარ შეთანხმებული მოცულობა და ფორმატი არ იძლევა საშუალებას, უფრო დანვრილებით განვიხილოთ ეს წიგნი, მისი ესა თუ ის ეპიზოდი ან ღირსება-ნაკლოვანებანი, მაგრამ თუ ამჯერად ის მაინც მოხერხდება, რომ სტატია ინტერესს აღძრავს და დავით საღირაშვილის გალექსილი მემუარები ამა თუ იმ ფორმით ჩაერთვება სამეცნიერო მიმოქცევაში, ჩემი მიზანი მიღწეული იქნება.

ლიტერატურა:

საღირაშვილი 1961: საღირაშვილი დ., ფიქრთა და მოგონებათა რვეული, მადრიდი, 1961.

Paata Natsvlishvili

*Institute of History & Geography of The Georgian Emigration,
Grigol Robakidze University*

Memoirs of David Sagirashvili in Verse

Keywords: *David Sagirashvili, The Democratic Republic of Georgia, Emigration, Memoirs, Poem*

David Sagirashvili (1887-1962) — a prominent figure of the Georgian political emigration, was also a well-known figure in the Georgian Democratic Republic (1918-1921), as a party leader, one of the founders of the National Guard, and a diplomat.

Being for many years a well-known journalist and editor of various publications, he wrote a book of memoirs in verse, which was printed in Madrid in 1961. The memoirs cover the period from the beginning of the 20th century to the end of the Second World War and the geographical space from Georgia to Russia and from Persia to Europe.

The 288-page book consists of 11 episodes, or chapters: 1 — In Georgia; 2 — In Persia; 3 — Again in Georgia; 4 — In Russia; 5 — Back in Georgia; 6 — World War I; 7 — In Independent Georgia; 8 — Again in the Metekhi prison; 9 — Europe; 10 — Confusion of the mind; 11 — World War II.

The poetic and literary value of this book is not great and therefore did not interest the researchers of Georgian emigrant literature. On the other hand, historians did not pay attention to it as a model of poetic creativity.

In fact, David Sagirashvili's book is an interesting and reliable source for studying the historical realities described in it and for clarifying the biographical details of many historical figures mentioned by the author. Among these events are the revolutionary events in the Russian Empire in 1905 and 1917, the Iranian revolution, the first and second world wars ... All these events affected all of their participants and David Sagirashvili in particular.

It would not be bad to retell the whole poem in prosaic language and provide the version with dictionary-reference notes of personalia and geographical names as well. This would have contributed to the inclusion of David Sagirashvili's book into scientific circulation.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლადო არველაძე – ემიგრაციაში მოღვაწე მწერალი (ახალი მასალები)

საკვანძო სიტყვები: ღადო ახველაძე, ნიუ-იორკი, ხომი, თბილისი, ქაჩთუღი ემიგრაცია

ლადო არველაძე (დაიბადა 1908 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ჭაგანში) მეოცე საუკუნეში ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქართველი მწერალი იყო, რომლის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან საქართველოში დღემდე არაფერია გამოქვეყნებული. პირველი ფრაგმენტული ცნობები მის შესახებ საბჭოთა ეპოქაში დაიბეჭდა ჩვენს პრესაში, რაც არსებითად აღმოჩნდა განპირობებული ემიგრაციაში მყოფი მწერლის სტუმრობით თავის სამშობლოში. კერძოდ, ლადო არველაძე მის იტალიელ მეუღლესთან – იტალია ტროიანთან ერთად პირველად და უკანასკნელად 1972 წელს ესტუმრა სამშობლოს მისი დისწულის – მაგული ჩაჩუა-ცხვარაძის მოწვევით. თბილისში გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ მწერალი მეუღლესთან ერთად მშობლიურ სამტრედიას ეწვია, მაგრამ ავად გახდა, რის გამოც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჯერ სამტრედიის რკინიგზის საავადმყოფოში მკურნალობდა, შემდეგ კი – თბილისში ე. წ. „ლეჩკომბინატში.“

სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში არსებული რეალობიდან გამომდინარე, მწერლის ყოფნასთან დაკავშირებით მაშინდელ პრესაში არაფერი დაბეჭდილა, გარდა მისგან აღებული ერთადერთი, ინფორმაციულად ძალიან მწირი, ინტერვიუსი (გაზ. „სამშობლო“, 1972, 27. XII). ლ. არველაძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი ინტერესი არც ამის შემდეგ გამოუჩენია ვინმეს და ქართულ პრესაში მის შესახებ მხოლოდ ორიოდ წერილი დაიბეჭდა.

ლადო არველაძის მიერ შექმნილი მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში ჩამოიტანა ქართული ემიგრაციის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა გურამ შარაძემ. მწერლის ლიტერატურული ქმნილებებით იგი იმდენად დაინტერესებულა, რომ მათი წიგნად გამოცემაც ჰქონია განზრახული, მაგრამ მისი ცხოვრებისეული გზის ტრაგიკულად დასრულების გამო, ამ მიზნის ხორცშესხმა არ დასცალდა.

პირველი ვრცელი ნარკვევი, რომელიც ლადო არველაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლიანად განხილვის მცდელობას წარმოადგენს, ამ სტრიქონების ავტორს ეკუთვნის. იგი 2015 წელს გამოქვეყნდა

„ქართველოლოგიური ეტიუდების“ მეორე ტომში (ნიკოლეიშვილი, 2005, გვ. 325-372). ლ. არველაძის შემოქმედებას მიეძღვნა აგრეთვე სხვადასხვა დროს გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული ჩემი რამდენიმე მოხსენებაცა და ამ მოხსენებათა ნაბეჭდი ტექსტებიც.

ლ. არველაძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი ჩემი ინტერესი ამით არ დამთავრებულა და ამ დროიდან მოყოლებული კვლავაც ვცდილობდი ახალი მასალების მოძიებასა და წინამდებარე ნარკვევის კიდევ უფრო სრულყოფას.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესო მასალას წარმოადგენს მწერლის მიერ მისი მახლობელი ადამიანებისათვის ნიუ-იორკიდან და რომიდან გამოგზავნილი და ჩვენ მიერ მიკვლევული პირადი წერილები, რომლებიც ახალი ცნობებით ავსებს და ამდიდრებს ლადო არველაძის ბიოგრაფიას. ამ წერილების დედნები დაცულია მათი ერთ-ერთი ადრესატის, ამჟამად თბილისში მცხოვრები მწერლის დისწულ ინეზა ჩაჩუა-ცხვარაძის ოჯახში.

იქიდან გამომდინარე, რომ მახლობელი ადამიანებისათვის გამოგზავნილ პირად წერილებში ლ. არველაძე არა მარტო თავის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით გვანვდის აქამდე უცნობ ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას, არამედ მისი დროის ეპოქალურ მოვლენათა შესახებაც გამოთქვამს მეტად საგულისხმო მოსაზრებებს, მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა საბჭოთა კავშირსა და დასავლურ სამყაროში არსებული რეალობებისადმი მწერლის პიროვნული დამოკიდებულების გასააზრებლადაც უნდა მივიჩნიოთ საინტერესო დოკუმენტურ მასალად.

მწერლის პირადი წერილებისადმი ინტერესს ამ შემთხვევაში ის ფაქტორიც ზრდის არსებითად, რომ მათი ცალკეული ეპიზოდები ემოციურად ღრმად შთამბეჭდავი ფორმითა და სიტყვიერი ხელოვნებითაცაა დაწერილი.

ლადო არველაძე დაიბადა 1908 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაგანში. მწერალს დედა ორი წლის ასაკში გარდაცვლია და ოჯახის მოვლა-პატრონობა მამასთან ერთად ლადოს უფროს დას, იმხანად თერთმეტი წლის მაგდანას უკისრია. ხუთი წლის შემდეგ მაგდანა ჩინეთში მდებარე ქალაქ ხარბინში სამხედრო სამსახურში მყოფ მარტიანე შენგელიაზე გათხოვილა და იქ გადასულა საცხოვრებლად. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 90-იანი წლების დასასრულიდან XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე ქალაქი ხარბინი ქართული ემიგრაციის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან კერას წარმოადგენდა, სადაც იქაურ ქართველებს ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერი სათვისტომო ჰქონდათ შექმნილი.

ჩინეთის ამ პროვინციაში ქართველ ემიგრანტთა ესოდენ დიდი რაოდენობით თავმოყრა არსებითად აღმოჩნდა დაკავშირებული 1898 წელს რუსეთის მიერ მანჯურიაში სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დაწყე-

ბასთან. ამ მოვლენისა და 1904 წლის რუსეთ-იაპონიის ომის შედეგად ქალაქ ხარბინში „3-4 ათასი ქართველი ცხოვრობდა. 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციის, 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ იქაურ კოლონიას რეპრესიებს თავდაღწეული ბევრი ქართველი შეუერთდა... 1908 წელს დაარსებულ სათვისტომოს ჰქონდა ქართული სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა; ურთიერთდამხმარე საზოგადოება ახლად ჩასულებს დაბინავებასა და სამსახურის შოვნაში შველოდა!“ (დაუშვილი, 2007, გვ. 29).

XX საუკუნის 30-იან წლებში ჩინეთსა და იაპონიას შორის მდგომარეობის გართულების გამო, რასაც შედეგად იაპონელთა მიერ ჯერ ხარბინის (1931 წ.), შემდეგ კი (1937 წ.) შანხაის აღება მოჰყვა, უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი მანჯურიელი ქართველები იძულებული გახდნენ, ჩინეთიდან გახიზნულიყვნენ და თავი ევროპისა და ამერიკისთვის შეეფარებინათ.

სამწუხაროდ, ხარბინში გათხოვილი მაგდანა ამ ქალაქში გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათ, მაგდანას ორი შვილიდან ერთი 1937 წელს სამშობლოს ღალატის ბრალდებით საქართველოში დაუჭერიათ და დაუხვრეტიათ. რაც შეეხება მეუღლეს – მარტიანე შენგელიას, იგი, ასევე სამშობლოს ღალატის ბრალდებით, 1951 წელს დაუპატიმრებიათ, შუა აზიაში გადაუსახლებიათ და პატიმრობიდან სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1955 წელს, გაუთავისუფლებიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ლ. არველაძის მემუარებიცა და მახლობელი ადამიანებისთვის უცხოეთიდან გამოგზავნილი წერილებიც მაგდანას გარდაცვალებიდან საკმაოდ დიდ ხნის შემდეგაა დაწერილი, საყვარელი დის ტრაგიკულად დაღუპვით განპირობებული ტკივილი დრომ ვერ გაანელა და ამ ტკივილს მწერალი ყოველთვის განსაკუთრებული ემოციით გამოხატავდა.

1941 წელს, გერმანიასთან ომის დაწყებისთანავე, მწერალი არმიაში გაუწვევიათ და საბრძოლველად სევასტოპოლში გაუგზავნიათ, სადაც 1942 წლის 6 ივლისს მომხდარი ერთ-ერთი საბრძოლო შეტაკების დროს გერმანელთა ალყაში მოქცეულა და ტყვედ ჩაბარებია გერმანელებს. ამ ნაბიჯის გადადგმით მწერალმა, მართალია, სიცოცხლე კი შეინარჩუნა, მაგრამ სამშობლო დაკარგა. ტყვეობის დროს ლ. არველაძეს ჯერ უკრაინის, პოლონეთისა და გერმანიის ტყვეთა ბანაკებში მოუხდა ყოფნა, შემდეგ კი, ომის დროსაც და მისი დამთავრების მერეც, ორწელიწადნახევრის განმავლობაში, იტალიაში იმყოფებოდა. ომთან და ტყვეობასთან დაკავშირებით მწერალი მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის მახლობელი ადამიანებისათვის გამოგზავნილ პირად წერილებში.

იტალიაში ცხოვრების პერიოდში ლადო არველაძე იქაურ მანდილო-სანზე – იტალია ტროიანზე დაქორწინებულა. მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ იგი მის მეუღლესთან დაკავშირებული ამბების მოთხრობის დროს ხაზგასმით აღნიშნავს იმ დიდ სიყვარულსა და მზრუნველობას, რომელსაც ეს ქალბატონი იჩენდა ქართველების მიმართ.

ლადო არველაძე 1951 წელს საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი ქალაქ ნიუ-იორკში, გადავიდა და აქტიურად ჩაერთო იქაური ქართული სათვისტომოს საქმიანობაში.

როგორც ცნობილია, ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა 1952 წლის 5 ოქტომბერს ნიუ-იორკში დააარსეს უპარტიო ნებაყოფლობითი ორგანიზაცია „ქართველთა დემოკრატიული კავშირი,“ რომელიც იმავე წლის 2 ნოემბერს „გადაუნათლავთ და მისთვის „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“ უწოდებიათ. სახელწოდების შეცვლაში გამგეობა ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ ქართულ პოლიტიკურ მუშაობაში საჭირო იყო ამერიკელთა ჩაბმაც. გარდა ამისა, ახალ სახელწოდებაში აშკარად არის ხაზგასმული „საქართველოს დამოუკიდებლობა,“ რაც ახალი ორგანიზაციის სულიერ დედააზრს წარმოადგენდა“ (შარაძე, 1992, გვ. 155).

როგორც ითქვა, დასახელებული ორგანიზაციის საქმიანობაში ლ. არველაძეც იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ნიუ-იორკში 1953-1954 წლებში გამოცემული საინფორმაციო ბიულეტენი „ცნობის ფურცელი.“ კერძოდ, „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ გამგეობას 1953 წლის 27 იანვარს გივი კობახიძის, გრიგოლ დიასამიძის, პავლე კვარაცხელიასა და ლადო არველაძის შემადგენლობით შეუქმნია სპეციალური სარედაქციო კოლეგია, რომლისათვისაც დაუვალებია ხსენებული ორგანიზაციის პერიოდული ორგანოების – ჟურნალ „ჩვენი გზისა“ და საინფორმაციო ბიულეტენ „ცნობის ფურცლის“ გამოცემა („ცნობის ფურცელი,“ 1953, №1: 7).

ლადო არველაძეს გარკვეული დამსახურება მიუძღვის ნიუ-იორკში გივი კობახიძის რედაქტორობით გამომავალი გაზეთის – „ქართული აზრის“ გამოცემის საქმეშიც. ეს იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში სტამბურად დაბეჭდილი პირველი ქართული პერიოდული ორგანო, რომელიც 1955-დან 1974 წლამდე გამოდიოდა თვეში ერთხელ.

როგორც ლადო არველაძის პირადი წერილებიდან ირკვევა, ამერიკაში ის და მისი მეუღლე 1968 წლის ბოლომდე დარჩნენ, შემდეგ კი კვლავაც იტალიაში გადმოსახლდნენ. ამერიკიდან ევროპაში გადმოსახლების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ლ. არველაძე იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ იქიდან სამშობლოსთან უფრო ახლოს იქნებოდა. თავდაპირვე-

ლად მას პარიზში დასახლება ჰქონია გადაწყვეტილი, რადგანაც ამ ქალაქში ბევრი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობდა, მაგრამ იმის გამო, რომ იქ სასურველი ბინა ვერ მოუნახავს, რომში დამკვიდრებულა. მართალია, იტალიის დედაქალაქში დამკვიდრებული მწერალი საკმაოდ კარგად ცხოვრობდა, მაგრამ მახლობელი ადამიანებისათვის გამოგზავნილ წერილებში გამუდმებით გამოხატავდა გულისტკივილს იმის გამო, რომ ამ ქალაქში იმხანად არც ერთი ქართველი არ ცხოვრობდა, რაც კიდევ უფრო მეტად უმძაფრებდა სამშობლოსაგან მოწყვეტით განპირობებულ ნოსტალგიას.

მწერლის ამ დიდი სულიერი ტკივილის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს მახლობელი ადამიანებისთვის რომიდან გამოგზავნილი მისი წერილებიდან. 1969 წლის 3 თებერვალი: „ორი თვეა უკვე გასული, რაც ამერიკიდან გადმოვესახლეთ. ჯერ ჩავედით პარიზში. იქ მინდოდა დარჩენა, რადგან ბევრი ქართველი ცხოვრობს იქ. მაგრამ ბინა ვერ ვიშოვნე. ყიდვა მინდოდა, მაგრამ ძალიან ძვირია. საქირაოდ კი ვერ ვიშოვე ჩემი გემოს თავშესაფარი. გადავსახლდით იტალიაში, ქალქ რომში. იქ არც ერთი ქართველი არ არის. ვარ მართო ამ იტალიელებში.“

1970 წლის 15 მაისი: „ძალიან მოვიწყინე აქ. ამის მიზეზი ის არის, რომ მთელს იტალიაში არც ერთი ქართველი არ ცხოვრობს. თორემ ისე რა ჯობია იტალიას საცხოვრებლად. ეს მეორე საქართველოა. რვა თვეა, ქართული ლაპარაკი არ გამიგონია. დიდი შეცდომა ჩავიდინე, რომ საფრანგეთიდან აქეთ წამოვედი. საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში, მართალია, ძნელი საშოვნელია ბინა, მაგრამ ამდენ ხანში უკვე ნაშოვნი გვექნებოდა და ვიქნებოდით დაბინავებული. პარიზში ბევრია ქართველობა. ეკლესიაც აქვთ. ყოველ კვირაობით ხალხი თავს იყრის ეკლესიაში, ხვდებიან ერთმანეთს, მასლაათობენ და მართობას მით იქარვებენ. აქ არც ერთი ქართველი არ არის. სანამდის გავძლებ უქართველოდ, არ ვიცი. წელს არა, მაგრამ მომავალ წელში უსათუოდ გადავალ საფრანგეთში საცხოვრებლად. ძნელია შენი თვისტომის გარეშე ცხოვრება. დავეხეტები აგრე ამერიკიდან ევროპაში, ევროპაში კიდევ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში და იხარჯება უზომოდ ფული.“

1971 წლის 5 ივნისი: „მართალია, ძვირფას ქვეყანაში ვცხოვრობ, მაგრამ აქ რამ უნდა გამახაროს, იტალია ჩემი სამშობლო ხომ არ არის! ოცდაათი წელიწადი სრულდება მომავალ სექტემბერში, რაც გამოვეთხოვე ჩემს სამშობლოს. მას შემდეგ მისი ჰაერი არ შემისუნთქავს, მისი წყალი არ დამილევია, სამშობლოს მიწაზე აღმოცენებული საჭმელი არ მიჭამია! მიკვირს, რაფერ ვუძლებ სამშობლოს უნახველობას. გულის ტკივილი კი არა, ტვინი რომ მაქვს თავის ადგილზე, ისიც საკვირველია.“

ტყვედ ჩავარდნის შემდგომ პერიოდში სამშობლოსთან ფიზიკურად განწყვეტილი კავშირ-ურთიერთობის აღდგენის რეალური შესაძლებლობა ლადო არველაძეს 1958 წლიდან მიეცა, როცა საქართველოში მცხოვრებ მახლობელ ადამიანებთან წერილობითი კომუნიკაციის დამყარების უფლება დართეს. ამ დროიდან მოყოლებული, მას სისტემატური მიმონწერა ჰქონდა გამართული საქართველოში მცხოვრებ მახლობელ ადამიანებთან.

მწერალს ამ ფორმით რეალური შესაძლებლობა მიეცა იმისა, წერილობითი ფორმით აღედგინა სამშობლოსთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში განწყვეტილი ყოველგვარი კავშირ-ურთიერთობა. ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი იმ დროს ხდებოდა, როცა საბჭოთა კავშირი და ე. წ. კაპიტალისტური სამყარო რკინის კედლით იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი ყოფილი თანამემამულეები აქ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდნენ.

აქედან გამომდინარე, ადვილი გასააზრებელი იქნება, საქართველოში მცხოვრებ მახლობელ ადამიანებთან წერილობითი კომუნიკაციის დამყარება რაოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენაც იქნებოდა მწერლისათვის. ერთ-ერთი მთავარი სათხოვარი, რომელსაც ლ. არველაძე საქართველოში გამოგზავნილი ამ წერილებით მისიანებს ხშირად მიმართავდა ხოლმე, მისთვის ქართველ მწერალთა წიგნების გაგზავნა იყო. მშობლიურ ფესვებს იძულებით მოწყვეტილი მწერალი ამ გზითაც აქტიურად ცდილობდა ეროვნულ წიაღთან სულიერი კავშირ-ურთიერთობის შენარჩუნებას.

როგორც უკვე ითქვა, ლადო არველაძის მიერ მისი მახლობელი ადამიანებისათვის საქართველოში გაგზავნილი წერილები მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტურ იმ მასალას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც მათი ავტორი არა მარტო თავისი პატრიოტული გრძნობებისა და ნოსტალგიური ემოციების თანამოაზრედ გვხდის, არამედ საბჭოთა კავშირში არსებულ ყოფით რეალობასთან და მის ალტერნატივად ქცეული კაპიტალისტური ქვეყნების მკვიდრთა ცხოვრებასთან დაკავშირებითაც გვანვდის კონკრეტულ ცნობებს ერთმანეთთან შეპირისპირებული სახით.

ყოველივე ზემოთქმულზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ხსენებული ბარათებიდან:

1964 წელი: „მე, ჩემო საყვარელო დედა, გული ჩემი სამოთხის დაგვარმა ხელისუფლებამ დამისნეულა ჯერ კიდევ საქართველოში, მოღალატედ რომ გამომაცხადა 1937 წელს და შემდეგ, გასაჭირი რომ დაადგა სამოთხისდაგვარ ხელისუფლებას, რომ გამომაგდეს ბრძოლის წინა ხაზზე. სხვა ქვეყანასთან არაფერი მაქვს სასაყვედურო. პირიქით, ყველამ შემინახა, ყველამ შემიფარა, მაჭამა, მასვა, ჩამაცვა და დამახურა, მაგრამ ე. წ. ჩემმა მთავრობამ დამასნეულა სამუდამოდ. ყოველ შემთხვევაში ახლა ცოტათი

ჯობია მაქაური ცხოვრება წინანდელს. სტალინი რომ ჩაძაღლდა, ცოტათი მოეშვა მაქაურ ხალხს. აქ, დედილო, არავინ აწუხებს ადამიანს. თავისუფლად სუნთქავს ადამიანი. რომ გამოხვიდე და დილიდან სალამომდე აგინო ეს მთავრობა, კაცი არ გაგცემს ხმას. აი, რას ნიშნავს თავისუფლება.“

1969 წელი: „ჩვენ სამუდამოდ გადმოვსახლდით აქ (რომში – ა. ნ.), დავტოვეთ ჩვენი შემფარებელი ქვეყანა ამერიკა. თქვენ რაც გინდათ, ის თქვით ამერიკაზე, მაგრამ მე და ჩემისთანა ასი ათასებს, სასაყვედურო არაფერი გვაქვს ამერიკაზე. მე – უსამშობლო, ლტოლვილი, იმან შემიფარა, ბინა მომცა, სამუშაო მომცა, ჩამაცვა და დამახურა. მუდამ მშიერი გამაძლო. დაილოცოს მისი მაღალი სულოვანობა. თვრამეტი წელიწადი ვიცხოვრე ამერიკაში. ერთხელ არ დაუკაკუნებია ჩემს კარებზე პოლიციელს. არავის შეუმონმებია ჩემი პოლიტიკური კეთილსაიმედოობა... ჩემი დედა და ნამდვილი მამა უცხოეთია.“

იქიდან გამომდინარე, რომ ტყვედ ნამყოფ და სამშობლოს მოღალატედ შერაცხულ მწერალს საქართველოში სტუმრად ჩამოსვლის უფლებას საბჭოთა ხელისუფლება არ მისცემდა, ლ. არველაძემ დისშვილისა და მისი მეუღლის მასთან მიპატიჟება სცადა და ამ საქმის მოსაგვარებლად რამდენჯერმე გამოუგზავნა ვიზა, მაგრამ ამ ადამიანთა მრავალწლიან მცდელობას, როგორმე მიეღოთ საამისო უფლება, შედეგი არ მოჰყოლია. მახლობელი ადამიანების მასთან სტუმრობას მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას, პირველ ყოვლისა, იმიტომაც სძენდა, რომ ამ ფაქტს იგი სამშობლოსთან ფიზიკურად განწყვეტილი კავშირ-ურთიერთობის აღდგენის გზაზე რეალურად გადადგმულ პირველ ნაბიჯად მიიჩნევდა.

რადგანაც მწერლის დისშვილის მრავალწლიან მცდელობას, სტუმრად წვეოდა უცხოეთში მცხოვრებ ბიძას, შედეგი არ მოჰყვა, მაშინ თავად ლადო შეეცადა, მოეპოვებინა სამშობლოში ხანმოკლე დროით სტუმრად ჩამოსვლისა და ნათესავების მონახულების უფლება. დიდი მცდელობის შემდეგ მას მართლაც დართეს საამისო ნება და იგი მეუღლესთან ერთად 1972 წლის ივლისში ეწვია თავის ქვეყანას.

აი, როგორ იხსენებს მწერლის დისშვილი ინება ცხვარაძე სამშობლოში ბიძისა და მისი მეუღლის ჩამოსვლისა და მათთან პირველად შეხვედრის ამბავს: „71-ში შევიტანეთ თხოვნის განაცხადი საქართველოში ბიძაჩვენის ჩამოსვლასთან დაკავშირებით და 72-ის 12 ივლისს ბიძაჩემი უკვე თავის სამშობლოში იყო. არ ვიცოდით, სად დაფრინდებოდა ბიძაჩემის თვითფრინავი. ჩემებს ეგონათ, რომ სოხუმში დაფრინდებოდა. სინამდვილეში კი თბილისში ჩამოფრენილა. თბილისიდან მოსკოვის მატარებლით წასულა სამტრედიაში.

მთელი სამტრედია ხვდებოდა სადგურზე. ჩემს მამიდაშვილს უეცრად მატარებლიდან ჩამოსული ვილაც კაცი დაუნახავს და უთქვამს, ეს კაცი, აგერ

რომ მოდის ჩემოდნებით, როგორ ჰგავს საზღვარგარეთიდან ჩამოსულსო. – რას მემამინეები, ეს თბილისიდან ჩამოვიდა და ლადო ბიძია მოსკოვიდან უნდა ჩამოვიდესო, – უპასუხია ჩემს დას. იმ კაცს მათი საუბარი გაუგონია და აღელვებულს უთქვამს: – კი, შვილო, კი, ლადო ვარ, ლადოო!

ძალიან დაღლილი ჩამოვიდა, მოსკოვში გამანამესო, ცხრაჯერ ამომაღაგებინეს ჩემოდნებით. ერთთვიანი ვიზა ჰქონდა. სამი თვე დატოვა შევარდნაძემ, ჩემს დასთან ცხოვრობდა სამტრედიაში.“

სამტრედიაში მყოფი მწერალი მშობლიურ სოფელ ჭაგანსაც ეწვია. აი, როგორ იგონებს ამ ამბავს მისი დისშვილი მაგული ცხვარაძე: „საოცრად ღელავდა, როცა ჭაგანში მივდიოდით. სოფელმა ხალიჩა დაუფინა, მას კი ფეხშიშველა გავლა ენატრებოდა. თქვა კიდევაც, გადანყვებილი მქონდა, შიშველი ფეხებით მომეველო მთელი სოფელიო. გაპარტახებული კარ-მიდამოს დანახვაზე გული საშინლად ეტკინა. მის სანახავად მთელი სოფელი შეიკრიბა. უზარმაზარი სუფრა გაიშალა. მივხვდი, რომ ძალიან ღელავდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ გული ვერ გაუძლებდა ბავშვობასთან შეხვედრას. თვენახევარი საავადმყოფოში გაატარა“ („გზა“, 2005, გვ. 36).

სოფლიდან გამგზავრების წინ მამამისის საფლავიდან აღებული მიწა სათუთად შეუხვევია, გულის ჯიბეში შეუნახავს და აცრელმებულს დაუტოვებია იქაურობა.

საბჭოთა კავშირის შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ვიზის შესაბამისად, მწერალსა და მის მეუღლეს სამშობლოში ერთი თვით დარჩენის უფლება ჰქონდა მიცემული; თუმცა იმის გამო, რომ ლადო ავად გახდა და სამტრედიისა და თბილისის საავადმყოფოებში რამდენიმე კვირის განმავლობაში მოუხდა მკურნალობა, მას და მის მეუღლეს აქ ყოფნის დრო საკმაოდ გაუხანგრძლივდათ.

ინება ცხვარაძის გადმოცემით, სამშობლოში სტუმრად მყოფ მწერალს ხელისუფლების მაღალჩინოსნებისაგან, მათ შორის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის – ედუარდ შევარდნაძისგანაც, ყურადღება არ მოკლებია. კერძოდ, აქ ყოფნის განმავლობაში მის მიმართ სათანადო მზრუნველობას (და შესაბამისად მეთვალყურეობასაც) იჩენდნენ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარე ოთარ გიგინეიშვილი და ამ კომიტეტის სხვა თანამშრომლები.

სამშობლოში ყოფნისა და მახლობელ ადამიანებთან შეხვედრების დროს მწერალს აქაურობის სიყვარული იმდენად გაუმძაფრდა, რომ მტკიცედ გადაწყვიტა, ყველაფერი ელონა ხელისუფლებისგან საქართველოში გადმოსახლების უფლების მისაღებად. თუმცა სურვილი ერთი იყო და რეალობა მეორე – ლ. არველაძის ამ სურვილს წინ ორი გადაულახავი ბარიერი

ელობებოდა: პირველი, როგორც ტყვედნამყოფი საბჭოთა მოქალაქე, ოფიციალურად სამშობლოს მოღალატედ რომ იყო მიჩნეული, და მეორე, აქ გადმოსახლების შემთხვევაში რა სახსრით უნდა ეცხოვრა? როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პენსიას, რომელსაც ორივე ცოლ-ქმარს ამერიკული მხარე უხდიდა, აქ ისინი ვერ მიიღებდნენ; მისი აქაური ნათესავები კი თავადაც იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, რომ თავიანთი მწირი შემოსავლებით ისინი მძიმედ ავადმყოფი ცოლ-ქმრის შენახვას ვერ შეძლებდნენ.

ხსენებულ სირთულეთა მიუხედავად, მაინც აქტიურად დაიწყო მზადება მუდმივ საცხოვრებლად აქ გადმოსვლისთვის. მაგალითად, აი, რას წერდა იგი მის დისშვილს ამასთან დაკავშირებით 1974 წელს რომიდან გამოგზავნილ წერილში: „27 მაისს ჩავაბარე ყოველგვარი საბუთები საბჭოთა საკონსულოს. ისინი გადმოგზავნიან საქართველოს უზენაესი საბჭოს სახელზე. ვნახოთ, რა პასუხს მოგვცემენ და რით დასრულდება ეს ჩვენი დაწყებულიება. ბიცოლა იტალიამ თავისით გამოთქვა სურვილი სამუდამოდ მაქ ჩამოსვლის, როცა დამინახა, თუ რა დღეში ვიყავი მისი მძიმე ავადმყოფობის გამო. ცხადია, მას ძლიერ გაუჭირდება მაქ ენის უცოდინარობის გამო და არა სხვა მიზეზით, მაგრამ ყველაფერს აკეთებს ჩემთვის... თუ ჩამოვედი, ხომ კარგი, თუ არა და თქვენ შეინახეთ თქვენი ბიძის სამახსოვროდ.“

სამშობლოში გადმოსახლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მწერალს საამისოდ აუცილებელი პრაქტიკული სამზადისიც დაუწყია აქტიურად და ამ მიზნით 1975 წელს საბჭოთა მთავრობისთვის მიუმართავს, მაგრამ ოცნების ახდენა აღარ დასცალდა – 1975 წლის 17 ოქტომბერს უეცრად გარდაიცვალა გულის შეტევით. დაკრძალულია რომში კამბო ვერანოზეს სასაფლაოზე.

მწერლის გარდაცვალებიდან ცხრა წლის შემდეგ მისი მეუღლეც აღესრულა. იმის გამო, რომ შვილები არ დარჩათ, ლადოს ცოლმა მთელი მათი ქონება ქმრის დისშვილებს უანდერძა, თუმცა მაშინდელმა აქაურმა ხელისუფლებამ მათ ნაანდერძევი ქონებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი უწილადა, დანარჩენი კი სახელმწიფოს გადაეცა.

საბოლოოდ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ლადო არველადის ახლად მიკვლეული პირადი წერილების თემატიკა მხოლოდ აქ განხილული საკითხებით არ შემოიფარგლება და ავტორისეული განსჯის საგნად არა მარტო მწერლის ცხოვრებისეული ხვედრის წარმომჩენი არაერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია ქცეული, არამედ იმდროინდელი ეპოქალური მოვლენებიც.

ლიტერატურა:

- „არ გავცვლი.“ 1972: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა...“, ინტერვიუ ლადო არველაძესთან. ესაუბრა ვაჟა ნიკოლეიშვილი, გაზ. „სამშობლო“, 1972 წ. 27 დეკემბერი.
- დაუშვილი 2007: დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბილისი, 2007.
- ნიკოლეიშვილი 2015: ნიკოლეიშვილი ა., ქართველოლოგიური ეტიუდები, ტომი მეორე, ქუთაისი, 2015.
- შარაძე 1992: შარაძე გ., ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით, თბილისი, 1992.
- „ცნობის ფურცელი“ 1953-1954: „ცნობის ფურცელი“, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს საინფორმაციო ბიულეტენი, ნიუ-იორკი, 1953-1954 წწ., №1.

Avtandil Nikoleishvili

Kutaisi Akaki Tsereteli State University

Lado Arveladze – Writer Working in Emigration (New Materials)

Key words: Lado Arveladze, New York, Rome, Tbilisi, Georgian emigration

Lado Arveladze was a Georgian writer working in Europe and the United States in the twentieth century. His literary legacy has not been published in Georgia yet. Guram Sharadze, a prominent researcher on the history of Georgian emigration, brought a significant part of his artistic-publicist texts to Georgia. In order to analyze L. Arveladze's creative work, I actively tried to thoroughly discuss and properly assess the importance of Lado Arveladze's literary heritage in the history of Georgian emigrant literature in the context of relevant events through my extensive essay published in 2015 (A. Nikoleishvili, "Kartvelological Etudes", Volume II, Kutaisi, 2005, pp. 325-372p.). Several of my papers presented at scientific conferences at various times as well as their printed versions were dedicated to L. Arveladze's creative work.

My interest in L. Arveladze's work did not end there, and I have been trying to find new materials ever since. I traced the personal letters sent by the writer to people close to him from New York and Rome that are very interesting material in this regard. They enrich Lado Arveladze's biography with new information. The

originals of these letters are preserved in the family of Ineza Chachua-Tskhvaradze _ one of his addressees and the niece of the writer who is currently living in Tbilisi.

In his personal letters sent to closest people L. Arveladze not only provides a lot of important information about his biography being unknown until now, but also expresses very significant opinions about the epochal events of his time. Therefore, his epistolary legacy should also be considered as interesting documentary materials to conceptualize the writer's personal attitude towards the realities of the Soviet Union and the Western world.

Lado Arveladze emigrated during the Second World War. In particular, he was called up to join the army in 1941, shortly after the start of the war with Germany, and sent to fight in Sevastopol where he surrendered as a prisoner in July 1942. During his captivity he had to stay in prisoner-of-war camps in Ukraine, Poland and Germany, and after the end of the war he stayed in Italy. While living in Italy, Lado Arveladze married a local woman. In 1951 he moved to the United States, in particular to New York City, and became actively involved in the activities of the Georgian community there.

L. Arveladze remained in America until 1968, after which he relocated to Italy and settled in Rome. Since 1958, the writer had the opportunity to establish written communication with people close to him who lived in his homeland. All this was happening at the time when the Soviet Union and the so-called capitalist world were separated by the iron wall. Therefore, establishing written communication with close people living in Georgia was a difficult task at that time. Letters sent by Lado Arveladze to his closest people in Georgia are very interesting material, through which their author not only makes us sympathetic to his patriotic feelings and nostalgic emotions, but also informs us about the reality of the Soviet Union and the life of the inhabitants of capitalist countries by contrasting them.

As a result of a long effort, Lado Arveladze managed to visit his homeland for a short time in 1972. During his stay in Georgia and meetings with people close to him, the writer's love for the place intensified so much that he decided to do everything in his power to get the right from the government to move to Georgia. But due to the reality of that time, he could not fulfill his deepest wish _ on October 17, 1975 he died suddenly of a heart attack. He is buried in the Cemetery of Campo Verano in Rome.

Finally, I would like to emphasize once again the fact that the subject matter of Lado Arveladze's personal letters is not limited to the issues discussed here. Many important episodes representing the writer's life as well as the epoch-making events of that time have become the subject of discussion.

რუსუდან ნიშნიანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურული კონტრასტები სამანს აქეთ და სამანს იქით

საკვანძო სიტყვები: ისტორიული ემიგრაცია, გვიგოდ ხობაქიძე, ინდო ინასახი, ფიქონ ნახოშვიდი, კონსტანტინე დოხოთიფანიძე, დიგეხაგუხუდი კონცხასტები

ერთ დღეს მიხეილ ჯავახიშვილი თავის უბის წიგნაკში ჩანერს: „ქახ-თუდი კადამი ძადიან ჰგავს გოდგოთუხ ჯვახს, ხომელსაც ხედით ვატახებნ (ჯავახიშვილი, 2000, გვ. 27). რეალობა იცის ყველამ, სამანს აქეთ და სამანს იქითაც; და რამდენად რთულია „გოლოგოთის ჯვრის ტარება“?! „ეპოქის მხატვრული დოკუმენტი“ – ამ ფრაზას სამუშაო ტერმინად იყენებენ. საინტერესოა, ერთსა და იმავე მოვლენაზე როგორ წერენ. ემიგრაციისათვის აქ ერთი შეღავათია – არ არსებობს იდეოლოგიური ცენზურა, მაგრამ რა ინერება „აქეთ“, ე.წ. „დაძალების“ მიღმა. რამდენიმე კონკრეტული ეპიზოდით შემოვიფარგლოთ და არა ტექსტების დეტალური გაანალიზებით.

გრიგოლ რობაქიძის რომანი „ჩაკლული სული“ გერმანიაში, კერძოდ, იენაში გამოიცა 1933 წელს, საქართველოში თარგმნა ალექსანდრე კარტოზიამ. რომანის სათაურთან დაკავშირებით გაჩნდება კითხვა: არის თუ არა ეს მხოლოდ მთავარ პერსონაჟზე „მორგებული“ დასათაურება. სხვათა შორის, ცნობილი მეცნიერი მიხეილ წერეთელი და კრიტიკოსი მიხეილ წულუკიძე რომანს ამგვარად მოიხსენიებენ: „მოკლული სული“. „ჩაკლული სული“ – ამგვარ დასათაურებას უფრო ვემხრობი, ძალადობრივი აქტი ასე უფრო მეტყველი მგონია (ალექსანდრე კარტოზიასეული თარგმანი). ვფიქრობ, მწერლის სათქმელი ბევრად მასშტაბურია – საბჭოთა სივრცეში სული „ჩაუკლეს“ ბევრს, რომანში – არაერთ ძირითად და ე.წ. მეორეხარისხოვან პერსონაჟსაც.

პროზაულ ტექსტში ეჭვმიტანილის (შემდგომში უკვე პატიმრის) დაკითხვა ისეთივეა, როგორც რეალობაში: ჯერ დაყვავებით, შინაურულად, სიგარეტის შეთავაზებით რომ იწყება, მაცდუნებელი დაპირებებით, რომ ყველაფერს გაუგებენ და მომხდარს გაუგებრობად ჩაუთვლიან. ცოტა ხნის შემდეგ, უკვე სხვა ტონი, ცრუ მოწმეები, შეთხზული ფაქტები და სავალდებულო – ყველა გამომძიებელს რომ „ელანდება“ – თანამოაზრეების დასახელება. ამის მერე დაიწყება წამება.

თამაზი დაპატიმრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაიყვანეს. მანამდე ელოდნენ მის ფსიქოლოგიურ გატეხვას. ასეც მოხდა. დაკავებიდან მეხუთე

დღეც რომ მიიწურა, „მოუსვენრობა შეეპაჩა თანდათან, ძიდი გაუტყდა, ღამ-ღამობით ხშირად იღვიძებდა. ეხთხედ საზაჩედი ხმა მოესმა მეზობელი საკნიდან. ქადის კვირი უნდა ყოფილიყო“ (რობაქიძე, 1994, გვ. 139). პირველმა „გასაუბრებამ“, ერთი შეხედვით, მშვიდად კი ჩაიარა, მაგრამ მისთვის „სიკვდილის სუნთქვა ღლითი ღლე სუდ უფხო საგხძობი ხდებოდა. ძიღში უცებ სუდი ეხუთებოდა, დაჭიდი მგელივით ხტებოდა ღოგინიდან, თითქოს ჰაეიი უნდა ჩაესუნთქა ღია ცის ქვეშ, მაგჰამ მისი ცა ხვა კუბუმეგხით იყო შემოფაჩგდული ამჟამად. ამგვაიი შეგვევები გაუხშიხდა“ (რობაქიძე, 1994, გვ.146). მწერალი მხატვრული ხერხების მოხმობით ცდილობს, კიდევ უფრო თვალმისაცემი გახადოს ეს შემზარავი (ციხის) გარემო. ვკითხულობთ: „ღლისით აქ სამა-ხისებუი სიმშვიდე სუფვედა, ღამით კი – ასე სამსა და ოთხ საათს შოხის – შიშისმომგვეხედი ხმები გაისმოდა: თითქოს ჩიგის გაღიაში შემძვხადი გვედი ხოხვით მოიკვევდა გზას, ენას ასისინებდა, ნედ-ნედა აქანებდა თავს. გუ-საღები დამუნჯებუდნი უგდებდნენ ყუხს ამ ჩქამს... ნაბიჯები დეხეფანში ყიუ შიკიკები იყვნენ სიკვდილის“ (რობაქიძე, 1994, გვ.147-148). აქვეა ნატურალისტური სცენებიც: „გუსაღები სუდგანაბუდნი აყუხაებდნენ: მუდახის ხმები შემოდიოდა, ხანდახან მოკვეთიდი გინება, ისგეიიუდი ყვიხიდი, მოგუდუდი სდუკუნი, ფეხების ბაკუნი. ხანდახან ხირობის ხმა“ (რობაქიძე, 1994, გვ.148).

თამაზიც ამ გარემოშია. მან „ოხჯეხ გამოცადა... ეს ცივი ოფდი. სიკვდილი სინჯავდა მას. გხძობდა, შინაგანად დამახინჯდა“ (რობაქიძე, 1994, გვ.148).

რას ნიშნავს ეს მინიშნება? ანკი რას მოიტანს შინაგანი „დამახინჯება?“ თამაზი ნახევარი სიმართლით ცხოვრობს: ის ან ბოლომდე არ ამბობს სათქმელს, ან იტყვის და შემდეგ ღელავს, რაიმე „ზედმეტი“ ხომ არ წამოსცდა. საბოლოოდ, ტყდება. ის ერთდროულად მსხვერპლიცაა და დამნაშავეც. როცა ერთ-ერთ დაკითხვაზე ბათუმში მის ნაცნობთან, პარიზიდან ჩამოსულ ქართველ ემიგრანტთან შეხვედრის თაობაზე ჰკითხეს, მან ფაქტი დაადასტურა, მეორე დღეს კი „ნება მოკვეთიდი იყო ძიღშივე – უბ-ხაღოდ და უგემუხად, თითქმის აპათიუხად დაასახედა დევანი“ (რობაქიძე, 1994, გვ. 176).

საკანში დაბრუნებული შემზარავ სიტყვას იტყვის: „მეც!“ იმან, რამაც პატარა ბიჭი უმძიმეს შეტევამდე მიიყვანა და თამაზს აზრი გააჩენია, „ვა-ითუ, ვინმე გასცა“, აზრი, რომელიც თვითონვე სასწრაფოდ უკუაგდო, ახლა გივისთვის უტყუარად ცხადი გახდა:

- შენც? – ჰკითხა ფეხწასუდმა ბიჭმა და გადაეხვია.

გამოიცნო, ხისი თქმა სუხდა თამაზს? ბიჭს უფხო გაჩვევით ახაფეიი წაჩმოუთქვამს, თამაზმა მაინც იგხძნო, ხომ ეს მოკლე სიტყვა „მეც“ დიდი შვება იყო მისთვის. ხად უხაჩია ადამიანს, ხოცა გაიგებს, ხომ მეოხემაც შესცოდა? გაიფიქრა მწაჩედ. სევდიანი ღიმიდით გადაუსვა ბიჭს ხედი გახუ-ხებუდ შუბღზე“ (რობაქიძე, 1994, გვ. 177).

ეს მხოლოდ ერთი საკნის ისტორია არ გახლავთ. ანკი „ღიმილი“, თუნდაც „სევდიანი“, როგორ უნდა გაჩნდეს. ეს ან მწარე სიცილია, ან ირონიული (ვერ ვიტყვი ორიგინალში როგორაა, ვსარგებლობ თარგმანით).

რად უხარია? – დასვამს შეკითხვას ემიგრაციაში ქართველი მწერალი. ეგებ, იმად, რომ გპუ-ს საკანში დაპატიმრებიდან მეორე დღეს თანასაკნელისაგან ჩუმად „ნალულუღებულები“ ლექსის სტრიქონები რომ გაიგონა, „თამაზმა საკუთაჲი დექსი იცნო“ (რობაქიძე, 1994, გვ.139). დატყვევებულია ყველა: პოეტიცა და მკითხველიც, და სულის „დამახინჯება?“. . . „სიცოცხდეს გემო დაეკაჩგა“.

XIII თავი „სიკვდილის ხახა“ მთავრდება სიტყვებით: „აჲა, ადამიანის შექმნილი აჲ უნდა ყოფიდიყო გპუ, – ფიქობდა თამაზი“ (რობაქიძე, 1994, გვ. 149).

რომანში სიუჟეტი კი ამგვარად განვითარდება. ერთ შუალამეს ხმაური გაისმა. დაკავებული ყვირილით უძალიანდებოდა. აშკარა იყო, ძალით მიჰყავდათ. „ღევანის ხმა იყო?“ თამაზმა რამდენადაც შეეძლო, ჩარევა გადაწყვიტა, მაგრამ „კონდახის დახტყმამ მოცედა“. ისევ გვიმ მოუარა. თამაზი კი „საკუთაჲ სიცოცხდეს, საეხოთოდ სიცოცხდეს წყევდიდა“ (რობაქიძე, 1994, გვ. 178).

ნაწარმოების ეს თავი მთავრდება სიტყვებით:

„ჩამდენიმე დღის შემდეგ თამაზი და გივი გაათავისუფდეს“ (რობაქიძე გრ., 1994, გვ.178).

თუმცა რომანში ასეთი ფრაზაცაა: „ჩამწაჲდა თავისუფდება“ (180). ლევანი დახვრიტეს. საბაბი ნატამაც იცოდა: „ამბობენ, ევხოპიდან წაჲმოგზავნიდთან ჰქონდა კავშირიო“ (რობაქიძე, 1994, 179). თამაზმა მეზობლებთან ისიც გაარკვია, როდიდან აღარ იღებდნენ ციხეში დაპატიმრებულისთვის საჭმელს. დროც ზუსტად დაემთხვა. მარტივად და ზუსტად დაასკვნა: „მისმა გამონათქვამმა გადაწყვიტა ღევანის ბედი“ (რობაქიძე, 1994, 180). თამაზის თავისუფლებისთვის ლევანის სიკვდილი გახდა საჭირო. ყველაზე მძიმე სიტყვა ამოუტივტივდა გონებაში და თავიც დაიწყევლა: „მოღალატევ!“ ამიტომაც „ჩამწარდა“.

ვინ არის ლევანი? რატომ უნდა ასე მიზანმიმართულად არსებულ ხელისუფლებას მისი დასჯა? რომანის მთელი ფაბულის განმავლობაში ის ფრაგმენტულად ჩნდება, მაგრამ ყოველთვის საკვანძო, მნიშვნელოვან ეპიზოდებში. ლევანი ლალია, თამამი, საუბრობს იგავური ენის გარეშე. პირველად კოჭორში, თბილისთან ახლოს მონადიმეთა შორისაა. სუფრას უსხედან და იღებენ. შემოსწრებულ სტუმრებსაც მიიღებენ: პარტიულ ნიკო ბრეგაძეს და მის თანმხლებს – ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის

განყოფილების გამგეს, წარმოშობით ლატვიელს, „რუსულად მოლაპარაკეს“, სუფრასთან მინვეული გაკვირვებით რომ გაუსვამს ხაზს აქაურ მიწაზე რევოლუციის შეხება რომ ვერ იგრძნო.

„ეს მიწა, რომელზეც ახლა ვქეიფობთ, სამი საუკუნის წინ ცეცხლოვანი ხაშებით გადათქეხა ქახთვედმა სახდადმა გიოხგი სააკაძემ. მის ნაკვადევზე ფესვს ვეი გაიდგამს ჰევილეცია“ (რობაქიძე, 1994, გვ. 47).

ამ დაურიდებელ პასუხს ოცდახუთი წლის ლევანი გასცემს, რომლის მკითხველისათვის გასაცნობად ავტორი იტყვის: *„ქახთუდ ხასას მასში ნამდვირი ვაჟკაცის სახე გამოეკვეთა“*. (რობაქიძე, 1994, გვ. 47). პროფესია არ აქვს, არც ლექსებს წერს და არც მეცნიერების რომელიმე დარგით ინტერესდება განსაკუთრებით. *„ის ადამიანთა ნახივეი იყო, დამაზი და ჯიშინი. ათასწდეულებს ემუშავათ მისი შექმნისათვის“*. ამ გარეგნული მონაცემების გამო ხანდახან ფილმებში იწვევდნენ, სადაც ქართული არისტოკრატიის პერსონაჟებს წარმოადგენდა. გრიგოლ რობაქიძე დამატებით, კიდევ რამდენიმე შტრიხს შეიტანს მისი დახასიათებისას: *„სიცოცხლის სიხაჟი გადლასავით მოაქვს მზის სხივს. დევანი თვითონ იყო ცოცხალი გაღლა. ხა საჭიხოა მზის ხოგბა, თუკი მზის გუდში ცხოვრობ?“* (რობაქიძე, 1994, გვ. 47). ლევანს მეტსახელად „უშიშარს“ ეძახდნენ. ამ სახელით „მიაგნეს“. გპუ-ს დესპანის განზრახვა და ჩამოსვლის მიზანი აინტერესებდა. აქ უნდა შეკრულიყო მთავარი კვანძი. იმედოვნებდა, მისი მეშვეობით გაიგებდა შეხვედრის ჩანაფიქრს. ლევანს თამაზისთვისაც არ გაუმხელია საიდუმლო; არა იმიტომ, რომ არ ენდობოდა, მარტივად, გაუფრთხილდა. თავად იმედოვნებდა, რომ ვერავინ ვერაფერს დააცდენინებდა, ამდენად, გპუ ვერაფერს შეიტყობდა. *„ვეხავინ აიძუდა, საიდუმლო გაეცა. განდობიდი საიდუმლოს შენახვა უწმინდესი ვადი იყო მისთვის“*; – განმარტავს ავტორი (რობაქიძე, 1994, გვ. 164). ვერც გატეხეს! ამას შეეწირა კიდევ. როგორც ამბობენ, თავისუფლებას რომელიმე ინსტიტუცია არ იძლევა, უბრალოდ, იბადები ასეთი. გრიგოლ რობაქიძე კიდევ ერთხელ იტყვის: *„ის იყო ნაშიეხი ხაინდური საქახთვედოსი. საქახთვედოსი დამონებისა და დაცემის დიხოსაც კი უცვდელი დახრა ეს ზნე. ეს სიცოცხლის დხენაა თვითონ. სადაც ის გამორჩდება, იქ მზე გამოაბიწყინებს. ვისაც იგი შეხვდება, მას სიცოცხლე გაუადვილებდა. მას უშუადო ხიბი აქვს: ვეხც კი აცყო, რომ გხიბდავს. ის მუდამ ხაიხობს და მის გახეშე ახ ახის სიხაჟი – მიგომ ახც მწუხახება“* (რობაქიძე, 1994, გვ.164). ლევანი ერთადერთი პერსონაჟია მთელ რომანში (რეალურსა და გამოგონილ მოქმედ პირებს შორის), რომელსაც სული ვერ ჩაუკლეს. ზნეობრივად და გამორჩეული, დაუმორჩილებელი და ამიტომაც, უკვდავი.

მეორე ნაწარმოები. ხელისუფლება იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის – ეს ლოზუნგია, გავრცელებული ლოზუნგი; რეალურად – „კეთილ-

დღეობა“ ხშირად „ხალხის“ გარეშე. როგორ ეპყრობა სახელმწიფო თავის მოქალაქეებს. არ მახსოვს ვინ და ემიგრაციაში ვიღაც ამ რომანზე წერდა: „მეორე ჩაკლული სული“. ალბათ, საბჭოთა სინამდვილის აღწერის მცდელობას გულისხმობდა. ინდო ინასარიის (ნიკოლოზ ინასარიძის) რომანი „ჩრდილი ერთი სინამდვილის“ დაიბეჭდა პარიზში 1936 წელს. ნაწარმოებს წინ უძღვის ავტორის წინასიტყვაობა, რომელიც გაცილებით ადრე, 1934 წლის მაისში დაიწერა. ესაა გაცნობა მკითხველთან და ვფიქრობ, არა მხოლოდ ქართველთან.

„ჩემი სამშობლო – საქართველოც 1921 წლიდან... კომუნისტების საცდელ ნიადაგად გადაიქცა“ (ინასარი, 1936, გვ. 6) და თუკი უცხოელ მკითხველს კითხვა გაუჩნდებოდა: როგორ? იქვე დახვდებოდა პასუხი: „*ხოგოც საბჭოთა ხუსეთის მიეჩ დაპყრობილი ქვეყანა*“.

ერთი ფრაგმენტი. იგივე „ჩაკეტილი“ სივრცე:

„ხედ-გაკოჭილი ოტახიდი (მთავახი გმიხი) ხედის კვიით შეაგვეს ჩეკის ბნედ სახდაფში... წაბოხდიკებუდმა წონასწორობა დაჰკახგა, დაეცა, გაიგება ცხვიხ-პიხი და თვადტ-დაბნელებუდი სისხლში ითხვიებოდა“ (ინასარი, 1936, გვ.93).

ზემოთ დაკითხვის გავრცელებული სტანდარტი ვახსენეთ, ყველასათვის ცნობილი. ამ რომანშიც სიზუსტე დაცულია, აქაც იგივე სქემა განვითარდება.

წინა ტექსტისაგან განსხვავებით, ოტარიდი ვერ გამოტეხეს, ამიტომ ჩეკისტები წამებაზე გადავიდნენ. „*დაზგის წინ ჯეხ თვითონ დაამაგხეს, მეხე ხედები საგანგებო ჰკინის მუხუჭებს დააჭეხინეს და დაუწყეს ფიჩხილების ნუნებში ნემსების გაყხა*“. შემდეგ „*ჩაჭედეს მანქანაში და თავის ქადაზე ჰკინის მუხუჭები მოუჭიხეს. თავის ქადის დაწა-ღუჭი უმწვავეს გკვირებს იწვევს*“... (ინასარი, 1936, გვ.103). სასურველ აღიარებას მაინც რომ ვერ მიაღწიეს: „*ამიგომ ჯუხლმუდის შუაზე ახადი წამების მანქანა გამოაგოხეს, ხომლის ახსებობა ჩეკის სახდაფების მეტმა ახვინ ახ იცის... გახეგანუდად ტანკსა ჰგავს.. ადამიანის სიმავხის დასანგხევად მხავადი მანქანა ეხთად მოქმედობს და შეხვედხითი გკვირებს იწვევს, ყვედაზე უმწვავეს, ხაც კი შესაძლებელია იყოს... აქნობამდის თუ ძახლვებს თავის ქადიდან იწვევენ, ახდა იგივე ძახლვები უნდა გაეწიათ ყოვედ მხიდან, ყვედა ადგირიდან ადამიანის სხეუდის*“... (ინასარი, 1936, გვ.105)

ნიკოლოზ ინასარიძემ გადანყვიტა, მთელი საშინელებები აღწერა; საბჭოთა სივრცეში ვერავინ დახატავდა ჩეკას ჯურღმულებს. ეს სრულიად გასაგებია, რომ დაწერილიყო, არ დაიბეჭდებოდა, ავტორსაც არაერთი უსიამოვნება შეხვდებოდა. ამდენად, მცდელობა, ეს სივრცე დაუხატო მკითხველს, თავისთავად უკვე კარგია. საზოგადოებას გააგებინო, რა ფასად უჭედებოდათ ადამიანებს ოდნავი წინააღმდეგობის განწევაც კი, მაგრამ არის

ერთი „მაგრამ“. როცა პერსონაჟს არ სტკივა, ამ ყველაფერს ისე უძლებს, რომ ამგვარი წამებისას ფიქრის უნარი შერჩენია, შემდეგ კი ფილოსოფიური საუბრების გაბმის ძალაც აქვს, ვფიქრობ, ეს ტექსტს „აფუჭებს“ და პერსონაჟსაც არაბუნებრივ ადამიანად წარმოაჩენს. იდეალური მამულიშვილის დახატვის სურვილმა ოდნავ ხელოვნურობის იერი დაიკრა.

უჩვეულო რამ მოხდა – ნიკოლოზ ინასარიძემ საკუთარი, პირადი გადასატანი აღწერა. და თუკი ვინმე შეეჭვდებოდა: ასეთი სისასტიკე მართალია თუ ზედმეტად გაზვიადებული, სიცოცხლით დაუმტკიცა – მართალია!

ემიგრაციიდან საბჭოთა საქართველოში დაბრუნდა, გადაასახლეს. მერე იქიდან დასაკითხად ჩამოიყვანეს, მარტო. მოგვიანებით, ასევე გადასახლებაში მყოფ ოჯახს მისი გარდაცვალების შესახებ აცნობეს. სიკვდილის თაობაზე ორი ვერსია არსებობს: ერთი – ნიკოლოზ ინასარიძემ თავი მოიკლა (*ეს ოფიციალური ვერსიაა*) და მეორე – ის ჩეკისტებს წამების დროს შემოაკვდათ.

დასახელებული პირველი რომანი გერმანიაში გამოიცა, მეორე – საფრანგეთში. როგორც ვთქვი, საქართველოში ასე ღიად რომ ვერ დაიწერებოდა და მით უფრო გამორიცხული იყო დაბეჭდვა, ცხადია. როცა ეპოქაზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია კონტექსტი. აქ ის კონტრასტული ტექსტები გავიხსენოთ, რომლებიც იმხანად საქართველოში იბეჭდებოდა. ბევრი ქვეყნდებოდა, რომელსაც ლექსს ან მოთხრობას ძნელად დაარქმევდა მკითხველი, მაგრამ ქვეყნდებოდა. კონტრასტის ნათელსაყოფად იმ მაგალითებს მოვიტან, რომლებიც ამ ფაქტებთან აზრობრივ ან მხატვრულ კავშირშია.

1931 წელს ტფილისში 3.000 ტირაჟით გამომცემლობა „ახალგაზრდა კომუნისტი“ გამოსცემს ფრიდონ ნაროუშვილის ე.წ. „პოეტურ კრებულს“ „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია“. სხვადასხვა ტექსტს შორის მთავარი მაინც ისაა, რომლის დასათაურება ყდაზე სათაურად გამოუტანია ავტორს. ეს ვრცელი ნაწარმოები ორი ქვეთავისაგან შედგება (შიდა ნუმერაციაც გააჩნია). განხილვას, რასაკვირველია, არ შევუდგები. წარმოვადგენ მხოლოდ ერთ ფრაგმენტს და მის პათოსს – პირველი ქვეთავიდან:

*„12. ხომ ხესპუბლიკა სოციალისტური
მძიმე ინდუსტრიით იყოს მოფენილი,
მისი ოხგუდი და მავნებელი
დიქტატორის ქუსლით იყოს გათედილი...
ვაშა – გ. პ. უ. – შენი განაჩენი
ბორშევიკუხად აჩის დაწეხილი!
ხოგოხც პოეტმა – პოლიტიკუხმა
უნდა შეასხულო შენი გაკვეთილი:*

სოციალიზმის ყველა მავნებელი
დიქტატორის ტყვეობით იყოს დახვეჭილი!
ვაშა, გ. პ. უ., შენი განაჩენი
ბოდშევიკუხად ახის დაწეხილი!“
(ნაროშვილი, 1931, გვ. 21)

„ვაშა“ – ხომ არ სცილდება კორექტულის საზღვარს?! გ.პ.უ -ს უმღერის. კიდევ რითი შეიძლება აღტაცდეს პროლეტმწერალი? ამ ავტორის მსოფლ-მხედველობა გასაგებია; სხვები? ამაზე ცოტა მოგვიანებით.

„ღმერთის ტკივილი“ – ასე ჰქვია გრიგოლ რობაქიძის რომანის ერთ-ერთ ბოლო (XVII) თავს. სატვირთო მანქანის ხმა გაისმა. ამ მანქანით გადაჰყავდათ დასახვრეტად განწირულები. ჩართული მოტორის გუგუნი ესმოდა ყველას. გივისათვის წინასწარ დახვრეტის სცენა გაითამაშეს, რადგანაც გადატანილი სიკვდილის შიშის და „გადარჩენის“ სიხარულის განცდის შემდეგ, მისი „დაკითხვა“ სრულიად გაიოლდებოდა. გპუ-ს ჩანაფიქრმა გაამართლა. ეს ეპიზოდი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად ბევრს ფიქრობს მწერალი თითოეული პერსონაჟის დახატვისას; ამჯერად, დამაჯერებლადაა გააზრებული ზუსტი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ბიჭის შემდგომ საქციელს „ახსნის“:

„გივის ისეთი გიძნობა ჰქონდა, თითქოს მეოხედ აჩუქეს სიცოცხლე. ის ახლა ხალაც სხვა იყო მისთვის, ავადმყოფუხად გვბიდი. სიკვდილამდე მიწაზე ხობვა ხომ ყოფილიყო მისი ხვედხი, მაშინაც კი სიცოცხლეზე იღოცებდა. სიცოცხლის ყოველ დანდს ეჭიდებოდა, ხოგოხც წყადწაღებული ხავსს“.

მორიგი დაკითხვიდან დაბრუნებული კი ადამიანს აღარ ჰგავდა. ცოცხალი იყო, მაგრამ უკვე ნატრობდა: „მიხრევნია, აღახც ვიყო ცოცხალი“. ექსპრესიულად აღწერს სურათს რობაქიძე:

გივი „უეცხად აკანკადა, გაფითხდა. სახე დაეღიხცა, დაკხუნჩხუდი ხედები ჰაეხს წაეცანენ, თითქოს ჩავდება უნდოდათ, ფეხები ეფშიკებოდა... ნიამო-ხის თვადები გაუფახთოვდა... ბიჭს ეპიდეფსიუხი შეეცევა ჰქონდა.“

როგორ უნდა მიიყვანოს ხელისუფლებამ თვრამეტიოდე წლის საკუთარი ქვეყნის მოქალაქე ამ მდგომარეობამდე, რათა თავად სასურველი ჩვენება მიიღოს?!

რომანში მანქანის „ხმა“ არაერთხელ გაისმის:

„გახეთ საბახო მანქანა ღმუოდა. ვიხთხები ცოცხდებოდნენ, თითქოს მოახდოებული დეშის სუნი წინასწახ იკეხსო“ (რობაქიძე, 1994, გვ. 148)

ან: „სად იყო ამ წუთს გივი? უეცხად სატვირთო მანქანა დაიძა ღმუი-დით: ნუთუ შიგ მოათავსეს?“ (რობაქიძე, 1994, გვ. 166).

ან კიდევ: „უეცხად გახეთ სატვირთო მანქანა ათუხთუხდა კვდავ. „კიდევ მიჰყავთ ვილაც“, გამოფხიზდა (დაპახაკია თამაზზე – ხ.ნ.) ეხთაშად“ (რობაქიძე, 1994, გვ. 174).

კონტრასტი. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მოგვიანებით არაერთი თავისი პოეტური თუ პროზაული ტექსტი მთლიანად („*ჩამდენიმე სიგყვა სეხგეი ესენინს და სხვებს*“), თუ გარკვეული მთავარი ეპიზოდებით („*კოდხეთის ცისკაჩი*“) ძირულად შეცვალა. ეს კარგია და მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც შემორჩა ლიტერატურის ისტორიის ფურცლებს ის, რასაც აქვეყნებდა, მაგალითად, ჯერ ჟურნალ „მნათობში“ (№5-6, მაისი-ივნისი, ტფილისი, „სახელგამი“) და იმავე, 1927 წელს შეიტანა თავის კრებულში – „პირველის შემდეგ, ლექსები“.

ახლა კ. ლორთქიფანიძის ერთი ლექსის თაობაზე: „საბარგო ავტომობილი“. სატვირთო მანქანა – სიკვდილის ნიშანი. იგივე კოდი იკითხება კონსტანტინე ლორთქიფანიძის ლექსში, ოღონდ სრულიად განსხვავებული ემოციით და ალტაცებითაც:

*„მახთღა გმიხი ხაჩ, გყვიით დატენიღს
აჩ შეგიცვდია ნაბიჯი გზიდან.
ხევოდუციის მოლადატენი
შენ დასახვხეგათ გადაგიზიდავს.“*
(ლორთქიფანიძე, 1927, გვ. 28)

ვის შეიძლება პოეტმა უწოდოს „გმირი“? არაერთი კატეგორიის ჩამოთვლაა შესაძლო, მაგრამ „ავტომობილი“, რომელსაც ავტორი მიმართავს, ელაპარაკება, საქციელს უწონებს და მისი „გმირობა“ მხოლოდ ისაა, რაკიდა საბარგოა, მოცულობით დიდი, მასში ადამიანების გაცილებით მრავალრიცხოვანი რაოდენობა ჩაეტევა და თანაც, ყველა („მოლაღატე“), იმავედროულად, ხომ სასიკვდილოდაა განწირული?! სადაც ამგვარი ტექსტები იბეჭდება (*ჟუხნადებში თუ წიგნებში*), მათ ქართველი მკითხველი კითხულობს. ეს მხოლოდ კულტურული კონტექსტი აღარ მგონია. ვფიქრობ, ეს ისტორიული კონტექსტია, სადაც მწერლები პოლიტიკურ „ამინდს“ ქმნიან.

ნიკოლო მიწიშვილის „ქართული ქრონიკების“ ერთ-ერთ კრებულს „ეპოპეია“ ჰქვია. ის 1929 წელს გამოიცა ტფილისში. დოკუმენტური პროზის ამ ნიმუშში ბევრი ეპიზოდია საინტერესო. ერთს გამოვყოფ: მცირე აზიის ნაპირის ახლო კავაკაში პასპორტების შემოწმებას. ცნობილია, საბჭოთა მოქალაქეობა (თან იმ წლებში) რას ნიშნავდა დანარჩენი მსოფლიოსათვის. ფრანგი ოფიცერი არკვევს ჩამოსულის ვინაობას და მოულოდნელად ეკითხება:

- „ - კეღიას იცნობთ, პოღიციის „შეფი“ ხომ იყო საქაჩთვეღოში?“
- კი, ვიცნობ.
- ჰო და, თუ კეღიას იცნობთ, ადბაღ ისიც გიცნობთ და ის გამოაჩკვევს - ბოდშევიკი ხაჩთ, თუ კაჩი კაცი“ (მიწიშვილი, 1929, გვ. 34-35).

ინდო ინასარის რომანში ერთ-ერთი თავი ასეა დასათაურებული: „ადამიანი და კომუნისტი“.

„ბოლშევიკები“ და „კარგი ადამიანები“, „ადამიანი და კომუნისტი“, კიდევაც ერთი კატეგორია; ამ უკანასკნელზე სტანისლავ ჟუი ლეცი წერდა:

„ადამიანების დაყოფა სხვადასხვაგვარად შეიძლება. ეს ყვედასათვის ცნობილი ამბავია. შეიძლება დავყოთ ადამიანებად და ახაადამიანებად.

„მე კი თავებად და ტანებად ვყოფ“- თქვა გაოცებულმა ჯადათმა“ (ლეცი, ე. 1988, გვ.18). ეს მწერლის ღიმილმოყოლებული ირონიაა.

სამანს აქეთ და სამანს იქით გამოქვეყნებული ტექსტები გარკვეული იდეოლოგიური კონტრასტის სურათსაც ქმნიან და ზოგ შემთხვევაში ერთნაირად აღწერენ კიდევ, მაგრამ ეს უკვე სხვა დროს და სხვა განწყობით.

ლიტერატურა:

ინასარი 1936: ინასარი ი., ჩრდილი ერთი სინამდვილის, პარიზი, 1936.

ლეცი 1988: ლეცი სტ .ე., დაუვარცხნელი აზრები, თბილისი, „ნაკადული“, 1988.

ლორთქიფანიძე 1927: ლორთქიფანიძე კ., საბარგო ავტომობილი, პირველის შემდეგ ლექსები, თბილისი, 1927.

მიწიშვილი 1929: მიწიშვილი ნ., ეპოპეია, ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, წიგნი პირველი, ტფილისი, 1929.

ნაროშვილი 1931: ნაროშვილი ფრ., პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია, თბილისი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1931.

რობაქიძე 1994: რობაქიძე გრ., ჩაკლული სული, თბილისი, „გეა“, 1994.

ჯავახიშვილი 2000: ჯავახიშვილი მიხ., ნიშნიანიძე რ., სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, „ლომისი“, 2000.

Rusdan Nishnianidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Literary Contrasts within Borders and Beyond

Keywords: *Historical Emigration, Grigol Robakidze, Indo Inasar, Fridon Naroushvili, Konstantine Lortkipanidze, Literary contrasts*

One day Mikheil Javakhishvili writes in his notebook: "Georgian pen is very similar to the Golgotha cross, which I carry by hand" (Javakhishvili M. 2000, p.27). Everyone knows the reality within Borders and Beyond; And how difficult is it to "carry the cross of Golgotha" ?! "Artistic document of the era" – this phrase is used as a working term. It is interesting how they write about the same event. There is

only one relief for emigration – there is no ideological censorship, but what is written "here". Beyond the "rape". Let us confine ourselves to a few specific episodes, rather than a detailed analysis of the texts.

In prose texts the interrogation of the suspect (Hereafter already a prisoner) is the same as in reality: first it begins with a quarrel, domestically, with the offer of a cigarette, with tempting promises that they will understand everything and consider what happened as a misunderstanding. After a while, there is another tone, false witnesses, fabricated facts and the obligatory – that all investigators are "screaming" – names of accomplices. After that, torture will begin.

Grigol Robakidze's novel "Killed Soul" was published in Jena, Germany in 1933. Translated in Georgia by Alexander Kartoziia. Regarding the title of the novel, the question arises: is it just a "tailored" title for the main character? By the way, the famous scientist Mikheil Tsereteli and critic Mikheil Tsulukidze refer to the novel as follows: "Killed Soul". "Dead Soul" – I prefer such a title, I think the act of violence is more telling (Alexander Kartoziian translation).

Indo Inasar (Nikoloz Inasaridze)'s novel "Shadow of One Reality" was published in Paris in 1936. The government is fighting for the welfare of the people – this is a slogan, a widespread slogan. In fact – "prosperity" often without "people". How the state treats its citizens. I do not remember who, but someone in emigration wrote about this novel: "The Second Killed Soul". Probably, this was an attempt to describe Soviet reality.

An unusual thing happened – Nikoloz Inasaridze described it with his own, personal views. And if anyone doubted: such cruelty is true or exaggerated, proved with life – it is true!

He returned to Soviet Georgia from emigration. He was exiled. Then he was brought alone from there for questioning. Later, the family, who was in exile, informed of his death. There are two versions of the death: one – Nikoloz Inasaridze committed suicide (this is the official version) and the other – he was tortured by the Chekists.

The first named novel was published in Germany, the second – in France. As I said, it could not be written so openly in Georgia, and even more printing. When we talk about the epoch, the context must be taken into account. Let us recall the contrasting texts that were printed in Georgia at that time. Many were published, which a poem or story could hardly be called by the reader, but it was published. To illustrate the contrast, I will give examples that are intellectually or artistically related to these facts.

In 1931, Fridon Naroushvili's poetry collection – "Declaration of a Political Poet" was published, with 3,000 copies in Tbilisi by the "Young Communist" – Publishing House. Among the various texts, the main one is the one whose title is

displayed on the cover by the author. This extensive work consists of two sub-sections (it also has internal numbering). Of course, I will not discuss it. I represent only one fragment and its pathos.

Konstantine Lortkipanidze later completely changed many of his poetic or prose texts ("A Few Words to Sergei Essenin and Others"), or with vague main episodes ("The Dawn of Kolkheti"). This is good and important. But the pages of the history of literature still retain what he published – for example, first in the magazine "Mnatobi" № 5-6 (May-June) Tbilisi, "Sakhelgami", and the same, in 1927 he included in his collection – "After the first, poems ". And now about one of Lortkipanidze's poems: "Truck". Truck – a sign of death. The same code is read in Konstantine Lortkipanidze's poem, but with a completely different emotion and admiration.

Where such texts are published (in magazines or books) are read by Georgian readers. I no longer think it's just a cultural context. I think this is a historical context where writers create a political "weather".

Within Borders and Beyond publishes texts create a picture of a certain ideological contrast and in some cases even describe it in the same way, but this is already at a different time and in a different mood.

ნათელა ჩიტაური

თსუ შოთა ხუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

იდენტობა მიგრაციული მწერლობის იმაგოლოგიურ ქრილში

საკვანძო სიტყვები: იდენტობა, მიგრაცია, მწეხრობა, იმაგოლოგია, ინტერკულტურული

გლობალურ, ინტერკულტურულ, მიგრაციულ ცვლილებებზე ყველაზე სწრაფად სოციოკულტურული ველი რეაგირებს. ცვლილებანი ერთმანეთზე დამოკიდებული და ქმნის ერთობლივ ინტერდისციპლინურ დისკურსებს.

მწერლობის, იდენტობათა და იმაგოლოგიის „ურთიერთთანამშრომლობის“ ფაქტი და პერსპექტივები კიდევ უფრო ცხადი გახადა მწერლობამ, რომელიც იქმნება არა „ადგილზე“, სამშობლოში, არამედ „უცხო სივრცეში“, საზღვარგარეთ ან ასახავს მიგრაციის თემებს, უცხო სივრცეში ცხოვრების გამოცდილებას.

ეს მწერლობა ვედარ თავსდება კომპარატივისტული კვლევის არეალში, მას აქვს მთელი რიგი თვისებებისა, რომელნიც მას განასხვავებს „ადგილზე“ შექმნილი მწერლობისაგან. ამ განსხვავებული თვისობრიობის ბირთვია იდენტობებისა და იმაგოლოგიის ის რთული პარადიგმები, რომლებიც ორი ან მეტი განსხვავებული კულტურის შეხვედრისას ყალიბდება.

კულტურათა გადაკვეთის პროცესში შუალედური სივრცეებით ყალიბდება ორმაგი, გარდამავალი, დეფისური იდენტობები. საზღვარგარეთ შექმნილი ტექსტი „მოძრაობს“ ნაციონალური იდენტობის საზღვრებშიც და ამ საზღვრებს გარეთაც, წარმოგვიდგება ნაციონალური და ინტერკულტურული იდენტობების რეპრეზენტაციად, გვევლინება იდენტობის ტრანსლაციის მექანიზმად.

განსხვავებულია ამ მწერლობის იმაგოლოგიური დისკურსიც. მიგრაციულ კონტესტში იმაგოლოგია დამატებით ფსიქოლოგიურ დატვირთვას იძენს: იმაგოლოგიის ამოცანად იქცევა არა მხოლოდ ნაციონალური ხასიათების, სტერეოტიპების აღწერა, არამედ ხასიათების, „იმიჯების“ გენეზისის, ურთიერთ და სხვაზე ზემოქმედების კვლევა.

ამ კონტესტებში იმაგოლოგიას ეძლევა ნაციონალური თავისებურებების, აზროვნების იდეოლოგიზირებული, უცვლელი, ჩამოყალიბებული კატეგორიების გადახედვის, იდენტობათა მრავალმხრივი შედარების, დისტანციიდან დანახვისა და შეფასების შესაძლებლობა. ამ მწერლობაში იმაგოლოგია მნიშვნელოვან სტრატეგიად ყალიბდება სწორედ იდენტობის სოციოკულტურულ დისკურსში.

საზღვარგარეთ შექმნილ ტექსტში იდენტობების, იმაგოლოგიური ასპექტების თავისებურებებს განსაზღვრავს მიგრაციის ტიპი, მიგრაციის მიზეზები, მიზნები.

ბოლო ორი საუკუნის ქართულ რეალობაში შესაძლოა გაიმიჯნოს:

ქართული ემიგრაციული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე (მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე) – **ქართული ემიგრანტული მწერლობა**. ქართული დიასპორული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე (საზღვარგარეთ შექმნილი თანამედროვე ტექსტები, მე-20 საუკუნის ბოლოდან დღემდე) – **ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა**.

ეპოქალურმა მახასიათებლებმა განაპირობა XX საუკუნის ემიგრანტული მწერლობის იდენტობები, იმაგოლოგიური დისკურსი: ნაციონალური იდენტობის დაცვის აქტიური მცდელობა, სივრცითი, ნოსტალგიური, პოლიტიკური, იდენტობის ჩაკეტილობა, ევროპულ გარემოსთან ადაპტაციის, ევროპული მენტალობის მიღების ნაკლები სურვილი, „პოლიტიზებული აზროვნება“, „ანტისაბჭოთა იდენტობა“. საქართველოს ისტორიის შესწავლა „პატრიოტული ხედვის“ გაძლიერებით, ევროპისათვის ამ „ხედვის“ გაცნობის მიზანი, „ფიქრები საქართველოზე“ – 1921 წლის ტრაგიკული მოვლენების მიზეზების ძიება, ამ ფონზე ქართული ხასიათის თავისებურებათა წარმოჩენა; „იქიდან დანახული საქართველო“ – ემიგრანტთა დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესების მიმართ. საბჭოეთის მოვლენების კრიტიკული შეფასება წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული „ემიგრანტული“, „ანტისაბჭოთა იდენტობით“, ოპოზიცია საბჭოთა რეჟიმის, ტოტალიტარული ტექსტების მიმართ.

XXI საუკუნის პოსტმოდერნისტულ და ინტერკულტურულ ეპოქაში, შეუქცევადი მიგრაციული პროცესებისა და საზღვრების გახსნის ფონზე, ჩამოყალიბდა იდენტობებისა და იმაგოლოგიის განსხვავებული პარადიგმები:

იდენტობათა სტაბილურობას ანაცვლებს „მოდრავი“ იდენტობები, რომელნიც დამოკიდებულია სწრაფად ცვალეზად გარემოზე. ნაციონალური იდენტობა გარდაიქმნება ინტერკულტურულ, მრავალშრიან იდენტობად, იდენტობის ადაპტაციურ/ინტეგრაციულ/ჰიბრიდულ/ღია მოდელად. იდენტობა დინამიკური, არაერთგვაროვანი, ფრაგმენტირებული მოცემულობა ხდება, შედგენილი არა ერთი, არამედ რამდენიმე, ხშირად საწინააღმდეგო, შეუსაბამო იდენტობებისგან. ამგვარი იდენტობებისათვის არსებითია სოციოპოლიტიკური გამონვევები: ნაციონალური იდენტობის დაცვის ნაკლები სურვილი და მცდელობა, უცხო სივრცესთან ადაპტაციის მეტი უნარი, სამშობლოს ნაკლები იდეალიზაცია, იდენტობათა პოსტსაბჭოთა ქაოსი, ტრადიციულ და თანამედროვე ფასეულობათა ოპოზიციები, იდენტობის დაქვემდებარება გარემოს აქტუალური მოთხოვნებისადმი, იდენტობათა და ფასეულობათა სოციალიზაცია.

ასეთივე კონტექსტები შეინიშნება იმაგოლოგიაშიც: რასაკვირველია, მწერალი, პერსონაჟი ცდილობს თავისი იდენტობის დაცვას და უპირისპირდება უცხო სააზროვნო მოდელებს, თუმცა იმაგოლოგიის ძირითადი კონცეპტი, მისი ძირითადი ბინარული ოპოზიცია („ჩემი – სხვისი“), გაიაზრება უკვე კომპლექსურად, თანამედროვე კულტურულ-ისტორიულ კონტექსტებში. არაიშვიათად შეინიშნება თავისისა და სხვისის მიმართ თანაბარი პატივისცემა. ზოგიერთ ნაწარმოებში საერთოდ მოხსნილია დაპირისპირება საერთო-საყოველთაოსა და უნიკალურ-ეროვნულს შორის.

ხშირად აისახება ორმხრივი იმაგოლოგიური გაუცხოვება: როცა მწერალი-მიგრანტი აღიქმება უცხოდ როგორც მშობლიურ, აგრეთვე – ახალ საცხოვრებელ ადგილას, ან ნაცნობი, „მშობლიური“ უცხო გარემოში თავად მიგრანტისათვის გაუცხოებული სახით არის წარმოდგენილი.

ამ ტექსტებში მეტია შეფასებათა თავისუფლება, უარყოფითის დანახვის საშუალება და სურვილი. ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის იმაგოლოგიური ნარატივი, ვფიქრობთ, უფრო გულწრფელია, ამჟღავნებს იმ ქვეცნობიერს, რაც ჩამალულია და რისი გააზრების მოტივაცია სწორედ დღევანდელი გლობალური, ინტერკულტურული გარემოს სირთულეებმა ჩამოაყალიბა. ეს მწერლობა უფრო აქტიურად ასახავს იდენტობის დღევანდელ პარადიგმებს: რა „დავივინყოთ“, რა მივიღოთ გამოწვევად, რა რეალობად, რა პერსპექტივად?

ინტერკულტურულ-მიგრაციული ტექსტები წარმოაჩენს, როგორ აღიქვა ლიტერატურამ კულტურათა დაახლოება-დაპირისპირების შედეგად გამოწვეული სერიოზული კულტურული რყევები და ამ მოვლენების შედეგად როგორ შეიცვალა ეროვნული ხასიათების ასახვის ვექტორი.

განსხვავებულობის მიუხედავად, იდენტობის იმაგოლოგიური დისკურსი ქართულ ემიგრანტულ და ინტერკულტურულ-მიგრაციულ მწერლობაში ზოგჯერ ერთმანეთს თანხვედება.

1. განვიხილოთ XX საუკუნის ცნობილი ქართველი ემიგრანტი მოღვაწის, რუსთველოლოგის, ვიქტორ ნობადის (1893-1975) უცნობი, გამოუქვეყნებელი ავტოგრაფული ნაშრომი „ქართული მოდგმა და ხასიათი. ქართველი კაცი“. ის არის ნაწილი ვრცელი ნაშრომისა „გარდასულ ჟამთა საქმენი და ამბავნი“, რომელიც რამდენიმე კრებულისაგან შედგება. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ნაწილი პირველი – „ქართული მოდგმა და ხასიათი, ქართველი კაცი“. ნაწილი მეოთხე – „ქართული მწერლობა“. ნაშრომი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის მუზეუმში (გურამ შარაძის კერძო კოლექცია). სავარაუდოდ, დაწერილია 1948 წელს.

ავტორი, როგორც ჩანს, დიდხანს სწავლობდა ქართულ ხასიათს, ამავე დროს, ევროპელის თვალითაც (ვ. ვოიტინსკი, ი. ერენბურგი, უ. ალენი) შეა-

ფასა ქართველი კაცი. ამას დაემატა თავად ვიქტორ ნოზაძის იმაგოლოგიური ხედვა, რომელიც თანდათან ჩამოყალიბდა ემიგრაციულ ცხოვრებაში. ყოველივე ამის საფუძველზე ნაშრომში იკვეთება ემიგრანტის თვალთ და-ნახული ქართული იდენტობა, ქართული ხასიათის დადებითი და უარყოფითი მხარეების დღეისათვისაც საგულისხმო შეფასებები.

ქართველი კაცის ბევრი თვისება (სიცოცხლის სიყვარული, სათნოება, სტუმართმოყვარეობა, განათლება და ა.შ.) საფუძველია იმ ხიბლისა, რომელსაც ქართველი სხვა ერში იწვევს. მეორე მხრივ, უცხოელმა ის შეიძლება არამატერიალისტად, ზედმეტად იდეალისტად, თვითკმაყოფილად, უპასუხისმგებლოდ და მფლანგველად ჩათვალოს.

ვ. ნოზაძისათვის მნიშვნელოვანია ევროპელთა დაკვირვებები ქართული ბუნების თავისებურებებზე. ბრიტანელმა ისტორიკოსმა, უილიამ ედუარდ დავიდ ალენმა, 1932 წელს ლონდონში გამოსცა წიგნი „ქართველი ხალხის ისტორია“. წიგნი ინგლისურიდან თარგმნა ელენე მამულაიშვილმა და ტექსტის ნაწილი დაბეჭდა გაზეთ „თეთრი გიორგის“ 1935 წლის 91-ე ნომერში. ვ. ნოზაძემ განიხილა უ. ალენის ნაშრომი და მასზე დაყრდნობით მოგვცა ქართული ბუნების დახასიათება ისტორიულ კონტექსტში. მისი აზრით, შეფასება „ესთეტიური უპასუხისმგებლობა“ სრულიად სამართლიანია და ქართულ ხასიათს ზუსტად შეესაბამება.

საქართველო ხშირად დაუპყრიათ, ქართველი ხალხი ხშირად დამორჩილებია კიდევ უცხო ძალას, მაგრამ ამ ძალის ბატონობისათვის მას სერიოზულად არასოდეს შეუხედავს. ესაა „ქართველის უპასუხისმგებლობა“. როდესაც ამ ბატონობას ბოლო ეღებოდა, ქართველი ხალხი თავისი ხასიათით ისეთივე რჩებოდა, როგორც უნინ იყო, შესაძლოა, შინაგანად უფრო ძლიერიც კი. ესაა მისი „ესთეტიზმი“. ამასვე შენიშნავდა გრ. რობაქიძეც: „ნიცშეს სიტყვა – რაც ვერ მძლევს, მხდის უფრო ძლიერს, საქართველოზე თუა გამოჭრილი“ – „ქართული გენია როკვით განფენილი“, (რობაქიძე, 1996, გვ. 280). ვ. ნოზაძე ამგვარად ავითარებს უ. ალენის აზრს: „ვერ ვიტყვი, რომ ქართველი ხალხი არ იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ის ბატონობას ებრძვის, როგორც ერი, როგორც ცოცხალი ცხოველი იბრძვის და არა პრინციპის გულისათვის. ქართველებს ძველთაგანვე აქვთ მეტად მყარი და ღრმა შეგრძნება თავისი მთლიანობისა, თავისი ინდივიდუალობისა, როგორც ერისა. თავისი თავის, როგორც ერის შეგნება, არის თვითონ ერთგვარი ესთეტიზმი – ერთნაირი სახე ვნებითი მიდრეკილებისა – მოწონება თავისისა სხვასთან შედარებით. არც ერთ ხალხს არსებითი ესთეტიზმის, მაღალი გემოვნების ხალხს არ შეუძლია მისცეს მტკიცე უპირატესობა რომელიმე რელიგიურ ან პოლიტიკურ ცნებას. ნამება (მარტვილობა) არის არსებითად ესთეტიზმის დარღვევა მაშინ, როდესაც გმირობა არის ინდივიდუალური ხელოვნების ძლიერი აღტკინება, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველები ხშირად არიან გმირები, იშვიათად, ნამებულნი“ (ნოზაძე, 1948ა, გვ.13).

როგორც ვ. ნოზაძეც აღნიშნავს, ამ ტერმინის შინაარსში იმალება საიდუმლოება, ერთი მხრივ, ქართველთა მიმზიდველობისა, როგორც ხალხისა, მეორე მხრივ, საიდუმლოება მათი გადარჩენისა, როგორც მტკიცე ინდივიდუალური ეროვნული მთლიანობისა. „ქართველებს შერჩათ ნათელი და სათნო მსოფლმხედველობა, მხნეობა, თავისუფალი და ცნობისმოყვარე გონება, მაღალი და შეუბოჭავი შეგნება, გულუხვობა, სიყვარული, სისადავე, სათნოება, საოცარი სიყვარული სიცოცხლისადმი, უდარდელობა. ... სწორედ ამ „ესთეტიურმა უპასუხისმგებლობამ“ დაიცვა ქართველების მთლიანობა მათი ისტორიის ცვალებადობის დროს“ (ნოზაძე, 1948ა, გვ.14). ეს თვისებაა საფუძველი მათი სიხარულისაკენ, ბედნიერებისაკენ, სილალისაკენ სწრაფვისა.

2. განვიხილავთ ზაზა ბურჭულაძის (1973 -) ნაწარმოებს „ტურისტის საუბმე“, რომელშიც საინტერესოდაა წარმოჩენილი თანამედროვე ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის იდენტობები, იმაგოლოგიური დისკურსი.

ემოცია ძლიერია, მაგრამ ყოფით-რეალისტური, სოციოკულტურული კონტექსტი რომანტიკულ განწყობას აფერმკრთალებს, ავტორიც და მკითხველიც „ეპოქალურ დაკვეთას ასრულებენ“. წიგნი უფრო ნატურალისტურია. თითქოს სოციალურ ქსელში გადმოცემულ ამბებს ეცნობი. ეს დამაჯერებლობის ეფექტს ქმნის, აქრობს დისტანციას მკითხველსა და ავტორს შორის. დაკვირვების ობიექტები ხდებიან რეალური, კონკრეტული, ცნობილი ადამიანები. იმაგოლოგიური კონტექსტი ამ შემთხვევაში რამდენადმე განსხვავებულია: შეფასება „იქიდან“ მიმართულია არა ნაციონალური იდენტობის კონსტრუირებისაკენ, არამედ ფაქტების განზოგადებისაკენ და მათი გლობალურ კონტექსტში მოქცევისაკენ, აქ იმაგოლოგია უკვე ინტერკულტურულ იდენტობას აყალიბებს.

წიგნში ბევრია შედარება, წიგნი გვაიძულებს, გავიაზროთ ქართული მენტალობა, ხასიათი დღევანდელი გლობალიზაციის ფონზე, მოვიძიოთ და არ დავკარგოთ ქეშმარიტი ფასეულობანი. მწერლის აზრით, ზოგიერთ თვისებაზე უარის თქმაც მოგვიწევს. ამ ტექსტშიც ხაზგასმულია ქართული იდენტობის საინტერესო ნიშნული – უპასუხისმგებლობა, რომელიც „გაზავებულია“ სწორედ მხიარულებით, თანმხლები არაადეკვატურობით, რეალობის არგაცნობიერებით.

„რუსი დაუდევარია, ბრიტანელი ამპარტავანია, ამერიკელი ოპტიმისტია და ა. შ. ქართველი კი სხვაა. ჩვენ უბრალოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვართ. კერძოდ, სრულიად უპასუხისმგებლო“ (ბურჭულაძე, 2015, გვ. 54).

„ჩვენ ხომ ალეგორიებისა და მეტაფორების ხალხი ვართ და ასეთივე დავრჩებით, თუ გავვიძლებს დრო. ჩვენ მუდამ ვმღერით, გვიჭირს თუ გვილხინს, სხვანაირად არც შეგვიძლია. ვინ და ჩვენ მაინც ხომ ვიცით,

რომ არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში. თან თითოეული ხომ ქართველი გულის სიღრმეში მეფეა და მგოსანი და სიმღერით კვდება“ (ბურჭულაძე, 2015, გვ. 33).

„ჩვენ სხვა ხალხი ვართ. ჩვენი პირდაპირი გაგება არ იქნება. ჩვენ თუ ვგლოვობთ, ნიშნავს, რომ ვზეიმობთ. ჩვენ თუ მოგვიწყენია, მაშასადამე, გვიხარია, ჩვენთვის სიკვდილი განცხრომის სინონიმია... ჩვენი ბედნიერება უბედურებაშია, ჩვენი ძალა – უვიცობაში, ჩვენი მორალი – ამორალობაში... ჩვენი კულტურაც სინამდვილეში უკულტურობაა... ჩვენ ხომ მუდამ ერთს ვამბობთ, მეორეს ვაკეთებთ, მესამეს ვფიქრობთ, მეოთხეს ველტვით, მეხუთეს უარვყოფთ, მეექვსეს ვოცნებობთ, თუმცა არც მეშვიდეზე ვამბობთ უარს. ასეთია ქართული ბორჯღლის შვიდი სხივი. თან გასათვალისწინებელია, რომ ამ ყველაფერს სულ სიმღერ-სიმღერითა და ცუმპა--რუმპით ვაკეთებთ... ჰოდა, პოეტის სიტყვებიც: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო“, წყევლად კი არ უნდა მივიღოთ, არამედ – ლოცვად. კერძოდ, როცა პოეტი გვწყევლის, მისი ძუძუები გვლოცავენ. ჩვენი ზღაპრებიც მუდამ ერთი და იმავე სიტყვებით არ მთავრდება? ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა. იმის მიუხედავად, რომ ბავშვმაც კი იცის, ლხენა და განცხრომა იქლა არის, სადაც ჩვენ არა ვართ. უბრალოდ, ასეთია ჩვენებური იმპორტ-ექსპორტის გაგება. გაიტან ჭირს, შემოიტან ლხინს, გზად ქატოსაც ფქვილზე გადაცვლი. თომას მანსლა შეუძლია თქვას, სადაც მე ვარ, იქ არის მთელი გერმანული კულტურაო. მე კი, როგორც პატარა ქართველი, კავკასიის მთების შვილი, ვიტყოდი, სადაც მე ვარ, იქ არის მთელი ქართული უკულტურობა“ (ბურჭულაძე, 2015, გვ. 85).

ქართული იდენტობის იმაგოლოგიური კონტექსტის განხილვისას საინტერესოა ქართველი მკვლევრის ვლადიმერ გამსახურდიას აზრი ქართული ხასიათის შესახებ. მკვლევარმა ჩაატარა გამოკითხვები, რესპონდენტთა შორის იყვნენ ემიგრირებული ქართველებიც: „ირიბად ასევე საკუთარი განსაკუთრებულობის განცდაც ჩანს. რესპონდენტების თქმით, ქართული ეთნოსის წევრებს აქვთ განცდა, რომ „რახან აქამდე გადავრჩით“, შემდეგშიც გადავრჩებითო. არსებობს მოლოდინი, რომ მოვლენები თავისთავად განვითარდება იმგვარად, რომ ჯგუფი გააგრძელებს არსებობას, მიუხედავად წინააღმდეგობისა. ის ფაქტი, რომ სხვა დიდი სახელმწიფოების გაქრობის ფონზე საქართველომ ამდენ ხანს გააგრძელა არსებობა, საკუთარი თავის და პოზიტიური ბედისწერის ირაციონალურ რწმენას განაპირობებს“ (გამსახურდია, 2016, გვ.172-174)

დღევანდელი გლობალური, მიგრაციული სამყარო, სივრცე „საზღვრების გარეშე“ ბევრ კითხვას სვამს ადამიანების წინაშე. ამ სამყაროში ორიენტირება, თვითიდენტიფიკაცია აუცილებლად მოითხოვს იდენტობის იმაგოლოგიური დისკურსის განხილვას, რაც ყველაზე კარგად მიგრაციულ მწერლობას ხელეწიფება. ისიც ცხადია, რომ ეს მწერლობა თავადაც ქმნის იდენტობათა კულტურულ პარადიგმებს, რაც აუცილებლად ექვემდებარება

როგორც ავტორის, ასევე მკითხველის ინტერპრეტაციებს. ამ პროცესებში აუცილებლად გამოიკვეთება პრობლემათა გადაჭრის გზებიც: გვიჩვენებს, რომელი ნაციონალური თვისებაა დღეს აუცილებლად დასაცავი, რომელი ინტერკულტურული მენტალური მახასიათებელია შესაძენი. მწერლობას ბევრი შეუძლია. მას ძალუძს დიდი ემოციური ფონის შექმნა, ფაქტების განზოგადება, შუამავლობა კულტურათა შორის. ფაქტია, რომ ინტერკულტურულ-მიგრაციული ლიტერატურა დღეს იქცევა სხვადასხვა კულტურულ სივრცეთა შორის კონტაქტის მნიშვნელოვან მექანიზმად.

ლიტერატურა:

- ბურჭულაძე 2015:** ბურჭულაძე ზ., ტურისტის საუბრე, თბილისი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2015
- გამსახურდია:** გამსახურდია ვლ., ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში http://press.tsu.ge/data/ima-ge_db_innova/disertaciebi_fsiqologia/vladimer_gamsaxurdia.pdf
- ნოზაძე 1948ა -1948ბ:** ნოზაძე ვიქ., ნან. I, *ქართული მოგება და ხასიათი. ქართველი კაცი (1948ა)*, ნაწ. IV, *ქართული მწეხილობა (1948ბ)* – კრებულში: „გარდასულ ჟამთა საქმენი და ამბავნი“. ხელნაწერი (ავტოგრაფი). დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის მუზეუმში (გურამ შარაძის კერძო კოლექცია).
- რობაქიძე 1996:** რობაქიძე გრ., ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბილისი, „ჯეკ-სერვისი“, 1996.

Natela Chitauri

Tsu Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Identity, in the Migration Literature Imagological Context

Keywords: *Identity, migration, literature. Imagology, Interculturality*

The fact and perspectives of “mutual collaboration” of literature, identities and imagology have become even more obvious by literary texts created not “locally” in homeland, but “in the foreign space”, abroad or those that reflect migration topics; experiences of living in a strange environment.

This literature exceeds the area of comparative research area, it has number of features that makes it different from the “locally” created texts. The cores of such **different quality** are **those paradigms of identities and imagology** that are formed during the meeting of two or more different cultures.

Double, transitional and hyphenic identities are formed by intermediate spaces, in the process of crossing of cultures. Texts created abroad “move” within the national identity borders and outside of its frames; appears as representation of national and intercultural identities; furthermore, literature comes as a mechanism for translation of identity.

Imagological discourse of this literature is different; gaining additional psychological load : it becomes the task of imagology to not only describe national characters, stereotypes, but also to research characters, genesis, mutual and external impacts of “images”.

In this context imagology is given the opportunity and ability to review the ideologized, unchanged and formed categories of national characteristics and thinking and to compare, view from distance and evaluate identities. **In this literature, imagology forms into an essential strategy right in the social-cultural discourse of identity.**

In texts created abroad, features of identities, imagological aspects are defined by type of migration; reasons and goals of migration.

In the Georgian reality of last two centuries may be separated:

Georgian emigrational mental-literary space (from 1920s to 1980s) – **Georgian emigrational literature**, Georgian diasporic mental-literary space (modern texts created abroad from the end of 20th century until present) – **Georgian intercultural-migration literature**.

Despite the differences, the imagological discourse of identity in Georgian emigrational and intercultural-migration literatures at times coincide.

1. From Georgian emigrational literature we will discuss a less known, unpublished autobiographic work – *Georgian approach and character. Georgian man* – by prominent Georgian emigrant writer, Rusvelologist, Victor Nozadze (1893-1975). It is part of the extensive literary work – *Deeds and stories from the past times* – which consists of several almanacs. In this case, important for us is the first part – *Georgian approach and character. Georgian man*; part four – *Georgian literature*. The work is kept in in the Georgian Emigration Museum of the National Library of the Parliament of Georgia (Guram Sharadze’s private collection). Allegedly, the text was written in 1848. The following aspects are draw attention in the work – Georgian mentality seen from abroad; evaluations of positive and negative sides of Geogian character, that are essential today as well.

2. From modern Georgian intercultural-migration literature we will discuss Zaza Burchuladze’s (1973 -) work – *Breakfast of a Tourist*. The text was written abroad, namely in Germany. Here, the identity and imagological discourse is somewhat different: evaluation “from there” is aimed not at describing, constructing national identity, but at generalizing facts, putting them in global context; here, imagology already forms the intercultural identity.

ნიკო ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლატვიის ქართული დიასპორის ისტორიიდან (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 40-იანი წლების დასაწყისამდე)

*საკვანძო სიტყვები: დატვია, ქახთველები, გიოხგი მაჭუტაძე,
იხაკვი/კაკი წეხეთელი, შადვა მაღდაკვედიძე*

საქართველოს ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ემიგრაციაში გახიზნულ ქართველ მამულიშვილთა ერთი ნაწილი ლატვიის ქართულ დიასპორას შეუერთდა (ჯავახიშვილი, 2011, გვ. 93).

1922 წლის აგვისტოში რიგაში გარდაიცვალა საქართველოს საპატიო კონსული ლატვიასა და ესტონეთში გიორგი მიხეილის ძე მაჭუტაძე (1874-1922), რომელიც იქვე (“Покровское кладбище”) დაკრძალეს (“Сегодня”, 1922). ჰყავდა ვაჟები – დიმიტრი და ალექსანდრე (Дворянские роды, 1998, გვ. 173).

1922 წლის 20 დეკემბრიდან რიგაში ნაფიც ვექილად მსახურობდა იოაკიმე ბურჯანაძე (1879-1958). 1940 წლიდან ის გახდა ქალაქის I იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი. გერმანული ოკუპაციისას (1941-1944) განაგრძობდა ვექილად სამსახურს. 1944 წელს მსახურობდა ქ. სკრივერის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატად. იმავე წელს დაბრუნდა რიგაში (Jēkabsons, 2002, გვ. 137).

1923 წლის სექტემბერში, II სოციალისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელ კამილ ჰიუსმანთან ერთად, ბელგიიდან ლატვიაში ჩავიდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ემიგრანტი ირაკლი (კაკი) წერეთელი (1882-1959). ისინი შეხვდნენ ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს და მათ შორის, დიდ ლატვიელ მოაზროვნეს, პოეტს, დრამატურგს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს იანის რაინისს (1865-1929). რაინისი დაესწრო ამ პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლებს რიგაში, ასევე მათ პატივსაცემად გამართულ ბანკეტს და ბალს, რომელიც მოეწყო ლატვიელი სახელმწიფო მოღვაწის ფ. ციელენსის პატრონაჟით. წერეთელი შეჰპირდა რაინისს, რომ ქართველ პოეტთა ნაწარმოებების თარგმანებს გადაუგზავნიდა.

რაინისის დღიურის 7 და 17 სექტემბრის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „წეხეთელი საუბრობს ისევე მშვიდად, ხოგოხც მე, ეფექტების და აპროდისმენტების გახეშე. და მაინც, ის კახგ ოხაგოხად ითვლება. საუბრის შინააზრის ხა-

ლაცას ნიშნავს. ჩვენთან, დაგვიანდა ხომ მხოლოდ აწეული ხმა და სენტიმენტალობა“; „წეხეთედმა ხანგძღვივად ისაუბრა. ის სათნო და კეთილი ადამიანია“.

1926 წლის აპრილში რაინისი პარიზში ეწვია წერეთელს, რის შესახებაც 26 აპრილს წერდა თავის მეუღლეს, პოეტ ასპაზიას (Rainis, 1986).

1923 წლის 12 მაისს, მოსკოვიდან რიგის გავლით ბერლინში, მეუღლესთან აკაკი პაპავასთან (1890-1964) ჩავიდა თამარ გოგოლაშვილი-პაპავა (1888-1976), თავის ქალიშვილებთან ერთად. ეს მოგზაურობა მან აღწერა თავის მემუარებში, რომლებიც ნაწილობრივ გამოქვეყნებულია (ნაცვლიშვილი, 2013, გვ. 194).

XX საუკუნის 20-30-იან წლებში ლატვიასა და ესტონეთში სამსახურებრივი მივლინებით არაერთხელ ჩავიდა გერმანიაში მოღვაწე ქიმიკოსი რაჟდენ გრიგოლის ძე რუსიშვილი (1900-1984). იგი სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში. მიავლინეს მიუნხენის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, სადაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1928). მეგობრობდა ფიზიკოს ალექსანდრე ნიკურაძესთან (1901-1981). 1939 წელს რუსიშვილი გადასახლდა დიდი ბრიტანეთის ქალაქ ილიში, სადაც გარდაცვალებამდე ცხოვრობდა (ჭავახიშვილი, 2014, გვ. 22-23).

ლატვიაში მცხოვრებმა ბაბო/ბარბარა მიხეილის ასულმა შარვაშიძემ (1859-1946), რომელიც გათხოვილი იყო ბალტიელ გერმანელ ბარონ ალექსანდრე ფელიქსის ძე ფონ მეიენდორფზე (1869-1964), ამ რესპუბლიკის მოქალაქეობა მიიღო.

1946 წელს, ლონდონში, ლატვიურად გამომავალ გაზეთ „ლონდონას ავიზეში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში აღნიშნული იყო, რომ განსვენებულ ბ. შერვაშიძეს გულწრფელად უყვარდა ლატვია და, ქართველთა და აფხაზთა მსგავსად, მცირერიცხოვანი ლატვიელი ხალხი (Ščerbinskis, 1998, გვ. 21).

XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ლატვიაში, თავის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა ქართველი სამხედრო მოღვაწე შალვა მალლაკელიძე (1894-1976). საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ის მეტეხის ციხეში მოათავსეს. 1923 წელს მას საზღვარგარეთ წასვლის ნება დართეს. ამის შემდეგ, იგი თავის ცოლთან, ბალტიელ გერმანელ მარია მარტინის ასულ გრასისთან (იმავე გრასთან) და ვაჟთან – გაიოზთან (იმავე გაიუს მარიუსთან) ერთად წავიდა მეუღლის სამშობლო ლატვიაში.

მალლაკელიძე იგონებდა: „მოსკოვში 6-7 თვე ვიყავი... პეშკოვა იყო დენინის პიხადი ხწმუნებუდი, გოჩკის პიხვედი ცოდი და მას აკისხია, რომ გაისტუმროს გავდენიანი მენშევიკები აქედან... პეშკოვამ წამიყვანა დაგვიის საედროში. ფედმანი იყო ედრი. მომცა ფედმანმა ვიზა და მკითხა, ხიგაში ხატომ მიღიხახო? მე ვუთხაჩი: ცოდი გეხმანედი მყავს და ხიგის გუბეხინაში მამუდი აქვს შეხბეხგში... ავილე ვიზები“ (მალლაკელიძე, 1994, გვ. 125-126).

მალაკელიძე დაბინავდა ჯერ თავისი ცოლისძმის სახლში, ოჯახთან ერთად, ხოლო შემდეგ გადავიდა გიორგი შვანგირაძესთან, რომელიც 1905 წლიდან ხელმძღვანელობდა კინოთეატრს „ROYAL BIO“ (Джавахишвили, 2015, გვ. 203).

1924 წლის 17 დეკემბერს, ლატვიის მოქალაქე ლუცია გრასისმა, რომელიც ტუბერკულოზით დაავადებული ინვა რიგაში, სარკანკალნის საავადმყოფოში, თავისი უძრავ-მოდრავი ქონება უანდერძა დას – მარია მალაკელიძეს (ხეც №№ 66).

1923-1926 წლებში მალაკელიძე სწავლობდა პრადის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამის შემდეგ ის დაბრუნდა რიგაში მცხოვრებ თავის ცოლ-შვილთან. 1926-1934 წლებში მუშაობდა რიგის ერთ-ერთ ბანკში იურისკონსულტად (Джавахишвили, 2015, გვ. 204).

1929 წლის იანვარში, მალაკელიძისა და შვანგირაძის ინიციატივით, რიგაში შეიქმნა პირველი კავკასიური საზოგადოება „ივერია“. თავდაპირველად მასში გაერთიანდა 20 ადამიანი, მათგან 13 ქართველი. მალე მათ შეუერთდნენ ლატვიაში მცხოვრები სხვა კავკასიელებიც, რის გამოც იმავე წლის ივლისიდან საზოგადოებას „კავკასია“ ეწოდა. ამ საზოგადოებას, რომელსაც მეორენაირად „კავკასიელთა დახმარების საზოგადოებაც“ ეწოდებოდა, 1930 წლის მიწურულიდან სათავეში მალაკელიძე ჩაუდგა.

1931 წლის დასაწყისში საზოგადოება 70 წევრს ითვლიდა. მისი წევრები იკრიბებოდნენ ჯერ მერკელის ქუჩის №8-ში მდებარე შვანგირაძის ბინაში, ხოლო შემდეგ – კუპჩევსკის ქუჩის №14-ში.

საზოგადოების მიზანი იყო ლატვიაში მცხოვრებ კავკასიელთა გაერთიანება, მათი მატერიალური დახმარება, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, კერძოდ, შემოქმედებითი საღამოებისა და ლექციების ჩატარება. მისი წევრები სადღესასწაულო დღეებში იკრიბებოდნენ. პერიოდულად ეწყობოდა ჩაის საღამოები, თვეში ერთხელ – საჯარო ლექციები კავკასიის ისტორიისა და კულტურის შესახებ, ხოლო ყოველწლიურად – „კავკასიელთა მეჯლისი“, რომლიდანაც შეგროვილი თანხა საქველმოქმედო მიზნით იხარჯებოდა.

კავკასიელთა საზოგადოების ხელმძღვანელი შ. მალაკელიძე და მისი მეუღლე მარია მალაკელიძე იყვნენ ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგის განყოფილების წევრები (Šcerbinskis, 1998, გვ. 82-83).

შ. მალაკელიძე იგონებდა: „ჩემი მთავარი საქმე იყო ანგისაბჭოუხი საზოგადოებებთან მუშაობა და მათ შოხის „ენტეესთან“... ვცხოვრობდი პასკევიჩის ქუჩაზე... შვანგირაძის ბინაში, ჰყავდა ცოლად შვედი ქალი... ჰყავს შვილები. ეხთი მათგანი დიპლომატს მისთხოვდა. ბიჭი ჰყავს, სტუდენტი, სტიპენდიას მე ვაძღვევ, კავკასიუხი საზოგადოების გამგეობის წევხია. ამ სახდში

ვცხოვრობ მე და ამ სახლში ცხოვრობს იაპონიის აგაშე, ხომელსაც მღივნად ჰყავს შვანგიხადის გოგო ნინო. ამიგომ, მე ახლოს ვიყავი ამ აგაშესთან. ხუსუდი კახგად იცოდა... ხშირად ვდაპაჰაკობდით საქაჰთვედოზე” (მაღლაკელიძე, 1994, გვ. 141-142).

1930 წლის 6 დეკემბერს, შ. მაღლაკელიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკები (1918-1921)“. მან გამოთქვა რწმენა, რომ ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა აღდგებოდა და კონფედერაცია ჩამოყალიბდებოდა (Джавахишвили, 2015, გვ. 206).

1931 წლის იანვარში კავკასიელთა საზოგადოებამ რიგაში რუსულ ენაზე გამოსცა ჟურნალი „Кавказ“ (“Сборник связи кавказцев на чужбине”). მასში სჭარბობდა სომხური თემატიკა (შარაძე, 2005, გვ. 408), ვინაიდან ამ საზოგადოების წევრთა უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ.

იმავ ჟურნალში გამოქვეყნდა: ლექსი „Грузия“ – А. Д-ის ხელმოწერით, ფოტოსურათი „Ледник в Верхней Сванетии“, „Каменный джигит (грузинское предание)“, ლექსი „Кавказ зовет своих сыновей“ – „Сакартველა“-ს ფსევდონიმით (“Кавказ”, 1931, გვ. 12-32) და შალვა მაღლაკელიძის სტატია „Грузия (исторический обзор и перспективы)“, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდებოდა: „*Будет независимая Грузия, будет независимый Кавказ!*“ („Кавказ“, 1931, გვ. 12).

1931 წლის 17 იანვარს, რიგაში, ვალდემარას ქუჩის №5-ში მდებარე არმიის ოფიცერთა კლუბში, კავკასიურმა საზოგადოებამ გამართა კონცერტი და მეჯლისი, რომელსაც ორგანიზება მარია მაღლაკელიძემ გაუწია. რიგის რუსული თეატრის რეჟისორმა და მსახიობმა, თბილისელმა გიორგი სარუხანოვმა, ცნობილმა ფსევდონიმით „იური იუროვსკი“ (1894-1959), დადგა ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის (1857-1927) ისტორიული დრამა „ლალატი“. ამ ღონისძიებას დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

დიპლომატებმა ყურადღება გაამახვილეს ზემოხსენებულ ჟურნალში გამოქვეყნებული მაღლაკელიძის სტატიის დასკვნით ნაწილზე. ამასთან დაკავშირებით მაღლაკელიძე იგონებდა, რომ დიპლომატებში „საბჭოთა ედრიც ეხია და გავიგონე, იმეოხებდნენ ამ ფხაზას. მე მივედი და ვუთხაჰი: „ჩგო ტაკოე?“ მიპასუხეს: „მი ჩიგადი ვაშ ჟუხნადო“, იუმოხით, ვითომ შენ კი გინდა „ნეზავისიმოსტ“, მაგჰამ აჰ იქნებაო და მაჰთღაც ალაჰ იქნა“ (მაღლაკელიძე, 1994, გვ. 32).

კავკასიური საზოგადოების მეჯლისს ექსცესები მოჰყვა.

შ. მაღლაკელიძის მოგონებებში ვკითხულობთ: „მიდის წაჰმოგენა და ამ დხოს გაჰედან აგებეს ბხახუნი, თუჰმე მთვჰადი დაგვიედი ოფიცეჰია და აჰ შემოუშვეს. შემოუშვეს ესენი მხოლოდ დიდას, ოფიცეჰები და სტუდენტები. თუჰმე ამათში უხევია ის ოფიცეჰი, ხომელსაც მე თავის დხოზე იაჰალი ავყაჰე. ეს იყო ჩვენი დამოუკიდებლობის დხოს, ხოცა საქაჰთვედოში მამისონის უღედ-ტეხილით გადმოვიდა დენიკინის უკანასკნელი პოდკი, „კაბაჰდინსკი პოდკ“. შე-

სანიშნავი პოდკი იყო და იახალი ავყახე, საბჭოეთთან ხაიმე კონფლიქტი ხომ ახ მოგვსვდოდა. ახდა ამათში უხევია ეხთი იმ ოფიცეხთაგანი და სხედან მაგიდასთან. მე, ხოგოხც საზოგადოების თავმჯდომაიხე, მივედი მათთან და მივესადმე. იმ ოფიცეხმა, მთვხადია, აკხა მაგიდას ხედი და იყვიხა:

- შენ მე შეუხაცხეოფა მომაყენე! – ხა შეუხაცხეოფა-თქო?

- გენეხადი ეხედედი თუ გახსოვთ, მე მისი აღიუტანტი ვიყავიო და თქვენ იახალი ავყახეთო და ბოდშევიკებს უჭეხდითო მხახს! უცებ ამოილო ხევიოდვეხი და მესოოდა ფეხებში, მაგხამ ამცდა. მაშინვე ვიძიე ხანჯადი და ბიგყად დავახციე შუბდში... წაიქცა. ეს ხომ დაინახეს დანახიენებმა, კუხდლებივით გაიქცენ... შემხრა ხედში ეს დავახდნიდი კაცი. მეხე გავუშვით და მესამე დღეს ხევიოდვეხიც დავუბიუნე.

ახდა გავახდა ხმა და მაგას ამას ვუზამთო და იმასაო, უნდა გავასახდოთ, პოდიტიკუხი კაცია, ასეთ-ისეთია, ხაგომ ითვდება ჩვენს ჯახშიო („დვინსკი“ კავადეხიის პოდკში ვითვდებოდი და მთედი ხიგი პოდიტიკუხი ამოცანები მეონდა დასახუდი, საბჭოების წინააღმდეგ მიმახთუდი)... გამოვიწვიე დუედში მათი ყვედა სამხედო ნაწიდის წახიმომადგენედი და დავუნიშნე ის „ცახსკი დესში“, ხიგის გადღმა დიდი გყეა. დავნიშნე სეკუნდანტები და თვითონ ბადოდისიც დავასახედე, მათი სამხედო მინისტი, ჩემთან სწავდობდა. იახლის ახივანი თქვენზე მომინდვია-თქო, მაგხამ ახციეხთი დავვიედი ახ გამოცხადდა დუედზე. საქმე ისე ახსნეს, თითქოს ბადოდისმა გასცა განკახედება, ჯეხ კიდევ მეფის ხუსეთის დოს დუედი აიკიხდა და დემოკრატუდ დავვიაში ახავითახ შემთხვევაში ახ დავუშვებთ მასო” (მაღლაკელიძე, 1994, გვ. 32).

ზემოხსენებული სამხედრო მინისტი, გენერალი იანის ბალოდისი (1881-1965) მთავარსარდალიც იყო (Энциклопедия „Рига“, 1989, გვ. 178).

მომხდარი უთანხმოების გამო, 1933 წელს ორგანიზაცია „კავკასია“ დატოვეს ქართველებმა, რომლებმაც ნოემბერში საკუთარი საზოგადოება ჩამოყალიბეს. მისი გამგეობა აქტიურად საქმიანობდა და წევრებს უფასო იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას უწევდა. დაარსდა საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი კურსებიც. იკითხებოდა მოხსენებები საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის საკითხების შესახებ.

გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ზემოხსენებული იური იუროვსკი, წევრებად: ალექსანდრე და ნინო გიორგის ასული შვანგირაძეები, შ. მაღლაკელიძის მეუღლე, კონსტანტინე ცინცაძე, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად: ავთანდილ ჩიკაშუა, კ. ავსაძე და თბილისელი სომეხი სუმბატ ტერ-ხაჩატურიანი.

საზოგადოებას მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ლატვიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის, ადმირალ თეოდორ სპადეს (1891-1970) ქართველი მეუღლე ნადეჟდა სპადე. ერთი ცნობის თანახმად, მისი გვარი იყო შველიძე (Bisters, 2002, გვ. 18-23), ხოლო მეორე ცნობით – მეტრეველი

(„ორნატი“, 1934, გვ. 31). 1934 წელს მან წაიკითხა რეფერატი თემაზე: „მარიამი – უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“ (Ščerbinskis, 1998, გვ. 19). 1937 წელს ნ. სპადე რიგაში გარდაიცვალა (Bisters, 2002, გვ. 431).

ემიგრანტ „რიგელის“ ფსევდონიმით 1934 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ქართველთა საზოგადოება ლატვიაში“ ვკითხულობთ: „მართალია, მთელი შემადგენლობა საზოგადოებისა ლატვიის მოქალაქეთაგან შესდგება და ბევრი მათგანი თვით ლატვიაშია დაბადებული, მაგრამ მათი ინტერესი და სიყვარული დაშორებულ საქართველოსადმი ფრიად დიდია“ („ორნატი“, 1934, გვ. 31).

რიგაში შ. მაღლაკელიძე ერთხანს რუსული ენის პედაგოგად მუშაობდა. 30-იანი წლების შუა ხანებში იგი გადავიდა პარიზში, სადაც ქართულ ემიგრანტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდა. მისმა ვაჟმა გაიოზმა (1920-1989) დაამთავრა რიგის გერმანული სკოლა და პოლონეთის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი. 1938 წლიდან მაღლაკელიძეთა ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა გერმანიაში, სადაც გაიოზი ვერმახტში მოხალისედ ჩაირიცხა.

1938 წლის დეკემბერში ლატვიის ქართულმა საზოგადოებამ, რომელიც საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო, საქმიანობა შეწყვიტა (Ščerbinskis, 1998, გვ. 19-21). იმავე წელს, ლატვიის საზოგადოებრივ საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, კავკასიური საზოგადოებაც დაიხურა. ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობა საფრანგეთსა და გერმანიაში გადასახლდა (Джавахишвили, 2019, გვ. 192).

ზემოხსენებული გ. შვანგირაძის ვაჟმა – ალექსანდრემ (1905-1941), რომელიც რიგაში დაიბადა, ლატვიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა. ქირურგად მუშაობდა ლიეპაიაში, ხოლო შემდეგ დაინიშნა კულდიგის საავადმყოფოს მთავარ ექიმად და ქირურგიული განყოფილების გამგედ. ჰყავდა ლატვიელი მეუღლე, რომელიც 1944 წლიდან ემიგრაციაში წავიდა. შვანგირაძე შეენირა გერმანიის მიერ ლატვიის ოკუპაციას, კერძოდ, იგი დაჭრილ წითელარმიელთა მკურნალობის საბაბით, სანიტარ არნოლდ შვანთან ერთად, 1941 წლის 5 ივლისს, კულდიგასთან დახვრიტეს (Vīksna, 1990, გვ. 152-153).

ლატვიაში 1920 წელს ცხოვრობდა 29 ქართველი, 1925 წელს – 34, 1930 წელს – 28, 1938 წელს – 38, ხოლო 1943 წელს – 28 (Джавахишвили, 2019, გვ. 277).

ამრიგად, ლატვიის რესპუბლიკაში მცხოვრებმა ქართველებმა და სხვა კავკასიელებმა ჩამოაყალიბეს საზოგადოებები: „ივერია“, „კავკასია“ და სხვა, რომლებიც ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ.

ლიტერატურა:

- მალლაკელიძე 1994:** მალლაკელიძე შ., მოგონებანი, ქართველები გერმანული დროშის ქვეშ II მსოფლიო ომში (მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ), თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1994.
- ნაცვლიშვილი 2013:** ნაცვლიშვილი პ., თამარ პაპავას მემუარები – ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლის უმნიშვნელოვანესი წყარო, ჟურნ. ემიგრაცია №1 თბილისი, 2013.
- რიგელი 1934:** რიგელი, ქართველთა საზოგადოება ლატვიაში, ჟურნ. ორნატი №6, პარიზი, 1934.
- შარაძე 2005:** შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ 8 , თბილისი, 2005.
- კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შალვა და გაიოზ მალლაკელიძეების პირადი არქივი. დოკ.№66
- ჭავჭავიძის 2011:** ჭავჭავიძელი ნ., ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2011.
- ჭავჭავიძელი 2014:** ჭავჭავიძელი ნ., რაჟდენ რუსიშვილი, ქართველი მეცნიერი უცხოეთის ცის ქვეშ, ჟურნ. ისტორიანი №48, თბილისი, 2014.
- Джавахишвили 2015:** Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Рига, 2015.
- Джавахишвили 2019:** Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Тбилиси, Издательство «Универсал», 2019.
- Думин ... 1998:** Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князь Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю.Чиковани, Москва, Издательство «Ликоминвест», 1998.
- “Кавказ” 1931:** “Кавказ”, сборник связи кавказцев на чужбине, Рига, 1931.
- “Сегодня” 1922:** “Сегодня”, Рига, 1922, № 179.
- Энциклопедия “Рига” 1989:** Энциклопедия “Рига”, Рига, 1989.
- Admiralis ... 2002:** Admiralis Teodors Spade, Sastaditaji M. Bisters un J. Ciganovs, Rīga, 2002.
- Latvijas Advokatūra 2002:** Latvijas Advokatūra, Zvērināti advokāti un zvērinātu advokātu palīgi. Biografijas. 1919-1945, Biogrāfiskā vārdnīca, Sastādītāji: Ē. Jēkabsons, V. Ščerbinskis, Rīga, 2002.
- Rainis 1986:** Rainis J., Kopoti raksti 23-25. sējums, Vēstules; sējums, Dienasgrāmata, Rīga, 1986.
- Ščerbinskis 1998:** Ščerbinskis V., Lenācēji no tālienes, Rīga, 1998.
- Vīksna 1990:** Vīksna A., Pa ārstu takām, Rīga, 1990.

Niko Javakhishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

From the History of Georgian Diaspora in Latvia (from the 20th – to the 40th of XX Century)

Key words: *Latvia, Georgians, Giorgi Machutadze, Irakli/Kaki Tsereteli, Shalva Maglakelidze*

After the occupation of Georgian Democratic Republic (1921) by the armed forces of RSFSR and beginning of repressions, big part of Georgian public patriots were forced to leave the country and emigrate. One group of Georgian emigrants went to Latvia and joined the small part of Georgian diaspora emigrated there before. The number of Georgians living in Latvia was changeable by years. Specifically, in 1920 there were 29 Georgians living in Latvia, in 1925 – 34, 1930 – 28, 1938 – 38, 1943 – 28.

Giorgi Machutadze (1874-1922), the Honorary Consul of Georgia in Latvia and Estonia, died in Riga in August 1922 and was buried there.

From December 20, 1922, Joachim Burjanadze (1879-1958) served as a juror in Riga. From 1940 he became a lawyer for the city's first legal consultancy. During the German occupation/1941-1944/ he continued to serve as a lawyer. In 1944 he served in town Skriver as a Legal Adviser. He returned to Riga the same year.

In September 1923, Irakli/Kaki Tsereteli (1882-1959), a prominent figure of the Social-Democratic movement in emigration, traveled from Belgium to Latvia together with Kamil Huisman, leader of the II Socialist International. They met with members of the Latvian Social-Democratic Party, including the great Latvian thinker, poet, playwright, political and public figure Janis Rainis (1865-1929). They became friends and continued their relationship.

Shalva Maglakelidze (1894-1976), a military figure of Georgia, lived in Latvia. In 1923, he moved to his wife's homeland Latvia with his wife, Baltic German Maria Grass/Grasis, and son Gaios/"Kajus Marijus". Maglakelidze first lived in his brother-in-law's house with his family, and then moved in to Giorgi Shvangiradze's house, who had been running the "ROYAL BIO" cinema in Riga since 1905. In 1923-1926 Maglakelidze studied at the Faculty of Law of the University of Prague, where he defended his doctoral dissertation. He then returned to Riga to his wife and children. In 1926-1934 he worked as a legal consultant in one of the banks in Riga. Maglakelidze and his wife were members of the Riga branch of the Latvian Social-Democratic Workers' Party.

Georgians together with other Caucasians living in Latvia formed societies named "Iveria" and "Caucasia", which were mainly conducting cultural-educational activities.

In January 1929, with Maglakelidze's initiative, the first Caucasian society "Iveria" was established in Riga. Initially, 20 people joined it, and 13 of them were Georgians. They were soon joined by other Caucasians living in Latvia, which is why the society was renamed "Caucasus" in July of the same year. This society was headed by Maglakelidze from late 1930.

By early 1931, the Society had 70 members. Its purpose was to unite Caucasians living in Latvia, to provide them with material assistance, cultural and educational activities, in particular, creative evenings and lectures. Its members used to gather on holidays. There were periodic tea evenings, public lectures on the history and culture of the Caucasus once a month, and an annual "Mejlis of the Caucasus" from which the money raised was donated to charity. In 1931, the society published the magazine "Caucasus" in Russian language in Riga.

At the end of the 30th of the XX century, most of Georgians living in Latvia moved to France and Germany, where the main part of Georgian emigrants were settled. Because of this fact the above-mentioned societies existed in Latvia stopped functioning.

ოთარ ჯანელიძე

საქართველოს ეხოვნული მუზეუმი, გოჩის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყარსის ხელშეკრულება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

*საკვანძო სიგყვები: საქართველო, თუხქეთი, მოსკოვი, ქახთული
ემიგრაცია, ყახსი*

1921 წლის მარტში ემიგრაციაში გახიზნული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები და სხვა პოლიტიკოსები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ სამშობლოში მომხდარ არც ერთ რეზონანსულ მოვლენასა თუ ფაქტს, მყისიერად ეხმარებოდნენ და არგუმენტირებულად ამხელდნენ საბჭოთა ხელისუფლების ყოველ ანტიქართულ ღონისძიებას. ოღონდ ეგ იყო, კომუნიკაციის მაშინდელ პირობებში, მით უფრო, როდესაც საგანგებო კომისიას (ჩეკა) უკვე დაეწყო თვალის დევნება საქართველოდან უცხოეთში გაგზავნილი კორესპოდენციებისათვის, ცნობები არათუ პარიზში, კონსტანტინოპოლამდეც კი დავვიანებით აღწევდა. 1921 წლის გაზაფხულიდან ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას საქართველოს დეოკუპაციისათვის საბრძოლველად უცხოეთში ორი საკოორდინაციო ცენტრი გააჩნდა – კონსტანტინოპოლსა და პარიზში. თავდაპირველად უფრო აქტიური საქართველოსთან შედარებით ახლომდებარე ოსმალეთის დედაქალაქის – კონსტანტინოპოლის ცენტრი იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა საქმიანობა, როგორც სულთნის, ისე ანგორის ხელისუფლებასთან შეწყდა, თუმცა კონსტანტინოპოლში დარჩა მთავრობის რწმუნებული კონსტანტინე გვარჯაღაძე და იქვე მოქმედებდა საკონსულოც (კონსული იოსებ გოგოლაშვილი). კონსტანტინოპოლშივე ჩამოყალიბდა სამთავრობო (თავმჯდომარე კონსტანტინე კანდელაკი), ლტოლვილთა (თავმჯდომარე ბენია ჩხიკვიშვილი) და პოლიტიკური კომისიები (თავმჯდომარე ჯერ ნოე ხომერიკი, შემდეგ რაჟდენ არსენიძე).

მიუხედავად იმისა, რომ ნოე ჟორდანიამ, კარლო ჩხეიძემ, ევგენი გეგეჭკორმა, კონსტანტინე კანდელაკმა და სხვ. ოსმალეთი მალევე დატოვეს და საფრანგეთში გაემგზავრნენ, ქართული პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი, ევროპის სახელმწიფოთა ვიზების მოლოდინში, კარგა ხანს კონსტანტინოპოლში რჩებოდა. მაგალითად, 1921 წლის ოქტომბრისათვის ჯერ კიდევ აქ იმყოფებოდნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები: რაჟდენ არსენიძე, ნოე ხომერიკი, გიორგი ერადე, ვალიკო ჟულელი, რუბენ ყიფიანი, კონსტანტინე სულაქველიძე, მელიტონ რუსია, რუბენ აუშტროვი, ნიკო ელიავა, ივანე ჭავჭავანიძე, ვასო ნულაძე, არზაყან ემუხვარი, ფილიპე

ლორია და სხვ. (თავისუფალი საქართველო, 1921, № 12, გვ. 6-7). ამის გამო იყო, რომ ბოლშევიკური პრესა კონსტანტინოპოლს „თეთიგვახიციელთა და მათ შოხის მენშევიკური ემიგრაციის ერთ ბუნაგთაგანს“ უწოდებდა.

კონსტანტინოპოლში ჯერ კიდევ სულთან მეჰმედ VI-ის ხელისუფლება ვრცელდებოდა, მაგრამ, ფაქტობრივად, ქალაქი ანტანტის სახელმწიფოთა სამხედრო შენაერთებით იყო ოკუპირებული. პარალელურად, ძალას იკრებდა ანატოლიაში დანყებული განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში გენერალი მუსტაფა ქემალი და თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობა ედგა.

ოსმალეთში მიმდინარე პროცესები, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევდა საქართველოშიც. ცნობილია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი, რომელიც 1878 წელს სან-სტეფანოს ზავითა და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, რუსეთის იმპერიას გადაეცა, რეალურად კი საქართველოს შემოუერთდა, პირველი მსოფლიო ომის დროსა და მის მომდევნო პერიოდში ბრესტის (1918 წ. 3 მარტი), ბათუმის (1918 წ. 4 ივნისის), მუდროსისა (1918 წ. 30 ოქტომბერი) თუ სევრის (1920 წ. 10 აგვისტო) საზავო ხელშეკრულებების თანახმად, ხელიდან ხელში გადადიოდა.

ოსმალეთ-საქართველოს ტერიტორიული გამიჯვნისა და საზღვრების საკითხი დღის წესრიგში კიდევ ერთხელ 1921 წლის შემოდგომისათვის, ყარსის მოლაპარაკებებისას დაისვა. ამ წლის 13 ოქტომბერს, ქალაქ ყარსში, რომელსაც იმ ხანად ქემალისტები აკონტროლებდნენ, ერთი მხრივ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა და მეორე მხრივ, ანგორის მთავრობამ, საბჭოთა რუსეთის ჩართულობით, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელმაც ოსმალეთსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სასაზღვრო-ტერიტორიული საკითხები და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობანი განსაზღვრა.

ხელშეკრულების გასაფორმებლად ყარსში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციები 1921 წლის 25 სექტემბერს ჩავიდნენ. ანგორის მთავრობასთან მოლაპარაკებაში სრულუფლებიან მხარედ მონაწილეობდა მოსკოვიდან წარგზავნილი საბჭოთა რუსეთის დელეგაცია. ქართულ დელეგაციაში შედიოდნენ: საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შალვა ელიავა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ალექსანდრე სვანიძე და მრჩეველი სასაზღვრო ტერიტორიულ საკითხებში პავლე ინგოროყვა.

საქართველო-ოსმალეთის საზღვრის ის კონფიგურაცია, რომელიც ყარსის ხელშეკრულებით დამტკიცდა (ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს უნდა დარჩენოდა, ართვინ-ართაანი კი ოსმალეთის კუთვნილებად ცხადდებოდა), მის გაფორმებამდე რამდენიმე თვით ადრე, მოსკოვში, კრემლსა და ანგორის მთავრობას შორის დადებულ 1921 წლის 16 მარტის „ძმობისა და

მეგობრობის ხელშეკრულებით“ შეთანხმდა. ცნობილია, რომ მოსკოვის ხელშეკრულებას წინ ხელმომწერ მხარეთა მოლაპარაკების ორი რაუნდი (1920 წლის 24 ივლისი – 24 აგვისტო და 1921 წლის 26 თებერვალი – 15 მარტი) უძლოდა, სადაც საზღვრის საკითხიც საქართველოს ზურგსუკან მოიხაზა და გამოიკვეთა.

კრემლი თავის მონაწილეობას საქართველოს მიწა-წყლის გასხვისებაში საგანგებოდ მალავდა, მაგრამ ხსენებულ მოლაპარაკებასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლის ნაწილი ახლა გამოქვეყნებულია, ეს შეუიარაღებელი თვალთაც კარგად ჩანს. ერთი ამგვარი დოკუმენტის თანახმად, „ხელმძღვანელობდა *ჩა მეზობედ ქვეყანასთან (ოსმალეთთან, – ო. ჯ.) კეთილმეზობედუხი, მეგობრული უხითიეხთობის დამყარების კეთილშობილდუხი მიზნებით, საბჭოთა მთავრობა გაჩვეულ დათმობაზე წავიდა“* (დათუნაშვილი, 1987, გვ. 168). კიდევ უფრო კონკრეტულის შემცველია რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გიორგი ჩიჩერინის 1921 წლის 4 მარტის დეპეშა ანგორაში საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლის ბუდუ მდივნისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „ახლა მიმდინახეობს ვაჭრობა. ჩვენ მივცემთ ყახსსა და აჩგაანს, მაგჩამ აჩავითაჩ შემთხვევაში აჩ შეგვიძლია გადავცეთ ბათუმი. ბათუმში იქნება საქაჩთვედო, ადექსანდოპოტსა და ეჩევანში – სომხეთი, ხოდო ნახიჩევანი უშუადოდ დამოკიდებული გახდება ჩუსეთზე“ (Барцеров/ბარსეგოვი, 2005, ს. 41).

დამხობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები ემიგრაციაში ისე გაიხიზნენ, რომ მოსკოვის ხსენებული ხელშეკრულების შესახებ არაფერი იცოდნენ. მათ ამ ფაქტის თაობაზე მხოლოდ კონსტანტინოპოლში ჩასვლისას შეიტყვეს. ცხადია, დევნილნი მათ მიმღებ და შემფარებელ ქვეყანას ღია პროტესტს ვერ გამოუცხადებდნენ და არც გამოუცხადებიათ, ემიგრირებულ მთავრობას დემარშისათვის არ მიუმართავს.

ყარსში მოსკოვის ხელშეკრულების გადასინჯვა ნაკლებად იყო მოსალოდნელი, – საბჭოთა რუსეთმა სწორედ ამ დოკუმენტით ივალდებულა, რომ იგი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს დაიყოლებდა, „*უეჭვედად ეცნოთ თუჩქეთსა და ჩუსეთს შოჩის დადებული ხელშეკრულების ის მუხდები, ხომდებიც უშუადოდ მათ ეხებოდათ“* (ალექსიძე და კობახიძე, 1994, გვ. 240). საერთაშორისო სამართალი არ ცნობს ორი სახელმწიფოს მიერ დადებული ხელშეკრულებით მესამე მხრისათვის უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას, მაგრამ კრემლი ამას დიდად არ დაგიდევდათ.

სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლები არ იყვნენ უფლებამოსილნი, ყარსში რაიმე შეეცვალათ. მათ, იმის მიუხედავად, რომ მოლაპარაკება თითქმის ორ კვირას გაგრძელდა, რეალურად მხოლოდ ხელშეკრულებაზე ფორმალური ხელისმომწერა და დოკუმენტის პრომულგაცია ევალდებოდათ.

თუმცა გაზეთი „კომუნისტი“ საზოგადოებაში ილუზიას თესდა, რომ თითქოს ყარსის მოლაპარაკების მიზანი ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენის პარალელურად, „საზღვრების გამოსწორებაც“ იყო. „*ღამად დახწმუნებული ვახთ, რომ ეს კითხვები იქნებიან გადაჭიდი ოკივე მხაჩის სასახგებდოთ, მათ მეგობრულ უხითიეხობათა უფხო განსამგკიცებდათ*“, – წერდა ეს ბოლშევიკური გამოცემა (კომუნისტი, 1921, № 173).

საქართველოში ჯერ კიდევ ლეგალურად მოქმედ მემარცხენე ფედერაციისტებსაც გულბრყვილოდ სჯეროდათ, რომ საზღვრის პრობლემა ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლოდ გადაიჭრებოდა. „*ოსმადეთთან ჩვენ დიდი სადავო საკითხები გვაქვს და ეს კითხვები უნდა გადასწყედეს დღეს უხითიეხთმეთანხმების ნიადაგზე. ...ყახისს ხედშეკუდებამ უნდა გადასინჯოს მოსკოვის დადგენილება და ახთინ-ახდაგანი უნდა დაუბუნოს თავის პაგჩონს*“, – აცხადებდა ამ პოლიტიკური ძალის გაზეთი „ტრიბუნა“ (ტრიბუნა, 1921, № 43; 51).

როგორც მოსალოდნელი იყო, საზღვრის საკითხში ყარსის ხელშეკრულებამ თითქმის უცვლელად გაიმეორა რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები (შეიცვალა მხოლოდ მუხლების ნუმერაცია).

დიპლომატიის ისტორიის სამტომეულში (История дипломатии/დიპლომატიის ისტორია (1941-1945), რომელიც საბჭოთა დროს გამოიცა, ყარსის ხელშეკრულების შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ კომუნისტურ პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში ხელშეკრულების მიზანი შემდეგნაირად იყო წარმოჩენილი: „*ამ ხედშეკუდებამ უნდა დაამყახოს მუდმივი და მგკიცე უხითიეხობა ჩვენ ახლო აღმოსავლეთის საზღვახზე და უზუნვედყოს ამიეხკავკასიის ხესპუბიკების მშვიდობიანი თანამშხომდობა ოსმადეთთან*“ (კომუნისტი, 1921, №181).

ბოლშევიკური პრესის თანახმად, „*საქახთვედოს მშხომედებს ამიეხიდან ალახ მოედით საფხთხე სამხხეთიდან. ხედშეკუდებამ ოფიციადუხი დასგუხი მისცა იმ განწყობილებას და უხითიეხობას, ხომედიც, ბუნებხივია, იმ ოხი ბანაკისთვის, ხომედიც ეხთი და იმავე მიზანს ისახავენ დღეს აღმოსავლეთის გამოლვიძებაში. საბჭოთა ხესპუბიკები და ახადი თუხქეთი ეხთნაიხად ახიან დაინგეხესებუდი იმპეხიადიზმის ფხთის შეკვეციოთ ახლო და შოხეუდ აღმოსავლეთში...*“ (კომუნისტი, 1921, № 181).

ქართველ საზოგადოებას „აღმოსავლეთის გამოლვიძებაზე“ მეტად თავისი მიწა-წყლის საკითხი აღელვებდა და ინტერესით მოელოდა ყარსის მოლაპარაკების დასრულებას. ამ განწყობილების საპირისპიროდ, ბოლშევიკური პროპაგანდა ყარსის ხელეკრულებასაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და კლასობრივი სოლიდარობის თვალსაზრისით განიხილავდა და მის ხელმონწერას დიდ მიღწევად თვლიდა. გაზეთი „კომუნისტი“ მოწინავე სტატიაში მიუთითებდა: „*მშხომედთა განთავისუფლება,*

მათი განვითარებისა და ბედნიერებისათვის შესაფერი პირობების შექმნა, – აი საბჭოთა ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპი. გეხიგოხიის საკითხის ასე თუ ისე გადაჭრას, სახედმწიფო საზღვრების გაწევ-გამოწევას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუკი მშრომელთა გათავისუფლების საქმე საიმედოდ ეწყობა. ამ მხით კი ახლო მომავალი საბჭოთა ხელისუფლების იდეას ეკუთვნის. მთელი აღმოსავლეთი სასოებით შეჰყუხებს საბჭოთა ხუსეთს, მის ბიძოდას, მის გამაჩუვებას. ...ყახის ხედშეკხულება ჰქმნის ...მშვიდობიანი მუშაობის შესაძლებლობას. საბჭოთა აღმშენებლობის გაძიე-ხებას და ამიგომაც ღხმა კმაყოფილებით მიიღებს მას საქაჩთვეროს მშრომე-ღი ხაღბი“ (კომუნისტი, 1921, №181).

„ყახის ხედშეკხულების საფუძვლიანი გაცნობა ყვედასათვის აშკაად ყოფს, ხომ ღლეიღან ყვედა ხესპუბრიკების ინტეხესები ეხთგვახად დაცუღი და უბხუნვედყოფიღია. საქაჩთვეროს საბჭოთა ხესპუბრიკის წითეღი ახმია სინა-ხუღით შეხვდება ამ საინტეხესო ფაქტს, ხოგოხც მშრომეღი ხაღბის საკეთიღ-ღლეოდ გადაგმუღ ნაბიჯს“, – კვერს უკრავდა ოფიცოზს თბილისში გამო-მავალი სამხედრო გაზეთი „წითელარმიეღი“ (წითელარმიეღი, 1921, №10).

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის ყარსის ხელშეკრულება არასოდეს ყოფიღა აქტუალური პრობლემა, მაგრამ მისი შედეგი ასე იყო შეფასებუღი: „ყახის ხედშეკხულება ...განამტკიცებდა ამიეჩკავკასიის უშიშ-ხოებას სამხხეთის საზღვრებზე და საქაჩთვეროს უდავო უფლებებს ბათუმსა და ბათუმის ოღქზე“ (საქართველოს, 1976, გვ. 88).

მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ბევრი წარმომადგენელი ყარსის მოლაპარაკების პერიოდში ოსმალეთში (ძირი-თადად კონსტანტინოპოლში) იმყოფებოდა, მოლაპარაკების მსვლელობა-ზე მათ რაიმე ზეგავლენა არ შეეძლოთ. ამ ადამიანებისათვის მოვლენებზე რეაგირების საშუალებები შეზღუდული იყო. პირველ ხანებში მათ საზღ-ვარგარეთ მხოლოდ ერთი, ისიც ქართულენოვანი ჟურნალის – „თავი-სუფალი საქართველოს“ დაფუძნება მოახერხეს. ეს ჟურნალი 1921 წლის 15 მაისიდან, რაჟდენ არსენიძის რედაქტორობით, კონსტანტინოპოლში იბეჭ-დებოდა, ხოლო იმავე წლის ბოლოდან – გამოცემამ პარიზში გადაინაც-ვღა. ჟურნალზე ყურადღება იმიტომ შევაჩერეთ, რომ სტატიაში განსახილ-ველ პერიოდში სწორედ ბეჭდვითი სიტყვის ხსენებული ორგანო იყო ძირი-თადი საშუალება, რითაც ემიგრირებულ ხელისუფლებას თავისი აზრის გა-მოხატვა და გავრცელება შეეძლო.

„თავისუფალი საქართველოს“ პირველივე ნომერში გამოქვეყნდა ქართული ემიგრაციის გამოხმაურება მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებაზე, რომელიც ჟურნალის შეფასებით, იყო „უმსგავსო, გაშიშ-ვღებუღ იმპეჩიადისტუხ მაკიაველიზმის ნაყოფი“. „გათავხეღებუღი საბჭოთა კომისხები აღაჩ ფაჩავენ თავიანთ გუღის ნაღებს. ისინი ცინიკუხათ დას-

ცინიან პაგაჩა ეხებს, ფეხქვეშ თეღავენ სამაჩთდიანობის ედემენგაჰედ წესებს და პინციპებს, უცხვად უაჩყოფენ თავის გუშინდედ სიგყვას და პი-ხობას“, – აღნიშნულია ჟურნალში. ამავე გამოცემისათვის მიცემულ ინტერ-ვიუში ქართველი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე აკაკი ჩხენკელი აღნიშნავდა, რომ ამ ხელშეკრულებით მოსკოვმა და ანგორამ „სამაჰ-მადიანო საქათვედო ოხათ გასჭხეს, სხეულს თავი წაგრიჯეს“ (თავისუფალი საქართველო, 1921, № 8, გვ. 8).

უფრო მძაფრი, მწვავედ კრიტიკული და სრულიად უარყოფითი იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დამოკიდებულება ყარსის ხელშეკრუ-ლებისადმი. ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს“ თანახმად, ეს იყო „სამარცხვინო“ ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების „მო-ნურ ქედის მოხრას“, „პოლიტიკურ დაცემასა და გალაქიავებას“ ნიშნავდა. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების კომუნისტებმა ხელი მოაწერეს თა-ვიანთ „სრულ კაპიტულაციას ოსმალეთის ფაშების წინაშე“. „*ჩა აჩის ეს? გამაჩჯებუდის კჩახი, თუ ჩვენი კომუნისტების სიბეცე?*“ – კითხულობდა ჟურნალი და დასძენდა: „*სამწუხაოღ ეხთიცა და მეოხეც. თვით ბორშე-ვიკებიც აჩ მადავენ, ხომ ხედშეკრულება ოსმალეთთან ნაკაჩინახევი იყო მოს-კოვის ხედშეკრულებით, ხომელიც მაჩგში დაიღვა ჰუსეთსა და ოსმალეთს შო-ხის. ეს ხედშეკრულება საფასუხი იყო ანგოჩისთვის მიცემული, საქათვედოს დაპყრობაში დახმაჩების აღმოჩენისთვის*“ (თავისუფალი საქართველო, 1921, № 12, გვ. 3-4).

1922 წლის 6 მარტს საზღვარგარეთ გამოქვეყნებული საქართველოს „პოლიტიკურ პარტიათა დეკლარაცია“ ხაზგასმით მიუთითებდა, რომ დამო-უკიდებელი საქართველოს სახელით უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარა-კება და ხელშეკრულების დადება დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული ნოე ჟორდანიას მთავრობის პრეროგატივაა. რუსეთის საოკუპაციო მმარ-თველობის მიერ ამ წესის დარღვევით გაფორმებული არც ერთი ხელშეკ-რულება „*ქათვედი ხადხისათვის სავადღებუდო აჩ აჩის და ყოვედივე მნიშ-ვნელობას მოკდებუდია*“ (თავისუფალი საქართველო. 1922, № 20, გვ. 4). ქარ-თველ ემიგრანტ პოლიტიკოსთა ხედვით, ასეთი იყო ყარსის ხელშეკ-რულებაც, რომელსაც ხელი საქართველოს სსრ-ს სახელით მოეწერა და არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ყარსის ხელშეკრულების სა-კითხს კიდევ ერთხელ 1923 წლის სექტემბერში დაუბრუნდა, როდესაც პა-რიზში, ემიგრირებული მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუ-მის სხდომაზე მოისმინეს დასავლეთ ევროპაში საქართველოს ელჩის აკა-კი ჩხენკელის მოხსენება თურქეთის მუსტაფა ქემალის მთავრობასთან და-მოკიდებულების საკითხზე. ჩხენკელმა ხაზი გაუსვა მოსკოვის მიერ ჩადე-ნილ კიდევ ერთ უსამართლობას, რაც იმაში გამოიხატა, რომ კრემლმა

დაპყრობილი და გასაბჭოებული საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გააერთიანა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით. დიპლომატიის სიტყვით, ეს ნაბიჯი ყარსის ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება, თუმცა ამის გამო ანგორას მოსკოვისათვის პროტესტიც კი არ განუცხადებია, რადგან მუსტაფა ქემალს საბჭოეთი სჭირდება თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად (ეროვნული არქივი, საქმ. № 1062).

ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ სწორად შეაფასა ყარსის ხელშეკრულება, მიუთითა მის უსამართლო, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უფლების შემლახველ და ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო შინაარსზე, განსაკუთრებით ტერიტორიული გამიჯვნის ნაწილში.

ლიტერატურა:

- ალექსიძე და კობახიძე 1994:** ალექსიძე, ლ. და კობახიძე, დ., ყარსის ხელშეკრულება, ქართული დიპლომატია (წელიწდეული), ტ. 1, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1994.
- დათუნაშვილი 1987:** დათუნაშვილი, ი., სწული იმპერიის ნანგრევებზე, კრებულში – ოქტომბერი და აღმოსავლეთი (ირანი, თურქეთი და ავღანეთი), თბილისი, „მეცნიერება“, 1987.
- საქართველოს... 1976:** საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ., VII, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1976.
- ეროვნული არქივი,** საისტორიო ცენტრალური არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქმ. № 1062.
- კომუნისტი 1921. № 173:** გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 30 სექტემბერი.
- კომუნისტი 1921. № 181:** გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 9 ოქტომბერი.
- კომუნისტი 1921. № 191:** გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ., 21 ოქტომბერი.
- ტრიბუნა 1921. № 43:** გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ., 11 ოქტომბერი.
- ტრიბუნა 1921. № 51:** გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ., 20 ოქტომბერი.
- წითელარმიელი, 1921. №10:** გაზ. „წითელარმიელი“, 1921 წ., 22 ოქტომბერი.
- თავისუფალი საქართველო, 1921. № 8:** ჟურნ. „თავისუფალი საქართველო“, სტამბოლი, 1921. 15 სექტემბერი.
- თავისუფალი საქართველო, 1921. № 12:** ჟურნ. „თავისუფალი საქართველო“, სტამბოლი, 1921, 12 ოქტომბერი.
- თავისუფალი საქართველო, 1922. № 20:** ჟურნ. „თავისუფალი საქართველო“, პარიზი, 1922, 15 აპრილი.
- Барсегов 2005:** Барсегов Ю., Геноцид армян. Ответственность Турции и *обязательства мирового сообщества*, т. II, часть 1, Москва, „Гардарики“. 2005.
- История... 1941-1945:** История дипломатии (1941-1945): История дипломатии в 3-х тт. Под ред. В. П. Потемкина, т. 1, 2, 3, Москва, „Государственное издательство политической литературы“, 1941-1945.

Otar Janelidze

Georgian National Museum, Gori State University

The Treaty of Kars and Georgian Political Emigration

Key words: *Georgia. Turkey. Moscow. Georgian emigration. Kars.*

On October 13, 1921, in the Turkish city of Kars, on the one hand, the Socialist Soviet Republics of Georgia, Armenia, and Azerbaijan, and on the other hand, the Angora Government, with the participation of the delegation of Soviet Russia, signed an agreement that defined border-territorial issues and political-economic relations between Turkey and the countries of the South Caucasus.

The borders were agreed upon by the Moscow Treaty of March 16, 1921 "on brotherhood and friendship" between the Kremlin and the Angora Government. The Treaty of Kars almost completely repeated the outlines of the territorial divisions and borders drawn behind Georgia's back (Batumi and the Batumi region remained Georgia, and Artvin-Artaan was declared part of the Turkish Empire).

Many members of Georgia's democratic government and Georgian political emigrants, who were forcibly relocated abroad due to Soviet Russia's military attack on Georgia, were still in Constantinople during the Kars negotiations. Although the means of responding to the events were limited for these people, they did not carelessly ignore any resonant issues or facts about Georgia, responding immediately and exposing every anti-Georgian action of the Soviet authorities.

The situation in Turkey was specific: the forced migrants could not protest and did not openly oppose the country that accepted the Georgian refugees. The Georgian government in exile did not turn to demarche but did not leave the Kars agreement without evaluation either.

The Georgian émigré magazine "Free Georgia", founded in Constantinople, the first issue of which was published on May 15, 1921, played an important role in this regard. According to the publications in this magazine, the Treaty of Kars was a "disgraceful" treaty, which meant "Slave obedience and" political fall "of the Soviet government. It was a fee given to Angora by Moscow for its assistance in conquering Georgia. The communists of the South Caucasus republics signed their "complete capitulation to the Ottoman pashas."

The Georgian political emigration believed that negotiating with foreign states on behalf of independent Georgia and concluding agreements was the prerogative of the government of Noe Zhordania, elected by the Constituent Assembly. Therefore, none of the agreements signed by the Russian occupation government in violation of this rule "is binding on the Georgian people and does not make sense." According to Georgian political emigrants, this was also the Kars Agreement, which was signed not on behalf of the Georgian Democratic Republic, but on behalf of the Georgian SSR.

გამოცემაზე მუშაობდნენ ლელა ნიკლაური და ეკა თეთრაშვილი

გამომცემლობის რედაქტორები: რუსუდან მიქენაია და მარინა ქყონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა
2022

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0128
Tel 995 (32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>



უნივერსიტეტის
გამომცემლობა